# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 16 სექტემბერი 1999 №177 (950) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2 რა ხდება დინამოში?

ზოგი ჭორი და ზოგიც მართალი „დინამოს“ პრეზიდენტობაზე

## 3 დღეს: საქართველო vs საბერძნეთი

UEFA CUP

ქუთაისში „ტორპედო“ აეკ-ს, თბილისში „ლოკომოტივი“ პაოკ-ს უმასპინძლებენ

## 7 სტოკჰოლმის შხამიანი საღამო

შვედებს მიაჩნიათ, რომ ფრანგმა მსაჯმა მათ გამარჯვება მოჰპარა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## 8 რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



დავით ციმაკურიძე

## 15 ვატო ნაცვლიშვილი ამ სეზონში ველარ ითამაშებს

„ჰაპოელ იერუსალიმი“ — „ბნეი ჰერცლია“... მესამე წუთზე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი მძიმედ დაშავდა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

პირველი ტურის მეორე დღე წინაზე უხვგოლიანი გამოდგა. ოთხშაბათს შვიდი გოლით მეტიც გავიდა და სპარტაკელმა ანდრეი ტიხონოვმა ტილბურგთან წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის პირველი ჰეთ თრიქიც მიითვალა.

E ჯგუფი

მოლდე 0:1 პორტუ

ოლიმპიაკოსი 3:3 რეალი

F ჯგუფი

ბაიერნი 2:1 ეინდჰოვენი

ვალენსია 2:0 რეინჯერსი

G ჯგუფი

ტილბურგი 1:3 სპარტაკი

სპარტა 0:0 ბორდო

H ჯგუფი

გალათასარაი 2:2 ჰერტა

ჩელსი 0:0 მილანი

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი



ჩელსი — მილანი 0:0. მილანელი ანდრეი შევჩენკო (მარცხნივ) და ლონდონელი ალბერტ ფერერი

# კიევმა სიტყვა გატეხა
## 26 ქულა დიდი სხვაობაა



გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში მასპინძლები კიეველებს უფრო ეთქმოდათ. სტუმრებმა პირველივე ტაიმში უშანსოდ დატოვეს რუსთაველები

კორაჩის თასი. შესარჩევი წრე. I მატჩი

**აზოტი 74:100 ბკ კიევი**

15 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე, 18 საათი

*მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. რუსთავის „აზოტი“ მასსავით უსახელო, თუმც გაცილებით ძლიერ უკრაინულ „ბკ კიევთან“ დამარცხდა. არაფერი განსაკუთრებული, ასე იყო შარშან დონეცკის „შახტიორთან“, უფრო ადრე კი ტალინის „ფაიერსთან“. მაგრამ გუშინ „აზოტმა“ 26 ქულით და სრულიად უემოციოდ წააგო, თანაც საშინაო მატჩში. როგორც იტყვიან, რეგრესი აშკარაა. საწყენია, რომ წავაგეთ. კიდევ უფრო საწყენია, ასე უიმედოდ რომ დავმარცხდით. და რომ არც მომავლის გვეიმედება, ეს ყველაზე მეტად სამწუხაროა.*

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

# თბილისური ტყუილ-მართალი

მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს" პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ქართული ფეხბურთის თავკაცად აირჩიეს, „დინამოში" მისი თანამდებობა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ შეითავსა. „დინამოს" პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი, ასე მოითხოვა და ჩვენც ამგვარად ვახსენებდით ბატონ რომანს.

იმ დღიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა, „დინამო" მეათედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, მწვრთნელიც გამოიცვალა, მურთაზ ხურცილავას ნაცვლად კლუბმა უცხოელი სპეციალისტი იოჰან ბოსკამპი ჩამოიყვანა. შემადგენლობაც კიდევ ერთხელ გადახალისდა, შინაური ჩემპიონატიდან მოკრებილ მოთამაშეებს „დინამომ" ლეგიონერებიც მიუმატა. თუმცა ამანაც ვერ უშველა და ლიგას ვინ ჩივის, უეფას თასის გათამაშებასაც ვერ უწია.

ბოსკამპანიამ „დინამოში" ჩაილურის წყალი დალია. ჩემპიონმა კიდევ ერთხელ გამოიცვალა მწვრთნელი, ეროვნული გათამაშებაც ძალიან დუნედ დაიწყო და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფინანსურმა სიდუხჭირემ იჩინა თავი.

დღემდე ისევ რომან შოთაძე ასრულებდა კლუბის ხელმძღვანელის მოვალეობას. ადრეც არაერთხელ უთქვამთ, დღე-დღეზე დირექტორატი შეიკრიბება და პრეზიდენტიც ოფიციალურად დაინიშნებაო. დრო გადიოდა...

გუშინ კი „სარბიელმა" „დინამოს" ახალი პრეზიდენტის ვინაობა შეიტყო. თუმცა ამ ინფორმაციის სისწორეზე თავს ნამდვილად ვერ დავდებთ...

„სარბიელი" ეცადა, დირექტორატის წევრებს დაკავშირებოდა, ყველა შესაძლო ვარიანტი მოვსინჯეთ, მაგრამ ნუკრი კაკილაშვილის გარდა ვერავის დავუკავშირდით. მასთან ნაუბარს ქვემოთ შემოგთავაზებთ, მანამდე კი გუშინ შეტყობილი ჭორისა თუ სიმართლის ამბავს მოგახსენებთ...

გუშინ „დინამოს" დირექტორატის ცხრა წევრი შეკრებილა და კლუბის პრეზიდენტის დანიშვნასთან დაკავშირებით უთათბირიათ.

აღნიშნული ცხრა წევრიდან ექვსს უპირატესობა მერაბ რატიანისთვის მიუნიჭებია, მხოლოდ სამი წასულა წინააღმდეგი, თუ თავი შეუკავებია. კლუბის წესდების თანახმად კი უმრავლესობის ნება კანონია.

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მერაბ რატიანი „დინამოს" ახალი პრეზიდენტიაო — უთქვამთ. ახლა „სარბიელისა" და ბატონ ნუკრი კაკილაშვილის საუბარს შემოგთავაზებთ:

**— ჩვენი ინფორმაციით, დირექტორატმა ს.კ. „დინამოს" პრეზიდენტად მერაბ რატიანი დანიშნა, თქვენ, როგორც ამ დირექტორატის წევრი, თუ ფლობთ ამ მხრივ რაიმე ინფორმაციას?**

— საიდან გაიგეთ ამის შესახებ?

— ...

— ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეეფერება.

**— ესე იგი, დირექტორატს მერაბ რატიანი არ აურჩევია კლუბის პრეზიდენტად?**

— ჯერჯერობით არა, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ სამომავლოდ ასეც მოხდეს.

ნუკრი კაკილაშვილმა მერაბ რატიანის გაპრეზიდენტების შესახებ ცნობა არ დაგვიდასტურა, თუმცა მოვლენების მსგავსად წარმართვის შესაძლებლობაც არ გამოურიცხავს.

თბილისში კი ტყუილ-მართალი ერთმანეთში აიზილა. თუმცა ის რა ტყუილია, შიგ ნახევარი სიმართლე არ ერიოს.

ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ, ყოველგვარი კომენტარის გარეშე. „სარბიელი" ეცდება, დღესვე დააზუსტოს ყველაფერი და მკითხველსაც ოპერატიულად მიაწოდოს.

# ფედერაციამ რეპეტიტორი იშოვა

## ქართველი მწვრთნელები საქართველოშივე განათლდებიან

ივნისის ბოლოს იტალიურ კოვერჩანოში გამართული უეფას სემინარიდან დაბრუნებულ გაიოზ დარსაძეს რომ გავესაუბრეთ, ეს გვითხრა: ახლო მომავალში უეფას აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიუროს ინიციატივით საქართველოში პროგრესკურსების ჩატარება აქვს დაგეგმილიო.

და აი, ახლახან გაირკვა, რომ პროგრესკურსები საქართველოში ამ წლის ბოლოსღა ჩატარდება.

— მართალია, ჯერ დეტალები დაუზუსტებელია, მაგრამ დასამალი არაფერია. უეფამ შემოგვითვალა, რომ ჩვენს ქვეყანაში მწვრთნელთა დონის ასამაღლებლად კურსების მოწყობა სურს. ევროპელთა ამ წინადადებას ჩვენ, ცხადია, ინტერესით შევხვდით და ახლა ერთ თვეში უნდა გაირკვეს, ვინ უხელმძღვანელებს კურსებს და ვინ წაიკითხავს ლექციებს — გვითხრა გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის უფროსის მოადგილე დავით პეტრიაშვილმა.

ივლისის დასაწყისში გაიოზ დარსაძემ „სარბიელს" ესეც განუცხადა: უეფამ კოვერჩიანოში ყოფნისას ისიც შეგვატყობინა, რომ კურსებს მე და დავით ყიფიანი ვუხელმძღვანელებთო.

ვახტანგ ბზიკაძე



მიხეილ ყაველაშვილი

# ციურიხმა ყაველაშვილი გამოისყიდა

შვეიცარიის „ციურიხმა" დაასრულა მოლაპარაკებები „მანჩესტერ სიტისთან" და ახლა ქართველ თავდამსხმელ მიხეილ ყაველაშვილზე ყველა უფლებას სწორედ ეს კლუბი ფლობს. შეგახსენებთ, რომ „სიტიმ" ყაველაშვილი ვლადიკავკაზის „ალანიიდან" იყიდა, შემდეგ კი ციურიხის „გრასჰოპერში" გაანათხოვრა, საიდანაც ქართველი სეზონის დასაწყისში „ციურიხში" გადავიდა.

„ციურიხისა" და „სიტის" მოლაპარაკებები 13 სექტემბერს დასრულდა. „ციურიხი" არ ამხელს, რა დაუჯდა ინგლისელებისგან ყაველაშვილის გამოსყიდვა.

სიმონ მენაბდე

# ნაგიმ მკაცრად დაგვიბარა

ამასწინანდელი საქართველო — ლატვიის შეხვედრის უნგრელი კომისარი შანდორ ნაგი გაოცებული დარჩენილა. არა, უეფას კაცს ქართველთა უსუსური თამაში, ანაც ლატვიელთა თავდადება არ გაჰკვირვებია. საქმე სხვა რამ ყოფილა.

საფეხბურთო ევროპაში, იმის იქით და კიდევ უფრო იქითაც ჩვეულებრივი ამბავია, მატჩზე აკრედიტებული ფოტო და ტელეჟურნალისტები საგანგებო მოსასხამებით (ჩვენში „ნაკიდკებს" უფრო ეძახიან) გადიან არენაზე, სხვაგვარად დაუშვებელია. ჩვენთან კი პატივცემული უნგრელი მართლაც გაოცებული დარჩენილა პიჯაკსა და ჯინსმაისურაში გამოწყობილი მოაპარატეთა ხილვით და სფფ-ს მესვეურთათვის თითიც დაუქნევია, ფიფა-უეფას რეგლამენტებს ნუ არღვევთო, თორემ... ერთი სიტყვით, ნაგს მკაცრად გაუფრთხილებია ქართველები. რა თქმა უნდა, სფფ-მ მომხდარი რეაგირების გარეშე არ დატოვა და თავის მხრივ „ტორპედოსა" და „ლოკომოტივის" მესვეურებს მოსთხოვა, რომ უეფას თასის გათამაშების საშინაო მატჩებში აეკ-ისა და პაოკ-ის წინააღმდეგ არც ერთი ფოტო-ტელე ჟურნალისტი არ იქნას დაშვებული სარბენ ბილიკებზე საგანგებო აღჭურვილობის გარეშე.

პაატა ძვანტალიანი

# ორასლარიანი ხელთათმანები

სამშაბათს, 14 სექტემბერს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც პირველი ლიგის მესამე-მეოთხე ტურებში და თასის პირველ ეტაპზე მომხდარი უდისციპლინობის ფაქტები განიხილეს.

სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის წევრებმა ყველაზე მკაცრი განაჩენი კლუბ „თბილისს" გამოუტანეს. მესამე ტურში „დინამო" — „თბილისის" მატჩში მომხდარი სკანდალი, ალბათ, გემახსოვრებათ. მაშინ, შეხვედრის 88-ე წუთზე (იმ დროს ანგარიში 2:2 იყო), „თბილისის" კარში მეტად საეჭვო პენალტი დაინიშნა. თერთმეტმეტრიანიდან ალექსიძემ ძელს გაარტყა ბურთი, თუმცა დამატებაზე ყველას დაასწრო და გოლიც გაიტანა. ფეხბურთის წესების მიხედვით, იგი არ უნდა ჩათვლილიყო, თუმცა არბიტრმა ოთარ გუნთაძემ სხვაგვარად განსაჯა. „თბილისის" ფეხბურთელებმა, ბუნებრივია, პროტესტი გამოხატეს. მეკარე ზურაბ ბათიაშვილმა, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა, სულაც ხელთათმანები გაიხადა, ძირს დაყარა და თამაშის გაგრძელება იუარა. თუმცა მწვრთნელების ჩარევის შემდეგ ფეხბურთელები დაშოშმინდნენ და შეხვედრაც, ავად თუ კარგად, ჩამთავრდა. ტექნიკურმა კომიტეტმა ბათიაშვილს ის საქციელი არ აპატია და ხულიგნობისთვის 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, ამასთან, მეკარეს ჯარიმის სახით 200 ლარის გადახდაც მოუწევს.

„დამნაშავე რა თქმა უნდა, ვიყავი, მაგრამ ასეთ სასჯელს, მგონი, მაინც არ ვიმსახურებდი. სადისციპლინო კომიტეტმა ძალიან მკაცრად დამსაჯა" — გვითხრა ზურაბ ბათიაშვილმა, როდესაც ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ.

მკაცრად გააფრთხილეს ბათიაშვილის სამი თანაგუნდელი — ვალერი აბრამიძე, ზაზა ზამთარაძე და გიორგი მიქაძე. ასევე გაფრთხილება მიიღო თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ. დასჯის მიზეზი ამავე შეხვედრის ცუდი ორგანიზაციაა, რაშიც, თამაშის შემდეგ გასახდელთან მომხდარი პატარა ექსცესი იგულისხმება, იგი საბედნიეროდ, მშვიდობიანად დასრულდა.

ახლა სხვა განაჩენებზეც ვთქვათ. 1999 წლის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცათ გორის „დილასა" და „ბათუმის" სტადიონებს, „დილას" 300, ხოლო „ბათუმს" 400 ლარის გადებაც მოუწევთ. გორელები მაყურებელთა ერთი ჯგუფის ხულიგნური საქციელისთვის დაზარალდნენ, ბათუმელები კი „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩის შემდეგ მსაჯთა გასახდელში უცხო პირთა შესვლისათვის, ანუ დებულების დარღვევისთვის დაისაჯნენ. ამ შეხვედრაში შეუფერებელი საქციელისათვის საყვედური გამოუცხადეს და 200 ლარი ჯარიმა დააკისრეს ვიტელთა პრეზიდენტ გურამ რუხაძეს. იმავე მიზეზის გამო სასტიკი საყვედური მიიღეს უკანასკნელი გაფრთხილებით მეორე ჯგუფის კლუბ „გაგრას" მწვრთნელებმა ფარვიზ ნიჟარაძემ და თემურ კუხალაშვილმა.



ზურაბ ბათიაშვილი

დანარჩენი სასჯელები უდისციპლინო ფეხბურთელებს შეეხოთ. ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 50 ლარით დაჯარიმება არ ასცდათ დინამოელ არჩილ სახვაძეს, ვიტჯორჯიელ ირაკლი ბარქაიას, ხობელ ზურაბ აიანიდს, ზესტაფონის „მეტალურგის" წევრ თამაზ ოდიკაძეს, დარჩელელ დემურ ხუბუას, გურჯაანელ დათო ყალიბეგაშვილს და თბილისის „იბერიაში" მოთამაშე ოთარ მგელაძეს. 2 თამაშის გამოტოვება და 100 ლარის გადახდა მოუწევს ზოოვეტელ გია შედანიას, ერთით მეტს გამოტოვებს და 50 ლარით მეტს გადაიხდის გაგრელი ტრისტან მანაგაძე. რუსთავის „ხალიბის" ფეხბურთელ ბეჟან სულაშვილს კი, გარდა იმისა, რომ 200 ლარით შეუთხელდა ჯიბე, 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის.

ასეთი სასჯელები გამოიტანა გუშინწინდელმა სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის სხდომამ, თუმცა ერთი ფაქტი აუცილებლად უნდა აღინიშნოს. გაუგებარია, რატომ მიეცა „ბათუმის" სტადიონს წლის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია, როცა იმავე დანაშაულისთვის თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობა გაფრთხილებით დაისაჯა, ხოლო „ლოკომოტივის" უფროსობას მხოლოდ მიეთითა, რომ რკინიგზელთა და ბათუმელთა მატჩში, რომელიც გასულ შაბათს „ეროვნულზე" გაიმართა, დებულება დაირღვა. წინა მატჩების მსგავსად, გარეშე პირებმა აქაც მოინდომეს მსაჯთა გასახდელში შესვლა.

უმჯობესი იქნება, თუ სადისციპლინო კომიტეტის მომავალ სხდომებზე ყველა კლუბი ერთნაირად განისჯება.

ვანო ოქროპირიძე

**პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი)**

დაარსდა: 1926 წელს
პრეზიდენტი: იორგოს ბატატუდისი
მწვრთნელი: არი ჰაანი (ჰოლანდია)
სტადიონი: „ტუმბასი“ (ტევადობა 41 000)
საბერძნეთის ჩემპიონი (2): 1976, 1985
საბერძნეთის თასის მფლობელი (2): 1972, 1974

# შავ-თეთრი ტელევიზორი


ომარ თეთრაძე

**პაოკ 1999-2000**

| | | |
|---|---|---|
| | **მეკარეები** | |
| 1 | ნიკოს მიხოპულოსი | 20.02.70 |
| 16 | ანტე ცოვიჩი | 13.06.75 |
| | **მცველები** | |
| 2 | ბოჟიდარ ბანდოვიჩი | 30.08.69 |
| 3 | სტელიოს ვენეტიდისი | 19.11.76 |
| 4 | ტასოს კაცაბისი | 30.07.70 |
| 5 | კრისტიან დოლბერგი | 30.11.70 |
| 22 | გიორგოს კულაკიოტისი | 05.05.77 |
| 23 | დიონისის ხასიოტისი | 01.03.75 |
| 26 | ახილეას ზაფირიუ | 22.07.70 |
| 31 | ომარ თეთრაძე | 13.10.69 |
| | **ნახევარმცველები** | |
| 6 | ტრიანტას მახარიდისი | 10.11.73 |
| 7 | სპირიდონ მარანგოსი | 20.02.67 |
| 8 | კონსტას ფრანცესკოსი | 04.01.69 |
| 10 | გეორგიოს ტურსუნიდისი | 21.08.70 |
| 11 | პანტელის კონსტანტინიდისი | 16.08.75 |
| 12 | ჯო ნაგბე | 02.09.68 |
| 15 | პანტელის კაფესი | 24.06.78 |
| 18 | გიორგიოს გეორგიადისი | 08.03.72 |
| 24 | ლუკას კარადიმოსი | 06.08.74 |
| 25 | დიმიტრის სალპინგიდისი | 18.08.81 |
| 27 | დიტმარ ბერხტოლდი | 06.08.74 |
| | **თავდამსხმელები** | |
| 9 | ზისის ვრიზასი | 09.11.73 |
| 13 | ადოლფო ვალენსია | 06.02.68 |
| 14 | ნიკოს ფრუსოსი | 29.04.74 |
| 19 | გიორგიოს ფოტაკისი | 20.10.81 |
| 20 | აბდელ საბრი | 19.06.74 |


ბერძენთა ჰოლანდიელი მწვრთნელი არი ჰაანი

— „ოლიმპიაკოსს“, ცხადია, ვერ შევედრებით, მაგრამ „პანათინაიკოსს“ და აეკ-ს კი უნდა ვაჯობოთ. მოგვწყინდა, სულ მაგათ კუდში დევნა, ფულს და მონდომებას არ დავიშურებთ, ძლიერი გუნდის შესაქმნელადო, ლოკომოტიველი კოლეგებისთვის გაუნდვია პაოკ-ის მენეჯერ სტავროს სარაფისს ამ უქმეებზე „ლოკომოტივ“ — „ბათუმის“ სანახავად რომ იყო თბილისში ჩამოსული.

შავ-თეთრთა (კლუბის ფერებია) პრეზიდენტი იორგოს ბატატუდისი ერთ-ერთი ბერძნული ტელეარხის მფლობელი ყოფილა, სხვათა შორის, დღევანდელი მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლაციის მოწყობის სურვილი და საშუალებაც ჰქონია, მაგრამ ქართულ მხარეს უარით გაუსტუმრებია — უკვე საქართველოს ტელევიზიას მოველაპარაკეთ და მაგ საქმიდან ალარაფერი გამოვაო.

აბა, რა გასაკვირია, ბერძენი ტელემაგნატის გუნდს გასაჭირი რომ არაფერი ჰქონდეს, და საფიქრალად მხოლოდ ის ექცეს, კიდევ უფრო მეტად როგორ გაძლიერდეო.

მართლაცდა, პაოკ-ი შარშან ორი საფეხურით ჩამორჩა მასზე ორი წლით უფროს აეკ-ს, მაგრამ წლეულს, ათენელების არ იყოს, სერიოზული ძალა შეიმატა და ახალ სეზონს იმედიანი ხვდება. ბერძნებმა ამ ზაფხულს რუსეთის ნაკრების ქართველი ბერძენი ომარ თეთრაძე შეიძინეს. თეთრაძე რა გაქანების ფეხბურთელია, ეს საქართველოში კარგად მოეხსენებათ. ომარი, ფაქტობრივად, უნივერსალია, ლიბეროდ, ფლანგზე, საყრდენად თუ ნახევარდაცვის სხვა პოზიციებზე თამაში მისთვის ჩვეული ამბავია და მიტომაც იყო, შარშანდელ ტრავმამდე რუსეთის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი რომ გახლდათ. რუსული ფერები თეთრაძემ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზეც დაიცვა. მისი საკლუბო კარიერა კი თბილისის „დინამოში“ რომ დაიწყო, დღესაც გრძელდება და ოზურგეთის „მერცხალიდან“ მოყოლებული, მოსკოვის „დინამოსა“ და „სპარტაკში“, მერე კი ვლადიკავკაზის „ალანიასა“ და იტალიურ „რომაში“ ნათამაშევ წლებს მოიცავს. სწორედ „რომაში“ თამაშის პერიოდში დაშავდა თეთრაძე მძიმედ და ტრავმამ თითქმის წელიწადი გამოატოვებინა.

თეთრაძე ხომ ნებისმიერი კლუბისთვის ფრიად სასურველი ფეხბურთელია, მაგრამ პაოკ-ის ყველაზე ხმაურიანი შენაძენი მაინც კოლუმბიელი თავდამსხმელი ხოსე ადოლფო ვალენსიაა.

გახსოვთ, ამერიკაში ხუთი წლის წინ გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი? გახსოვთ, ფეხბურთის მეფის, პელეს პროგნოზები, კოლუმბიელები ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, აგერ, ნახავთ, ჩემპიონები გახდებიანო? პელეს ფანტაზიათა ერთ-ერთი მუზა, კარლოს ვალდერამასთან და ფაუსტინო ასპრილიასთან ერთად ადოლფო ვალენსიაც იყო.

კოლუმბიამ მაშინ საშინლად დუნედ ითამაშა და რომელი ფინალი, ჯგუფიდანაც ვერ გავიდა. კოლუმბიელთა თამაში საგანგებოდ არც შარშანდელ ჩემპიონატზე დამახსოვრებია ვინმეს. 30 წლის ვალენსიაც უკანდახეულ ფორვარდად თამაშობდა, კლასით სხვათაგან კი გამოირჩეოდა, მაგრამ მაინც ვეტერანის სიფრთხილით ირჯებოდა.

პაოკ-მა 6 ივნისს ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა „სტანტ ფეს“ 31 წლის თავდამსხმელს, თუმცა ეს საქციელი უფრო სარეკლამო ხასიათისაა, რადგან ვალენსია ის ფეხბურთელი აღარაა, ახალი გუნდის მშენებლობაში უპრობლემოდ რომ ჩაეწერება.

პაოკ-ის კიდევ ერთი გამორჩეული შენაძენი გიორგიოს გეორგიადისია, ეს ფეხბურთელი შარშან თემურ ქეცბაიას თანაგუნდელი გახლდათ, „ნიუკასლ იუნაიტედში“ თამაშობდა.

ახალწვეულებს სალონიკში ერთი ძლიერი ფეხბურთელიც დახვდათ. პაოკ-ის ხერხემალი ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ბერძენი ნახევარმცველი კოსტას ფრანცესკოსია, სწორედ ის ფრანცესკოსი, შეცვლაზე შესულმა საქართველოს ნაკრებს ანგარიში რომ გაუთანაბრა ამასწინანდელ, თბილისურ მატჩში.

პაოკ-ის დიდკაცთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი მაინც გუნდის ჰოლანდიელი თავკაცი არი ჰაანია. ჰაანი დიდი ჰოლანდიური თაობის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა და, სხვათა შორის, თბილისში პირველად არაა. ის იმ „სტანდარდში“ თამაშობდა, რომლის ხელოვნურმა თამაშგარეებმა თასების თასის მფლობელი თბილისის „დინამო“ ცხარე ცრემლებით ატირა.

არი ჰაანი პაოკ-ამდე როტერდამის „ფეიენოორდს“ წვრთნიდა და ის ფეხბურთელები, რომლებიც წლეულს ლეო ბეენჰაკერმა გააჩემპიონა, თავის დროზე სწორედ ჰაანმა შეკრიბა.

ჩვენებური გიორგი დემეტრაძეც „ფეიენოორდში“ ჰაანმა მიიწვია და ათამაშა, თუმცა მერე, როგორც დემეს და „ფეიენოორდის“, ისე ჰაანის და ამ დიდი ჰოლანდიური კლუბის გზები გაიყარნენ.

რაც შეეხება პაოკ-ში ჰაანის მუშაობას, ბერძნები მისით ისე კმაყოფილები არიან, წელიწადნახევრიანი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ფიქრობენ.

ამ ევროსეზონისთვის ჰაანმა საბერძნეთის თასის პირველი ეტაპის მატჩებით და ამხანაგური შეხვედრებით ამზადა პაოკ-ი.

სალონიკელებმა პირველი ეტაპის ჯგუფურ ტურნირში ჯერ „პოსიდონას მიხანიონისს“ მოუგეს 3:0, მერე ქართველი გოდერძი ნატროშვილის ახალაღზევებულ „პანსხაიკს“ 5:0, ამის მერე კი „ნიკი ვოლოსი“ და „ნახოსი“ ერთნაირად 2:0 დაამარცხა. ახლახან პაოკ-მა იმავე ანგარიშით „ვეროიას“ მოუგო, მანამდე კი მოგებათა სერია თურქულ „გალათასარაისთან“ საქველმოქმედო მატჩში 0:2 მარცხით გაწყვიტა.

სტამბოლელ ემიგრანტთა დაარსებული გუნდის კეთილშობილური საქციელი სავსებით გასაგები იყო, მაგრამ ვინ იფიქრებდა, თუ ერთ კვირაში მიწისძვრა ბერძნულ მიწასაც შეარყევდა და საბერძნეთის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩს პაოკ — აეკ-ი, 12 სექტემბერს რომ უნდა გამართულიყო, ერთი კვირით გადადებდა.

**ვახტანგ ბზიკაძე**


პაოკ-ის ლიდერი კოსტას ფრანცესკოსი

უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალი. პირველი მატჩი

## ლოკომოტივი — პაოკ

16 სექტემბერი. 19 საათი. თბილისი. ეროვნული

# აჰა, პაოკიც



პაოკელები სასტუმრო „შერატონისკენ“ მიეშურებიან

ბერძნული პაოკ-ის დასახვედრად „შერატონ მეტეხი პალასზე“ უკეთეს ადგილს განსახლების კომისიის თავმჯდომარეც ვერ მოგვიძებნიდა და ამიტომაც „სარბიელის“ დელეგაცია ადრევე ჩასაფრდა ჩვენი ოთხვარსკვლავიანი და სამლიფტიანი სიამაყის ჰოლში. ბერძნებს მომსახურე პერსონალი სრული პირველი საათისთვის ელოდა (ასე დაურეკავთ), მაგრამ სტუმრებმა საათზე მეტი დააგვიანეს და ჩვენც რაღა დაგვრჩენოდა, შერატონულ ჭორებსა (სმენას რომ ალიზიანებს) და იქაურ, მართლაც ვირტუოზულ (სმენას რომ ატკბობს), მუსიკას მივნებდით.

მუსიკა, დიახ, ჩინებული იყო (ფლეიტა, როიალი და მათი ჯანი), ჭორისა კი რა მოგახსენოთ — „შერატონის“ მავან სტუმარს, სახელად ოსმანს ლამის დებოში აუტეხავს, სასტუმროში ყველა ლიფტი ცალ მხარეს რატომაა, ჩემი ნომერი მეორე მხარესაა და ფეხით სიარული მიწევსო... „შენ არ გეიარე, ნენაო“, ასე უპასუხებდა აბეზარ სტუმარს ოლღა ბებია, „შერატონ პალასის“ დიასახლისი ის რომ იყოს, მაგრამ ამაზე სხვა დროს...

სალონიკის პაოკ-ი კი ორ საათსა და ორმოც წუთზე მოადგა სასტუმროს. ელინთა შთამომავლებს ისე ამშვენებდათ ახალმოდის ევროპული ჰალსტუხ-კოსტუმი, ერთი სიამოვნება იყო მათი ცქერა. რა ფერის და რა ჯურის ფეხბურთელი გინდოდა, პაოკ-ის ავტობუსიდან არ ჩამოსულიყო, მაგრამ ქართული მასმედიის ყურადღება მაინც ერთმა, მკითხველისთვის კარგად ნაცნობმა ომარ თეთრაძემ მიიპყრო.

სანამ ჟურნალისტების ხელში და ალყაში მოექცეოდა, ომარი ახლობლებმა ჩაიკრეს — დედა, მამა, მოგვიანებით ცოლ-შვილიც მასთან გაჩნდნენ და იყო ერთი მოკითხვა და სიხარული.

ბერძნულმა გუნდმა სასტუმროში რეგისტრაციის გავლას ოცი-ოცდაათი წუთი მოანდომა და, ნომრების პლასტიკური ბარათები დაურიგეს თუ არა, ფეხბურთელები სართულებს შეესივნენ. ფოიე კი ბერძენი ჟურნალისტებით ივსებოდა და ივსებოდა. გუშინ გუნდის ჩათვლით ასი კაცი ეწვია თბილისს. დღეს მატჩის დაწყებამდე ავტობუსით კიდევ ორმოცი ბერძენი ჩამოვა და, სავარაუდოდ, ასორმოცკაციან დელეგაციას ისტუმრებს თბილისი. ბერძნებმა ეროვნული სტადიონის დირექციას ასი ბილეთი შეუკვეთეს და ამ არცთუ მრავალრიცხოვანი ფანობით შეერკინებიან თბილისის „ლოკომოტივის“ ქომაგებს.

პაოკ-ის მწვრთნელი, ცნობილი ჰოლანდიელი არი ჰაანი, ჯვარი ეწეროს და, კია ჯანმრთელად. ფერი, ხორცი, აღნაგობა — ყველაფერი ისეთი აქვს, მოყვარეს რომ გაუხარდება და მტერს ეწყინება. თმებიც, როგორც ახალგაზრდობისას, გრძლად გაუშვია და ჭაღარაზე თუ შეატყობ, რომ წავიდა, ჰეე...

ჩვენი ჰოლანდიელისგან განსხვავებით (ბოსკამპი, აბა ვინ სხვა), არი ჰაანი მშვიდი, თავდაჯერებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ცოტა მკაცრიც გვეჩვენა. დადის და ძალას აფრქვევს. უნდიც მას თუ ჰგავს, მინდორზე გამოჩნდება.

ომარ თეთრაძის თქმით, პაოკ-ს ტრავმები არ აწუხებს, გამოცდილება არ აკლია, ვალენსია, ფრანცესკოსი და მათი მსგავსი მოთამაშეები კლასსაც მატებენ და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გუნდის სპონსორი ბერძნული „მეშვიდე არხის“ მფლობელი ტელემაგნატია, ყველაფერი ნათელი გახდება. ყოველ შემთხვევაში, ფული გვაქვსო — ირწმუნებიან ბერძნები.

აქედან გამომდინარე, უფულობას და თბილისური ბაზრის სიძვირეს ნურავინ დააბრალებს იმას, რომ სალონიკელებმა კიტრი, პამიდორი, ბანანი, სხვა ხილი, კარტოფილი და... წყალიც კი ჩამოიტანეს. ახლა ნებისმიერი სოლიდური გუნდი ასე იქცევა.

ბერძნულ დელეგაციაში ერთი ძველი ნაცნობიც, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ნათამაშევი „მარგვეთის“ და ფოთის „კოლხეთის“ ყოფილი ფეხბურთელი ოდისეი ავრამიდისი შევნიშნეთ, მაგრამ იგი ისე მოუცლელი იყოო...

ბერძნებმა გუშინ ზუსტად შვიდ საათზე ივარჯიშეს ეროვნულზე. დღეს კი ზუსტად შვიდზე „ლოკომოტივი“ — პაოკ-ია.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# ომარ თეთრაძე: შანსები თანაბარია



ოჯახის წევრებისა და ახლობლების მოსიყვარულება-მოკითხვის მერე საქართველოში დაბადებულ-დაღვინებულმა ომარ თეთრაძემ მცირე ხნით ჩვენთვისაც მოიცალა...

— მე არათუ ქართულ ფეხბურთს, არამედ მთლიანად ფეხბურთს ვიყავი მოშორებული ტრავმის გამო. ამდენად, საქართველოს ფეხბურთში არსებულ სიტუაციაზე არაფერი ვიცი. მოგეხსენებათ, საზღვარგარეთ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი არ შუქდება. ჩემთვის ერთადერთი საზომი ქართული გუნდების შედეგებია ევროთასებზე. ამ მხრივ კი მართლაც ცუდი ვითარებაა.

„ლოკომოტივზე“ მხოლოდ ის ვიცი, რომ მას მურთაზ ხურცილავა წვრთნის და მასში ჩემი ყოფილი თანაგუნდელები ბარამიძე და გოგიჩაიშვილი თამაშობენ.

დანარჩენს მატჩი გვიჩვენებს. ჩემი პრინციპია, წინასწარ არასდროს შევაფასო მეტოქეთა შანსები რომელიმე მათგანის უპირატესობით. ამიტომ ახლაც, როგორც ადრე, ვამბობ — „ლოკომოტივი“ — პაოკ-ი შანსები ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა.

გეტყვით ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქეზეც. აეკ-ი საკმაოდ ძლიერი და სოლიდური გუნდია. საერთოდ, საბერძნეთში ოთხ გუნდს — „პანათინაიკოსს“, „ოლიმპიაკოსს“, აეკ-ს და პაოკ-ს გამოარჩევენ. სწორედ ეს ოთხი გუნდი განსაზღვრავს ბერძნული ფეხბურთის სახეს. აეკ-მა ბევრი ახალი ფეხბურთელი დაიმატა, შეიძლება მათ შეთამაშება აკლდეთ, მაგრამ ამან არავინ გაათამამოს. „ტორპედოს“ ძლიერი მეტოქე შეხვდა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# არი ჰაანი: არ წავაგებთ



ვისაც 70-იანი წლების სახელგანთქმული ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები გახსოვთ, არ გაგიჭირდებათ მისი ტანმაღალი და ათლეტური აღნაგობის მცველის, არი ჰაანის გახსენება. ქართველ გულშემატკივრებს ამ ფეხბურთელთან ერთი უსიამოვნო მოგონებაც აკავშირებთ — 1982 წელს თასების თასის გათამაშებაში თბილისის „დინამოს“ მძლეველ ბელგიურ „სტანდარდში“ ჰაანიც თამაშობდა და ჩვენს მთავარ საფეხბურთო მოედანზე ქარბორბალასავით დაქროდა.

ჰოლანდიელი გუშინ კიდევ ერთხელ გვეწვია. ამჯერად ბერძნული პაოკ-ის მწვრთნელის ამპლუაში. მასთან სასაუბროს რა გამოგვილევდა, მაგრამ აეროპორტიდან ახალმოსული იყო „შერატონში“, ძალიან ჩქარობდა და მხოლოდ რამდენიმე შეკითხვაზე გვიპასუხა:

**— თქვენი აზრი ქართულ ფეხბურთზე...**

— საქართველოს ფეხბურთზე იმდენი ვიცი, რამდენიც ზოგადად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ფეხბურთზე. ისიც ხომ მისი ერთ-ერთი წარმომადგენელია. კონკრეტულ დასკვნებს კი თქვენი ქვეყნის ნაკრებებისა და კლუბების მიერ ევროსარბიელზე ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით ვაკეთებ.

**— „ლოკომოტივისა“ და „ლინფილდის“ შეხვედრის ვიდეოჩანაწერს ნახავდით, მეტოქეზე რას გვეტყვით?**

— ეს კასეტა მართლაც ჩამოგვიტანა პაოკ-ის მენეჯერმა სტავროს სარაფისმა და რამდენჯერმე ვუყურე კიდეც. „ლოკომოტივმა“ ტექნიკური და ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. მის რიგებში რამდენიმე კარგი ფეხბურთელია. თუმც ვფიქრობ, თქვენები ვერ მოგვიგებენ, უფრო სწორად, ჩვენ არ წავაგებთ...

**— ომარ თეთრაძის კონდიციებით თუ ხართ კმაყოფილი?**

— თეთრაძე კარგი ფეხბურთელია. სამწუხაროდ, ბედი არ სწყალობს და მუდამ ტრავმებისგანაა დატანჯული. ჩვენთან ორი შეხვედრა ჩაატარა და საკმაოდ მაღალ დონეზე. პაოკ-ის დაცვის ბურჯი იყო.

**— თბილისური მატჩის პროგნოზი გვითხარით.**

— ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, წესით, შეხვედრა არ უნდა წავაგოთ. თუმც სათამაშო პრაქტიკას მოკლებულნი ვართ. ოფიციალური მატჩი არ გვითამაშია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

**ხვიჩა სანიკიძე**

# ლოკომოტივი მშვიდადაა

ბერძნულ პაოკ-თან შესახვედრად თბილისის „ლოკომოტივი“ მშვიდ გარემოში ემზადება. ხურცილავა და მისი შეგირდები „ბათუმთან“ მატჩის მეორე დღიდანვე დიღომში, „ლოკომოტივის“ ბაზაზე მოეწყვნენ და უცხო თვალისგან მოშორებით საქმიანობენ.

გუშინ დავუკავშირდით „ლოკომოტივის“ საშეფოს — რკინიგზის დეპარტამენტს, საიდანაც გვაცნობეს, რომ გუნდს ორგანიზაციული პრობლემები არ აწუხებს — მურთაზ ხურცილავას არ დაურეკავს, როგორც ჩანს, ყველაფერი რიგზეაო.

დღევანდელ მატჩში ალბათ ვერ ითამაშებს შოთა ჩომახიძე. გუნდის მესვეურთა განცხადებით, მას თავი შეუძლოდ უგრძვნია და ძნელი წარმოსადგენია, თამაშამდე გამოჯანმრთელდეს. სამაგიეროდ, რამდენადმე გაზვიადებული აღმოჩნდა ცნობა კახა გოგიჩაიშვილის ავადმყოფობის შესახებ. იგი დღეს აუცილებლად ითამაშებს, ასეთი იყო ბატონი ედიკ სანაიას პასუხი.

„ლოკომოტივის“ მთავარ მწვრთნელთან და ფეხბურთელებთან დაკავშირებით ერთსაც გაცნობებთ — მათ პაოკ-ზე წარმოდგენა მხოლოდ მეტოქეთა გვარებითა და ერთადერთი შეხვედრის ვიდეომასალით შეიქმნეს, ამიტომ საკითხავია, საკმარისია თუ არა ეს, რათა გვარიანად მოძლიერებულ პაოკ-ს ღირსეულად ეთამაშონ.

**ვანო ოქრობირიძე**

# ადოლფო ვალენსია: უჩინარი დიდი გუნდიდან

*დამალობანა ჯერ კიდევ „შერატონ პალასიდან“ დაიწყო... სასტუმროში შემოსული ბერძნული კლუბის ფეხბურთელები საჭირო დოკუმენტაციის გაფორმებას შეუდგნენ. გამორჩევით ერთი მათგანი, კოლუმბიელი ადოლფო ვალენსია მაინტერესებდა. პაოკ-ს სამი შავკანიანი ფეხბურთელი ჰყავს. ეს სამეული ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ მათ შორის ვალენსიას გამორჩევა ცოტა საძნელოც გახლდათ. ის იყო, ორი წარუმატებელი ცდის შემდეგ მესამე შავკანიანისკენ გავემართე, რომ ბერძენთა დელეგაციიდან ერთ-ერთმა გამართული ქართულით დაილაპარაკა. იგი ოდისეი ავრამიდისი აღმოჩნდა, თავის დროზე არაერთ ქართულ კლუბში (მათ შორის „ლოკომოტივშიც“) მოთამაშე, რვა წლის უკან ისტორიულ სამშობლოში წასული კაცი. რამდენიმე წამით დავყოვნდი, ეს დრო კი საკმარისი აღმოჩნდა ვალენსიას გაუჩინარებისთვის. თვალიც კი ვერავინ ჰკიდა კოლუმბიელს, ისე გაემართა ლიფტით თავისი ოთახისკენ. ორი საათის შემდეგ პაოკ-ის ფეხბურთელები ისევ სასტუმროს ჰოლში შეიყარნენ, ამჯერად ვარჯიშზე წასასვლელად ემზადებოდნენ. თითქმის ყველა ადგილზე იყო, მაგრამ სასტუმროდან გასვლას არ ჩქარობდნენ, ვიღაცას ელოდნენ. აქაიქ ბერძენ ჟურნალისტთა ხმაც ისმოდა „ადოლფო, ადოლფო“. არ ჩანდა ვალენსია. მისი თანაგუნდელები უკვე ავტობუსში ისხდნენ, ჟურნალისტები კი მოძრავ ლიფტებს თვალს არ აშორებდნენ. შემთხვევით სასტუმროდან გასასვლელი კარისკენ გავიხედე... ვალენსია ჩქარი ნაბიჯით მიემართებოდა ავტობუსისკენ. სტადიონზე კი... წამით დავეჭვდი სტუმრთა გასახდელს სხვა გასასვლელიც ხომ არა აქვს-მეთქი.*

*— მაგისას ვერაფერს გაიგებთ, მუდამ ასეთი შეუმჩნეველია. ალბათ, უკვე მოედანზე იქნება — გვითხრა ომარ თეთრაძემ. მართლაც ვალენსია უკვე ბურთით ერთობოდა...*

*საბედნიეროდ, ჩვენს ეროვნულზე მოედნიდან გასახდელში დაბრუნების ერთი გზა არსებობს.*

*მაშ ასე, ადოლფო ვალენსია „სარბიელის“ მკითხველის წინაშე.*



ბადრი კეთილაძის ფოტო

— მოედანზეც ზუსტად ასეთი ვარ, თითქოს არ ვჩანვარ, გავიტრუნები, წამით დავიკარგები და...

**— და?**

— უცებ ავფეთქდები, მერე ძნელია ჩემი შეჩერება.

**— როგორც ჩანს, საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უნდა გიჭირდეთ?**

— რატომ უნდა მიჭირდეს? ჩემი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ცუდი არაფერი გამიკეთებია. მე ვამაყობ ჩემი განვლილი გზით.

**— ამ განვლილი გზიდან განსაკუთრებით რა გახსენდებათ?**

— კოლუმბიის ნაკრები, ჩემი დროის დიდებული ნაკრები.

**— ალბათ, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინანდელ ნაკრებს გულისხმობთ.**

— რასაკვირველია. მართლაც დიდი გუნდი იყო.

**— იმ დიდმა გუნდმა დიდი ფიასკო განიცადა ჩემპიონატზე და საერთოდ, ვარსკვლავებით დახუნძლულ კოლუმბიის ნაკრებს განსაკუთრებული შედეგებისთვის არ მიუღწევია, მას ყოველთვის თითქოს რაღაც აკლდა. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— გეთანხმებით, ნაკრებში ყველა ფეხბურთელი კარგი იყო, რინკონი, ვალდერამა, ასპრილია, ვალენსიაც და კიდევ ბევრი სხვაც. სათანადო მომზადებაც არ გვაკლდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა... და იცით რა არის ამის მიზეზი? ფორტუნა, მხოლოდ და მხოლოდ ფორტუნა. ჩვენ საჭირო მომენტში ბედი არ გვწყალობდა, ფორტუნა კი ბევრი რამის განმპირობებელი არის ფეხბურთში. ამიტომაც ჩავაგდეთ აშშ-ში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატი.

**— 1994 წლის ამბებიდან ერთზე არ გკითხოთ, არ იქნება. ესკობართან დაკავშირებულ ტრაგედიას ვგულისხმობ...**

— მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ არც ისე ბევრი, ეს ტრაგედია მეხსიერებიდან წაიშალოს. ასეთი რამ არ მსმენია, კაცი ავტოგოლისთვის დაეხვრიტოთ. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ განსაკუთრებულად ვმეგობრობდით, მაგრამ მშვენიერი ურთიერთობა გვქონდა. ესკობარი დიდი ტკივილია ჩემთვის.

**— მაშინ ხმამაღლა ამბობდნენ, რომ ამით სხვა კოლუმბიელი ფეხბურთელები გააფრთხილეს.**

— არა, მასეც არ ყოფილა საქმე. ისე, კოლუმბიაში გამორჩევით ეკიდებიან ფეხბურთს.

**— მაინც როგორ?**

— ეს რომ გაიგოთ, კოლუმბიელი უნდა იყოთ.

**— კარგით. თქვენ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშეთ, რა შთაბეჭდილებები დაგრჩათ?**

— საფრანგეთი 98-მა თავი საოცრად მაღალი დონის ორგანიზაციით დამამახსოვრა. მშვენიერი იყო საფრანგეთში გატარებული თითოეული დღე და მათ დიდი სიამოვნებით ვიხსენებ.

**— რასაც ვერ იტყვით, ალბათ, გერმანულ „ლევერკუზენში“ გატარებულ დროზე...**

— ცდებით, „ბაიერში“ ჩემი კარიერის საუკეთესო წლები გავატარე და ყველაფერს ტკბილად ვიგონებ.

**— თუ არ ვცდები, გერმანულ კლუბს უცნაურ ვითარებაში დამ-ორდით. მიზეზი გერმანულ ენასთან თქვენი მ[illegible]**

— ხომ გითხარით, გერმანულ წლებს ტკბილად ვიხსენებ.

**— კოლუმბიელ [illegible] შემაძლია ასპრილიასა და ვალდერამაზე არ გკითხოთ...**

— თავი მომაბეზრეს, ყველა ჟურნალისტი მათზე მეკითხება.

**— დარწმუნებული ვარ, მათაც ეკითხებიან თქვენზე...**

— ჰო... ალბათ. კარგი, ნორმალური ბიჭები არიან. რაც მთავარია, თავიანთ საქმეს მშვენივრად აკეთებენ. მეტი რა გითხრათ.

**— კოლუმბია ბევრისთვის ნარკობიზნესთანაც ასოცირდება. სხვათა შორის, ამ სახის ბიზნესთან კოლუმბიური ფეხბურთის კავშირზეც ბევრი მსმენია.**

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით...

**— პაოკ-ში როგორ მოხვდით?**

— ჩვეულებრივად. ბერძნებს დავჭირდი, მისაღები პირობებიც შემომთავაზეს და პაოკ-ს მივაშურე. ამ გუნდში, ალბათ, ერთ სეზონს ვითამაშებ, შემდეგ კი ვნახოთ, ჩემზეა დამოკიდებული, რა როგორ იქნება.

**— ქართულ ფეხბურთზე თუ გსმენიათ რამე?**

— სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს გეტყვით ამ მხრივ.

**— აქედან გამომდინარე, ალბათ, თქვენს დღევანდელ მეტოქეზე, „ლოკომოტივზეც“ არ გექნებათ წარმოდგენა.**

— არავითარი. თუმცა ამაში ახალიც არაფერია. ბევრჯერ მქონდა შემთხვევა, უცნობ გუნდებთან მითამაშია, ისეთებთანაც, რომელთა სახელები პირველად გავიგე. ამას რა მნიშვნელობა აქვს. ფეხბურთელისთვის მთავარია მოედანზე მოსაგებად გავიდეს და თავისი საქმე აკეთოს. ასე რომ...

**— ესე იგი, თბილისშიც მოსაგებად ჩამოხვედით?**

— რა თქმა უნდა, შევეცდებით საქმე პირველივე შეხვედრაში მოვამთავროთ. მოგების დიდი სურვილი მაქვს, რამდენად შევძლებთ, ამას მატჩი გვაჩვენებს.

ბაატა ქვანტალიანი

---

უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალი. პირველი მატჩი

## ტორპედო — აეკ

16 სექტემბერი. 17 საათი. ქუთაისი. ტორპედო

# ყიფიანი: ფავორიტი აეკია
# ტუმბაკოვიჩი: ნაადრევად გაგვიხარდა

**უეფას** თასს ვერც ინტერტოტო შეედრება, ვერც აწ გარდაცვლილი საკავშირო, თუნდაც, უმაღლესი ლიგა და, მით უფრო, ვერც ფეხბურთის პროფანაცია ჩვენი ეროვნული ჩემპიონატი. ჰო, ვერც ესტონური „ლანტანა“ შეედრება ბერძნულ აეკ-ს.

თქმაც არ უნდა, დღეს ქუთაისის „ტორპედოს“ თავის თითქმის 55-წლიან ისტორიაში ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩის გამართვა უწევს. უეფას თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპის გავლის შემდეგ „ტორპედო“ ამ პრესტიჟულ ევროტურნირში თავის ახალ მეტოქეს საბერძნეთის თერთმეტგზის ჩემპიონ და ათგზის თასის მფლობელ, ელინთა ქვეყნის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბს, ათენის აეკ-ს ეპაექრება. ეპაექრება შინ, ქუთაისში, ახლახან „ტორპედოდ“ წოდებულ სტადიონზე.

დიახ, „ტორპედოზე“! სულ რაღაც ათი დღე გავიდა იმ ავადსახსენებელი ხანძრიდან, ნაომარ ალაგს რომ დაამსგავსა სტადიონის ადმინისტრაციული შენობა და კაცის სიცოცხლეც შეიწირა.

ბევრი ეჭვობდა, ვერ მოასწრებენო გადამწვარ-დანგრეულის აღდგენას, ტორპედოელებს აეკ-თან სხვაგან მოუწევთ თამაშიო, მაგრამ, არა, მოესწრო. დღე და ღამეს ასწორებდა ხალხი, კლუბის ხელმძღვანელობიდან დაწყებული და რიგითი მუშით დამთავრებული. დაფასდა გარჯა.

უეფას დელეგატმა პოლონელმა ზბიგნევ კალინსკიმ გუშინ დილით მოინახულა ნახანძრალი სტადიონი. მოინახულა და ქუთაისური კლუბის მესვეურთ მცირეოდენი შენიშვნები მისცა. ამ შენიშვნების გასათვალისწინებლად კი თამაშამდე დარჩენილი დღე-ღამე სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო.

ბერძენთა 110 კაციანი დელეგაცია გუშინ შუადღისას ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა კოპიტნარის აეროპორტში. ამ 110-კაცში (და ქალში) 34 კლუბის წევრია, რა თქმა უნდა, ფეხბურთელებითურთ, 28 ჟურნალისტი (პრესა, რადიო, ტელევიზია) და დანარჩენი — აეკ-ის ქომაგნი.




მამუკა დარჩია კოპიტნარიდან

გუშინ კოპიტნარის აეროპორტში: აეკ-ი ქუთაისში „საქართველოს ავიახაზების“ ლაინერმა ჩამოიყვანა

საბაჟო ფორმალობებმა რაღაც ნახევარი საათი წაიღო. ეს რომ მორჩა სტუმრები სამ კომფორტაბელურ ავტობუსში განაწილდნენ, ცალკე გუნდი და მისი ხელმძღვანელობა, ცალკე ჟურნალისტები და ცალკე შავ-ყვითელ (აეკ-ის ფერები) სამოსიანი ბერძნული გუნდის, ალბათ, ყველაზე ერთგული გულშემატკივრები. ქუთაისიდან ერთმა (ავტობუსმა) ვარციხის სამთავრობო რეზიდენციისკენ აიღო გეზი, ორმა კი წყალტუბოსკენ გაუხვია, თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმში დასაბინავებლად ჩაიყვანა სტუმრები.

ვარციხეშიც და წყალტუბოშიც ბერძნებმა ცოტა მოისვენეს და 17 საათისთვის უკვე სტადიონზე იყვნენ. აეკ-ის სერბმა მთავარმა მწვრთნელმა, ჩვენთვის კარგად ნაცნობმა ლიუბიშა ტუმბაკოვიჩმა (იგი შარშან ორჯერ სტუმრობდა ბათუმს როგორც „პარტიზანის“ მთავარი მწვრთნელი), ნაწვიმარ მინდორზე საათსა და ხუთ წუთს ავარჯიშა თავისიანები უხმაუროდ. ტუმბაკოვიჩს, მგონი, სიტყვაც არ ამოუღია. სტუმრებმა კარგა ხანს აგორეს „კვადრატი“, მერე ორ გუნდად გაიყვნენ და წაითამაშეს კიდეც. ახოვანი ბიჭები ჰყავს აეკ-ს. მეკარეებს ილიას ატმაციდისს და ხრისტოს მიხაილიდისს სიმაღლეში ორ მეტრს არაფერი დააკლდებათ. კუნთმაგრებიც ჩანან. ეს განსაკუთრებით ბერძენთა საუკეთესო თავდამსხმელ დემის ნიკოლაიდისზე ითქმის. აეკ-ის ისლანდიელი ლეგიონერი არნარდ გრეტარსონი კი ყველაზე მოძრავი გვეჩვენა მოედანზე. ოთხი იუგოსლაველი ლეგიონერიდან ერთს ნამდვილად რაღაც აწუხებდა, ან უხასიათოდ იყო, ყოველ შემთხვევაში „ბარსელონადან“ ახალშეძენილ დრაგან ჩირიჩს ვარჯიშისას დიდი მონდომება არ ეტყობოდა. არ ვიცით, დღეს რას მოიმოქმედებს ტუმბაკოვიჩის ფალავანი, მაგრამ გუშინ მას რაღაც უცნაურად ეჭირა თავი, თითქოს სხვათაშორის გასულიყო მოედანზე.

იხილეთ მეექვსე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლიუბიშა ტუმბაკოვიჩი

მამუკა დარჩია ქუთაისიდან

უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალი. პირველი მატჩი

# ტორპედო — აეკ

16 სექტემბერი. 17 საათი. ქუთაისი. ტორპედო

# ყიფიანი: ფავორიტი აეკია
# ტუმბაკოვიჩი: ნაადრევად გაგვიხარდა



სტეფანოს მამადისი

აეკ-ის ახლადდანიშნული პრეზიდენტი

მამუკა დარჩია ქუთაისიდან

დასაწყისი მეხუთე გვერდზე

სტუმართა ვარჯიშის საცქერლად დასავლეთ ტრიბუნაზე ლამის 500 ცნობისმოყვარე შეიკრიბა. „ტორპედოს" ხელმძღვანელობაც მთელი შემადგენლობით აქ იყო. ქუთაისელთა თავკაცი დავით ყიფიანი სამთავრობო ლოჟიდან ადევნებდა თვალს ტუმბაკოვიჩის ბიჭებს და თავისთვის რაღაც-რაღაცეებს ინიშნავდა.

მძიმე, ძალიან მძიმე თამაში ელის დღეს „ტორპედოს" და ვაჟკაცობაც ის იქნება, ტორპედოელებმა საკუთარი ძალა ირწმუნონ, მეტოქეს არ შეუშინდნენ (ფეხბურთს გვარები არ თამაშობენ) და თუ ასე მოხდა, ალბათ, არ გაგვწირავს ღმერთი.

მეტოქეთა დღევანდელი სავარაუდო შემადგენლობანი ასეთია:

*ტორპედო:* ჭანტურია, აზვლედიანი, ხვადაგიანი, ვ. მაისურაძე, შეყრილაძე, ჩხეტიანი, კვეტენაძე, გოგიაშვილი, იონანიძე, მეგრელაძე, დ. ჯანაშია

*აეკ:* ატმაციდისი, ლაკისი, კასაპისი, სავევსკი, დელასი, პეტრიჩი, მარკოსი, ზიკოსი, ჩირიჩი, ნიკოლაიდისი, ბიეკოვიჩი

„ტორპედო" — აეკ-ს ირლანდიელ თემიდის მსახურთა ბრიგადა განსჯის. არბიტრი ჯონ მაკდერმოტია, დამხმარეები ელი ფოლეი და ენდონი რაიანი, სათადარიგო სიმუს დივეინი.

უეფას დელეგატი ამ მატჩზე, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პოლონელი ზბიგნევ კალინსკია.

წუხელ სტადიონის დირექციიდან გვაცნობეს, რომ თამაშზე დასასწრები 7 200 ბილეთიდან გაუყიდავი სულ ცოტალა დარჩა.

ბაგრატის ტაძრის აღორძინების ფონდის ოფისში დავით ყიფიანმა და ლიუბიშა ტუმბაკოვიჩმა ბერძენი და ქართველი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართეს.

**— როგორ ფიქრობთ, ძალუძს თქვენ გუნდს აეკ-თან ტოლად თამაში და შემდეგ ეტაპზე გასვლა?**

*ყიფიანი* — ჩვენს წყვილში ფავორიტი უდავოდ აეკ-ია, მაგრამ თქვენც იცით, ფეხბურთში ყველაფერი ხდება, დაზღვეული არავინ არის. მე ვფიქრობ, რომ ასეთი დიდი გუნდის ჩამოსვლა ბედნიერებაა აქაური ფეხბურთის მოყვარულთათვის. დარწმუნებული ვარ, ხვალინდელი და საპასუხო თამაშიც ათენში გულშემატკივრებს სიამოვნებას მიანიჭებს.

ვსარგებლობ შემთხვევით და სამძიმარს გიცხადებთ ათენში მომხდარი მიწისძვრის გამო. ჩვენ აქ სტადიონის შენობის ორი სართულის დაწვას ვჯავრობდით, თქვენ კი უარესი დაგემართათ.

**— აეკ-ზე რა იცით?**

*ყიფიანი* — ამ გუნდზე იმდენი კი ვიცით, რომ პატივი ვცეთ. რამდენიმე წლის წინ აეკ-ის ცოცხალი თამაშიც მინახავს. ინფორმაცია საკმარისად გვაქვს.

**— თქვენი მომზადებული გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა. ამ ფაქტორმა ფსიქოლოგიურად ხომ არ გატეხა მოთამაშეები და ხომ არ არის იმის საშიშროება მათ სათანადოდ არ შეაფასონ „ტორპედო"?**

*ტუმბაკოვიჩი* — ჯერ იმას ვიტყვი, უნდა დავივიწყოთ შვედურ აიკ-თან წარუმატებლობა. როგორც ჩემმა კოლეგამ ბრძანა, ფეხბურთში ყველაფერი ხდება. უეფას თასიც ხომ ძლიერთა ტურნირია, ამიტომ უნდა დავამტკიცოთ ჩვენი ამბიციურობა, დავძლიოთ ფსიქოლოგიური ბარიერი. ფეხბურთელებისგან სრულ მობილიზაციას მოვითხოვ, არ აქვს მნიშვნელობა ვის და სად ვეთამაშებით.

**— როგორი ატმოსფეროა გუნდში ბერძნებთან თამაშის წინ?**

*ყიფიანი* — ატმოსფერული წნევა ნორმალურია, ატმოსფეროც. ბიჭები ჯანზე არიან.

**— ძირითადი შემადგენლობიდან ქუთაისში ხომ არავინ დაგაკლდათ?**

*ტუმბაკოვიჩი* — ტრავმების გამო მცველი კაპსისი და თავდამსხმელი კონსტანტინიდისი ათენში დარჩნენ.



ქუთაისის „ტორპედო" საღორიის ბაზაზე აეკ-თან მატჩამდე ბოლო ვარჯიშისას

**— მართალია, რომ იტალიურ კლუბებს „ფიორენტინას" და „რეჯინას" თქვენი წამყვანი მოთამაშეების შეძენა სურდათ?**

*ტუმბაკოვიჩი* — ამის შესახებ ჩვენ მხოლოდ გაზეთებში წავიკითხეთ. არავის გაყიდვას არ ვაპირებთ.

**— ამასწინათ „ტორპედოს" მონაწილეობით საქართველოს ჩემპიონატის მატჩზე მოვლენილმა თქვენმა თანაშემწემ რა ინფორმაცია ჩამოგიტანათ?**

*ტუმბაკოვიჩი* — არ დავმალავ, წილისყრის შედეგი რომ გავიგეთ, კმაყოფილნი დავრჩით, მაგრამ მოგვიანებით აზრი შეგვეცვალა. ჩემმა დამხმარემ თავად ნახა „ტორპედოს" თამაში და რამდენიმე კასეტაც ჩამოიტანა. დავრწმუნდით, რომ ეს გუნდი სულაც არ არის ხელწამოსაკრავი, სერიოზული მეტოქეა. ასე რომ, თავდაპირველად შევცდით.

**— შარშან თქვენ „პარტიზანს" თავკაცობდით, თასების თასზე ქართულ გუნდთან „ბათუმთან" მოგიწიათ თამაში. ხომ არ შეადარებდით შარშანდელ და ახლანდელ მეტოქეებს?**

*ტუმბაკოვიჩი* — „პარტიზანის" მთავარ მწვრთნელად ექვსი წელი ვიმუშავე. მართალია, შარშან ორჯერ შევხვდით „ბათუმს". ბელგრადულ მატჩში ძალიან დიდი უპირატესობა გვქონდა, ყველაფერი იქ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ მხოლოდ 2:0 მოვიგეთ. სტუმრად კი 0:1 წავაგეთ, „ბათუმმა" შინ გაცილებით უკეთესად ითამაშა. შედარებას რაც შეეხება, მე „ტორპედოს" თამაშები მხოლოდ ვიდეოფირზე ვნახე, ამიტომ შედარებისგან თავს შევიკავებ.

**— რა შედეგი გაძლევთ ხელს ხვალინდელ მატჩში?**

*ყიფიანი* — ჩვენ ორჯერ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს, ამიტომ ხვალინდელზე მეტად ორი თამაშის ჯამში რა იქნება, ის უფრო მაინტერესებს.

*ტუმბაკოვიჩი* — პასუხი ერთია — გამარჯვება. მოთამაშეებს ბოლომდე საბრძოლველად ვრაზმავ, ოღონდ ვფიქრობ, ყველაფერი მაინც ათენში გადაწყდება.

**— თქვენი ხელმძღვანელობით აეკ-მა რამდენიმე თამაში გამართა. გრძნობთ თუ არა პროგრესს?**

*ტუმბაკოვიჩი* — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. პრობლემა ის არის, რომ სულ ორი თვეა, რაც გუნდთან ვმუშაობ. შვედურ აიკ-თან ორი თამაშის გარდა საპასუხისმგებლო შეხვედრები არ გვქონია. საბერძნეთის ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, სათამაშო პრაქტიკა გვაკლია, თანაც გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია. მაგრამ, მაინც მგონია, თამაშს ვუმატებთ.

**— „ბარსელონას" ჩირიჩში დიდი თანხა გადაუხადეთ, მაგრამ ამ ფეხბურთელისგან ჯერჯერობით სათანადო უკუგებას ვერ ვხედავთ, თითქოს უგულოდ თამაშობს?**

— მართალია, ჩირიჩს აეკ-ში ჯერ ის არ უჩვენებია, რისი ჩვენებაც შეუძლია. ძალიან კარგად მესმის, რას ითხოვენ მისგან. წინა სეზონში ჩირიჩმა ცოტა ითამაშა „ბარსელონაში" და ჩვეული ფორმა დაკარგა. მის აღსადგენად დროა საჭირო. ფეხბურთელი ძალიან ბევრს და სერიოზულად ვარჯიშობს, მტკიცე ხასიათის ბიჭია, მას პატარაობიდანვე ვიცნობ და მჯერა, სულ მალე სრულ მზადყოფნაში იხილავთ.

**იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან**



გუშინ წმინდა გიორგის ეკლესიაში: „ტორპედოს" ქომაგნი უფალს აეკ-ზე გამარჯვებას ევედრებიან

მამუკა დარჩია ქუთაისიდან

**— რა გაინტერესებთ?**

*(სტეფანოს მამადისი)*

— რა გაინტერესებთ?

**— რატომ შეიცვალა კლუბის პრეზიდენტი?**

— კლუბის დამფინანსებლებმა გადაწყვიტეს ასე. აქამდე 6 წელი აეკ-ის დირექტორატის წევრი გახლდით.

**— ახალი პრეზიდენტის ხელში აეკ-ი პირველ ოფიციალურ მატჩს გამართავს ქუთაისში...**

— დიახ, პირველს.

**— და როგორ აფასებთ მეტოქეთა შანსებს?**

— 50X50-ზე

**— ეს ქუთაისში?**

— რა თქმა უნდა.

**— თქვენმა წინამორბედმა რა დააშავა?**

— ეს მას უნდა ჰკითხოთ.

**— აეკ-ის სტადიონი „ნიკოს გუმასი" ძლიერ დაზარალებულია?**

— სანახევროდ დაინგრა. ახლის აშენებას ვაპირებთ, ძველზე ბევრად უკეთესისას.

**— იმავე ადგილზე?**

— ვნახოთ, ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

**— ხომ ვერ გვეტყვით, ვინ იყო ნიკოს გუმასი?**

— ნიკოს გუმასი აეკ-ის ისტორიაა. კლუბი მისი დაარსებულია.

**— გუნდში თამაშობდა?**

— არა, არასოდეს უთამაშია. ისე ბევრი რამ შესწირა აეკ-ს, თავის დროზე კლუბის პრეზიდენტიც გახლდათ.



მამუკა დარჩია ქუთაისიდან

დრაგან ჩირიჩი

აეკ-ში „ბარსელონიდან" მისული იუგოსლავიელი ლეგიონერი

**— დღეს 25 წელი შეგსრულებიათ, გილოცავთ!**

— დიდი მადლობა!

**— ესპანეთიდან თქვენი წამოსვლის მიზეზი რა იყო?**

— „ბარსელონამ" აეკ-ში ერთი წლით გამანათხოვრა.

**— რადა აეკ-ში?**

— სხვა ვარიანტებიც იყო, მაგრამ...

**— წინა გუნდში ვისთან უფრო იყავით შეთამაშებული?**

— ყველასთან.

**— ახალ გუნდში როგორ შეგხვდნენ?**

— ნორმალურად.

**— ქუთაისში გოლის გატანას შეეცდებით?**

— შანსი მომეცეს და...

**— ხვალინდელი მატჩის თქვენეული პროგნოზი, მოიგებთ?**

— ეს არავინ იცის, შანსები 50X50-ზეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტოკჰოლმის შხამიანი საღამო

ფრანგი მსაჯი ალენ სარსი შვედეთში ულმობელი კრიტიკის ობიექტად იქცა: ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის B ჯგუფის სტოკჰოლმში გამართულ შეხვედრაში — აიკი „ბარსელონას" მასპინძლობდა — მან ესპანური გუნდის სასარგებლოდ ჩათვალა გოლი, რომელიც შვედური პრესის აზრით არ უნდა ჩათვლილიყო, რადგან იმ დროს, როდესაც აბელარდო აიკის კარს ლაშქრავდა მასპინძლები ორი ფეხბურთელის შეცვლით იყვნენ გართული.

მეორე დღეს ადგილობრივი გაზეთები მყვირალა სათაურებით იქცევდნენ ყურადღებას: „სამსაჯო სკანდალი", „გამარჯვება მოგვპარეს", „ქურდები რასუნდას სტადიონზე"...

„აიკი ალენ სარსმა დაამარცხა. ამ კაცს „რასუნდას" სტადიონზე არასდროს დაივიწყებენ" — წერდა ატბლოიდ „ექსპრესენის" მესვეტე მატჩ ოლსონი.

მისი კოლეგა „აფტონბლადეტიდან", ლასე სანდლინი, კი ფიქრობს, რომ აიკის მიერ უეფაში ნაფრენი საჩივარი შედეგს ვერ მოიტანს, რადგან „ბარსელონას" მოგებას არავინ გააუქმებს. იგი წერს:

„რასუნდას" ჯადოსნური ღამე ფრანგმა მსაჯმა ალენ სარსმა ჩაშალა. ვინ წარმოიდგენდა, რომ აიკის ძლიერ სტარტს არბიტრის არაკომპეტენტურობა ნასმხვრევებად აქცევდა."

შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე, როდესაც აიკი 1:0-ს იგებდა, აბელარდომ თავური დარტყმით გაქვითა ანგარიში. როგორც გაუწყეთ, მასპინძლები იმ დროს ფეხბურთელებს ცვლიდნენ. შემდეგ, მსაჯის დამატებული დროის მესამე წუთზე დანიმ კიდევ ერთი თავური გაუტანა აღელვებულ და კალაპოტიდან ამოვარდნილ მასპინძლებს.

აიკის აღშფოთებული მწვრთნელი სტიუარტ ბაქსტერი კი სარსმა წითელი ბარათით დასაჯა.

„გოლი მაშინ გავიდა, როდესაც ჩვენ მოედანზე ცხრა კაცით ვიყავით დარჩენილი და ორგანიზება გვაკლდა. შეუძლებელი იყო მისი ჩათვლა" — განაცხადა ბაქსტერმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე.

„აიკმა თამაშით უნდა იამაყოს, მიუხედავად იმისა, რომ მსაჯმა მატჩი დაუნგრია" — თქვა TV3-ის კომენტატორმა ტომას ნორდალმა.

„მსაჯი ძალიან ხუმარა გამოდგა" — განაცხადა სტოკჰოლმელთა გამოცდილმა მცველმა პონტუს კამარკმა.

აიკის გაცეცხლებული გულშემატკივრები მოგვიანებით მინი-უწესრიგობის მიზეზად იქცნენ. მათ პოლიციას ქვები ესროლეს. შვიდი ადამიანი დააპატიმრეს, თუმცა ერთი ხნის მერე გაანთავისუფლეს.

„ისინი დამარცხებისგან ნამდვილად გულგატეხილნი იყვნენ" — უთხრა „ექსპრესენის" კორესპონდენტს პოლიციის პრეს-ატაშემ ლარს რიხტერმა.

სარსმა და თანამსაჯებმა „რასუნდას" სტადიონი გაძლიერებული დაცვის მეთვალყურეობით დატოვეს.

# იეშიჩი ლიდსმა გააკვირვა

ბელგრადში ფრენაზე დაწესებული ემბარგოს გამო, ადგილობრივ „პარტიზანს" უეფასაგან მიეცა არჩევანის უფლება, უეფას თასის მატჩი „ლიდს იუნაიტედის" წინააღმდეგ მისთვის სასურველ სტადიონზე ჩაეტარებინა. „პარტიზანმა" ჰოლანდიის ქალაქ ჰერენვენის 14 000-იანი მოედანი აირჩია და მატჩიც სწორედ იქ გაიმართა. ინგლისელები ამ გადაწყვეტილებით მაინცდამაინც აღფრთოვანებულები არ იყვნენ, რადგან მათი ფანები ჰოლანდიელების მიმართ არცთუ კარგად არიან განწყობილნი, თუმცა მატჩი მაინც ჩატარდა და „ლიდსმა" 3:1 მოიგო. როგორც ჩანს, „ლიდსი" საუკეთესო ფორმაშია, რასაც ინგლისის ჩემპიონატში ჩატარებული ბოლო მატჩიც მოწმობს — „ქოვენთრის" 4:3 მოუგეს. ეს აზრი „პარტიზანის" მწვრთნელმა მილოდრაგ იეშიჩმაც გამოთქვა და დაადასტურა, რომ „ლიდსს" მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმა ჰყავს. გასულ სეზონში „პარტიზანი' „ნიუკასლ იუნაიტედს" შეხვდა და ასპარეზობიდანაც გამოთიშა. იეშიჩის თქმით, ამ ორი გუნდის თავდასხმის შედარებაც არ შეიძლება ერთმანეთთან, „ლიდსი" გაცილებით ძლიერია „ნიუკასლზე".

საპასუხო შეხვედრაში მწვრთნელი გულშემატკივარს უშელავათო ბრძოლასა და ლამაზ სანახაობას დაჰპირდა.




ლუკას რადებეს გოლმა ლიდსელები დააწინაურა

**უეფას თასი. პირველი ეტაპი**
**პირველი წრე. 14 სექტემბერი**

UEFA CUP

**პარტიზანი (იუგოსლავია) 1:3 ლიდსი (ინგლისი)**
1:0 ტომიჩი (20), 1:1 ბოიერი (26), 1:2 რადებე (39), 1:3 ბოიერი (82)

**ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:1 მონპელიე (საფრანგეთი)**
0:1 ლოკო (6)

**ვოლფსბურგი (გერმანია) 2:0 დებრეცენი (უნგრეთი)**
1:0 აკონორი (61), 2:0 იუსკოვიაკი (87)

**უდინეზე (იტალია) 1:0 ოლბორგი (დანია)**
1:0 სოტილი (9)

**სტაბეკი (ნორვეგია) 1:0 დეპორტივო (ესპანეთი)**
1:0 ფინსტადი (57)

**სტიაუა (რუმინეთი) 2:0 ლინცერი (ავსტრია)**
1:0 კიოჩიუ (64), 2:0 დანჩიულესკუ (82)




ლილიან ტურამი, ერნან კრესპო და ენრიკო კიეზა გასულ სეზონში „პარმას" შემადგენლობაში უეფას თასს დაეუფლნენ

# არველაძე და ჯანაშია მკურნალობენ, ქეცბაია კი მოედანს უბრუნდება

UEFA CUP

**I ეტაპი. I წრე**

დიდების შარავანდედით მოსილი კლუბები, „იუვენტუსი", „აიაქსი" და „პარმა", დღეს უეფას თასის პირველ რაუნდში ანუ ძველებურად ოცდამეთორმეტედფინალში არეული გრძნობებით ერთვებიან.

„იუვენტუსსა" და „აიაქსს", როგორც ჩემპიონთა თასის ყოფილ მფლობელებს, სწამთ, რომ უფრო პრესტიჟულ ჩემპიონთა ლიგაში ეკუთვნოდათ თამაში. ალბათ ამასვე გრძნობს „პარმაც", რომელიც უეფას თასის ბოლო მფლობელი გახლავთ და იმედოვნებდა კიდეც ლიგაში მოხვედრას, მაგრამ შესარჩევ ეტაპზე წაიფორხილა.

1996 წლის უძლიერეს გუნდს, „იუვენტუსს" სულაც ღირსების შემლახველი გზის გავლა, უეფას თასზე ინტერტოტოდან მოხვედრა მოუხდა და ახლა კვიპროსზე ნიქოზიის „ომონიასთან" უწევს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ჭიდილი.

ტურინელებს ფრანგი გამთამაშებელი ზინედინ ზიდანი და ნიგერიელი ნახევარმცველი სანდი ოლისე ჰყავთ დაშავებული. 10 თვიანი მკურნალობა — ძალთა აღდგენის მერე საქმეში დაბრუნებული ალესანდრო დელ პიერო სავარაუდოდ თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდება, ხოლო მოედანზე იუგოსლავიელი თავდამსხმელი დარკო კოვაჩევიჩი გამოჩნდება.

მიუხედავად შესუსტებული შემადგენლობისა, „იუვენტუსი" კვიპროსელთათვის მეტისმეტად მაღალი ბარიერია და ეს, უპირველესად, თავად „ომონიას" ჩეხმა მწვრთნელმა დუშან გალისმა იცის კარგად:

„ვინაიდან ისეთ გუნდს ვეთამაშებით, როგორც „იუვენტუსია", ოცნების უფლებაც კი არ გვაქვს".

ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელი „აიაქსი" სლოვაკეთის „დუკლა ბანსკასთან" სათამაშოდ, ტურინელთა მსგავსად, ტრავმებისგან შეთხელებული შემადგენლობით ემზადება. მიუხედავად ამისა ამსტერდამელთა მწვრთნელი იან ვოუტერსი ამბობს:

„თუ ჩვეული სიმწვავით შევძელით თამაში, არანაირი სირთულე არ გველის".

„აიაქსის" ქართველ თავდამსხმელს შოთა არველაძეს მხარი აწუხებს, ისევე როგორც პედრიკ ვან დერ გუნსა და ბრუტილ ჰოსეს. ნახევარმცველი დანი ბარძაყმტკივანია, ხოლო მცველი იან ვან ჰალსტი მყესს უჩივის.

„პარმას" კი, ამასობაში, შეუძლია ბრაზილიელ თავდამსხმელს მარსიო ამოროზოს დებიუტი მოუწყოს. იტალიელთა მეტოქე უკრაინული „კრივბასი" გახლავთ, კრივოი როგიდან.

ხსენებულ ამოროზოს, რომელიც გასულ სეზონში, „უდინეზეს" შემადგენლობაში სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მუხლი სტკიოდა, მაგრამ დაუამდა.

რაც შეეხება „კრივბასს", მისი მწვრთნელის ოლეგ ტარანის აზრით შესაძლოა უკრაინის ნაკრების წევრი გენადი მოროზი დააკლდეს, რადგან მას ფეხის ტკივილმა შეახსენა თავი.

„ჩემი ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად კარგად არიან მზად და მათგან „პარმას" საფუძვლიან შემოწმებას ველი" — ამბობს ტარანი.

პირველ ეტაპზე 48 გუნდი გამოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ოთხგუნდა 12 ჯგუფად არიან დაყოფილი. მაგალითად, „იუვენტუსი" და „ომონია" პირველ ჯგუფს განეკუთვნებიან, „აიაქსი" და მისი სლოვაკური მეტოქე მეორეს, ხოლო „პარმა" და „კრივბასი" მესამე ჯგუფელები გახლავან.

კიდევ ერთი იტალიური გუნდი, „რომა", პორტუგალიურ „ვიტორია სეტუბალს" მასპინძლობს. რომაელებს დისკვალიფიცირებული ფრანჩესკო ტოტის გარეშე მოუწევთ ბრძოლა და ვინჩენცო მონტელასა და მარკო დელვეკიოს მისი დამხარების გარეშე მოუწევთ მოწინააღმდეგის მცველებთან ბრძოლა.

ესპანური „მალიორკა", თასების თასის ბოლო გათამაშების დამარცხებული ფინალისტი, ჩეხეთშია, სადაც „სიგმას" უნდა დაუპირისპირდეს. მოგეხსენებათ „მალიორკას" ახლახან მწვრთნელის შეცვლა მოუხდა, რადგან ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ არგენტინელ მარიო გომესს კვალიფიკაცია დაუწუნა და გუნდმაც შველა ფერნანდო ვასკესს სთხოვა.

ვასკესმა ჩეხეთში გამგზავრების წინ განაცხადა: „ჩვენთვის „სიგმა" იოლად დასაძლევი მეტოქე არ იქნება. ეს გუნდი ძალიან დისციპლინირებული და ფიზიკურად ჩინებულად მომზადებული გახლავთ".

ევროპულ შეჯიბრებას დაუბრუნდა ინგლისელი მწვრთნელი ჯონ გრეგორი. ამ სპეციალისტმა ლონდონის „არსენალი" 1994 და 1995 წლებში თასების თასის ფინალში გაიყვანა — ერთხელ მოიგო — ახლა კი დედაქალაქის სხვა გუნდის, „ტოტენჰემ ჰოთსპურის" თავკაცად მოევლინა კონტინენტს. „სპურზი" მოლდოვურ „ზიმბრუს" მასპინძლობს.

ჯონ გრეგორი: „მიყვარს ევროპა. აქ როგორც ფეხბურთელს, ისე მწვრთნელს ბევრი რამის სწავლა შეუძლია. შეჯიბრებას ძალიან სერიოზულად უნდა მივუდგეთ".

გერმანელთა იმედი უპირველესად „კაიზერსლაუტერნს" უკავშირდება, მაგრამ ბუნდესლიგის 1998 წლის ჩემპიონის გარდა ანგარიშგასაწევი ძალა გახლავთ ბრემენის „ვერდერიც".

„კაიზერსლაუტერნი", რომელიც შოტლანდიურ „კილმარნოკს" მასპინძლობს, ეროვნულ ჩემპიონატში ჯერჯერობით სუსტად ასპარეზობს. მან ბუნდესლიგის ოთხი თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგო, ხოლო კვირას, სწორედ „ვერდერთან" 0:5 დამარცხდა.

გერმანულ გუნდს შესაძლოა კაპიტანი ჩირიაკო სფორცა დაუბრუნდეს, რომელსაც, სხვათა შორის, ამას წინათ, მწვრთნელთან, ოტო რეჰაგელთან, ტაქტიკის გამო დიდი შეხლა-შემოხლა ჰქონდა.

„ვერდერი" ნორვეგიაშია „ბოდიო გლიმტთან" სათამაშოდ.

ბელგიური „ანდერლეხტი" სლოვენიურ „ოლიმპიას" მასპინძლობს. ბრიუსელელებს არ ეყოლებათ ვეტერანი ენცო შიფო, რომელიც ფილტვის ავადმყოფობის შემდეგ შუშდება.

ტრავმის გამო დანიურ „ლუნგბიუსთან" ვერ ითამაშებს მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველი ფორვარდი ზაზა ჯანაშია. თასების თასის ბოლო ორი გათამაშების ნახევარფინალისტს არ ეყოლება ბელარუსი ანდრეი ლავრიკიც. მას ბარძაყი სტკივა.

რაც შეეხება კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელის, თემურ ქეცბაიას ინგლისურ გუნდს, „ნიუკასლ იუნაიტედს", იგი ახალი მწვრთნელის, ბობი რობსონის თავკაცობით ბულგარულ ცსკა-ს უნდა გაეჯიბროს.

„ჩვენთვის უეფას თასზე მნიშვნელოვანი პრემიერლიგაში დარჩენაა" — თქვა რობსონმა — „მაგრამ ევროშეჯიბრებები მომხიბლავია და მისი ადრეული ეტაპიდან გამოვარდნა ძალიან გულდასაწყვეტი იქნება".

მოსალოდნელია, რომ ნიუკასლელთა კარს სტივ ჰარპერი დაიცავს, რადგან ტომი რაიტი უეფას თასის განაცხადში შეყვანილი არ გახლავთ. გამოჯანმრთელდნენ თემურ ქეცბაია და სტივენ გლასი, რომელთაც გასულ შაბათს „ჩელსის" წინააღმდეგ (0:1) არ უთამაშიათ.

**მიხეილ სურგულაძე**

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. A ჯგუფი

### დინამო 0:1 მარიბორი

0:1 სიმუძა (74)
დინამო: შოვკოვსკი, გერასიმენკო (კონოვალოვი 70), გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, კალაძე, კორმილცევი (ფიოდოროვი 60), გუსინი, კოსოვსკი, შატსკიხი (ვენგლინსკი 66), რებროვი
მარიბორი: სიმეუნოვიჩი, სესლარი, ჟიდანი, კარიჩი, სიმუძა (ფილიპოვიჩი 79), კიპი, ბალაიჩი (ვუგდალიჩი 64), დიურანოვიჩი, გალიჩი, ბოზგო (პრეგელი 89), სარკეზი
მსაჯი: ლ. ირვინი (ჩრ. ირლანდია)

ჩემპიონთა ლიგის ბოლო გათამაშების ნახევარფინალისტი, უკრაინული ფეხბურთის სიამაყე კიევის „დინამო“ შერცხვა — შინ დამარცხდა სლოვენიის უძლიერეს კლუბ „მარიბორთან“, გუნდთან რომელსაც ორი წლის წინ ამსტერდამის „აიაქსმა“ 9:0 მოუგო.

ორი წელიწადი საკმარისი დროა იმისათვის, რომ კარგი გუნდი ჩამოაყალიბო. „მარიბორის“ მაგალითი ამაზე მეტყველებს — ორი წლის წინ განადგურდნენ სლოვენიელები, მაგრამ, ეტყობა დასკვნები გამოიტანეს და ისეთი გუნდი შექმნეს, შესარჩევი ტურნირიდან ჩემპიონთა ლიგამდე მიაღწიეს, თან ლიგაში პირველი მატჩიც მოიგეს.


REUTERS ლევერკუზენიდან

ლევერკუზენი — ლაციო 1:1. სტუმართა არგენტინელ ნახევარმცველ მატიას ალმეიდას (№25) ლევერკუზენელთა ბრაზილიელი ემერსონი და კარსტენ რამელო ებრძვიან

კიეველები კი... ვერ გეტყვით, ანდრეი შევჩენკოსთან ერთად „დინამომ“ მებრძოლი სული დაკარგა, თუ არა, მაგრამ უკრაინის უძლიერესი კლუბი რომ ძალიან ცუდად გამოიყურებოდა, ფაქტია. შევჩენკოს გასხვისებასთან ერთად „დინამოს“ აშკარად მოაკლდა უძლიერესი კლასის თავდამსხმელი. წინ წაწეულ რებროვს კი კოსოვსკი სათანადო პარტნიორობას ვერ უწევდა.

— ძნელი თამაში იყო. მეტოქე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ გვეგონა. მარცხიც სწორედ ძალთა შეუფასებლობამ გამოიწვია — სიტყვაძუნწი აღმოჩნდა უკრაინელთა მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი.

„მარიბორი“ კი უშეცდომოდ თამაშობდა. რა თქმა უნდა, კიეველები ძალას არ იშურებდნენ გოლის გასატანად, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. სლოვენიელთა დაცვა მჭიდროდ, შეთანხმებულად, უშეცდომოდ თამაშობდა და მასპინძელთა შეტევებიც კარამდე ველარ აღწევდა. უკრაინელებმა ერთადერთხელ დაძლიეს სტუმართა დაცვა, თუმცა ოლეგ ვენგლინსკიმ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა.

გოლი სწორედ მაშინ გავიდა, როცა ყველა უგოლო ფრეს მოლოდინში გარინდულიყო — ონტე სიმუძამ მოახერხა და უკრაინელ მცველებს გასცდა, „დინამოს“ წინგამოსულ მეკარეს, ალექსანდრ შოვკოვსკის აჯობა და ბურთი შორეულ კუთხეში დაარტყა. გოლიც გავიდა.

— სეზონის დაწყებამდე ვერც კი წარმოვიდგენდი, ამდენს თუ მივაღწევდით. ჩემპიონთა ლიგა, წარმატებული დებიუტი... თავი სიზმარში მგონია. ძალიან მიხარია, ძალიან! — კიევში გამარჯვებას „მარიბორის“ მეკარე მარკო სიმეუნოვიჩი ალეფრთოვანებინა. შეხვედრის დასრულებამდე წუთით ადრე სწორედ სიმეუნოვიჩი ალუდგა უკრაინელთა ლიდერ სერგეი რებროვს და საპასუხო გოლი არ გაატანინა.

### ლევერკუზენი 1:1 ლაციო

1:0 ნოივილი (14), 1:1 მიხაილოვიჩი (18)
ლევერკუზენი: მატიშეკი, კოვაკი, ნოვოტნი, გრესკო (ბაინლიხი 67), შნაიდერი, რამელო, ემერსონი, ზე რობერტო, ჰეიდუკი, რაიხენბერგერი (პონტე 83), ნოივილი (ბრდარიჩი 74)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, სტანკოვიჩი, ალმეიდა, ლომბარდო, მანჩინი (ნედვედი 76), ვერონი (სიმეონე 51), ბოკშიჩი (სალასი 81)
მსაჯი: გ. პოლი (ინგლისი)

მართალია, სინიშა მიხაილოვიჩზე უკეთესი მცველები მთელს ევროპაში კი არა, იტალიაშიც ბევრი მოიძებნება, მაგრამ იმის თქმა კი უაზრობა იქნებოდა, რომ ეს ფეხბურთელი საჯარიმო დარტყმებს სხვებზე ნაკლებად ასრულებს. ერთი რამ ცხადია — დღესდღეობით ევროპაში მიხაილოვიჩზე უკეთესად საჯარიმო დარტყმებს ვერავინ ასრულებს.

მე-18 წუთისთვის თასების თასის და ევროპის სუპერთასის მფლობელი რომის „ლაციო“ უკვე აგებდა — ლევერკუზენელთა თავდამსხმელმა ოლივერ ნოივილმა ლამაზი გოლი გაიტანა. მეთვრამეტე წუთისთვის კი იუგოსლაველმა მიხაილოვიჩმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და დაახლოებით 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა უზადოდ შეასრულა — გერმანელებს ისღა დარჩენოდათ, ბურთი კარიდან გამოეტანათ.

— ჩვენ ევროპის ალბათ, უძლიერეს კლუბს ვეთამაშებოდით. ამით იმის თქმა სულაც არ მსურს, თითქოს ჩვენ ფრეთი ვამაყობდეთ, უბრალოდ, შეიძლება მეტოქეს ზედმეტი მოწიწებით ვეთამაშებოდით და სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ანგარიშის გახსნის შემდეგ რისკზე აღარ წავსულვართ — განაცხადა იენს ნოვოტნიმ, „ლევერკუზენის“ კაპიტანმა.

გერმანელები რომაელ მეტოქეს პირველივე წუთიდან ეკვეთნენ. ლუკა მარკეჯანის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ შედეგს ვერ აღწევდნენ, გოლი ვერ გაჰქონდათ.

საათის მეოთხედი რომ გავიდა, იტალიელთა კარის ბადე შეირხა — ბერნდ შნაიდერის მარჯვენა ფლანგზე განავარდების შემდეგ ნახევარმცველმა ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა. იქ ოლივერ ნოივილმა ყველას დაასწრო და კარის მიმართულებით დაარტყა, თუმც გზად ბურთი „ლაციოს“ კაპიტან ალესანდრო ნესტას შეეხო და მიმართულება იცვალა. ერთი სიტყვით, გოლი ასხლეტის შემდეგ გავიდა.

მერე „ლაციოს“ ჯერი დადგა — ალენ ბოკშიჩი ძალიან აქტიურობდა, თუმცა გოლი არა და არ გადიოდა.

ნოივილმა, რომელიც ქვეყნის პირველი გუნდის თავდამსხმელია შესანიშნავად ითამაშა და „ლაციოს“ გოლიც გაუტანა, მესამოცე წუთზე ბურთი ძელსაც მოარტყა — ლუკა მარკეჯანიმ ნახტომი დააგვიანა.

— კარგად დავიწყეთ, მაგრამ „ლაციო“ სულ უფრო უკეთესად თამაშობდა. შეტევის დაგვირგვინებისას ძალიან მოვიკოჭლებდით. ცუდია შინ რომ ვერ მოვიგეთ, მაგრამ ამით არაფერი დამთავრებულა — განაცხადა კრისტოფ დაუმმა, „ლევერკუზენის“ მწვრთნელმა. ცნობისთვის: 1997 წელს, როცა ლევერკუზენელები „დინამოსთან“ სათამაშოდ თბილისს ეწვივნენ, მათი მწვრთნელი სწორედ დაუმი გახლდათ.

დაუმის შვედი კოლეგა სვენ გორან ერიკსონი შედეგით და გუნდის თამაშით კმაყოფილი იყო, თუმცა ის კი განაცხადა, ჩვენმა ფეხბურთელებმა ოთხი ყვითელი ბარათი მიიღეს, ამან შეიძლება მომავალში საქმე გაგვირთულოსო.

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მარიბორი | | 19.X | 22.IX | 27.X | 1:0 | 3 |
| 2 | ლაციო | 29.IX | | 27.X | 22.IX | 1:1 | 1 |
| 3 | ლევერკუზენი | 2.XI | 1:1 | | 29.IX | 1:1 | 1 |
| 4 | დინამო | 0:1 | 2.XI | 19.X | | 0:1 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. B ჯგუფი

### აიკ 1:2 ბარსელონა

1:0 ნოვაკოვიჩი (72), 1:1 აბელარდო (86), 1:2 დანი (90)
აიკ: ასპერი, კიოლო, ლიუნგი, ბრუნდინი, კამარკი (კორნელიუსონი 85), ლაგერლოფი, ნორდინი, ო. ანდერსონი, ტიერნსტრომი (ბერგი 74), ნოვაკოვიჩი (მატი 85), ა. ანდერსონი
ბარსელონა: ჰესპი, რ. დე ბური, ფ. დე ბური, ბოგარდი (აბელარდო 27), სერხი, ხავი, კოკუ, ფიგუ, კლუივერტი (დანი 74), ლიტმანენი, რივალდო
მსაჯი: ა. სარსი (საფრანგეთი)

„სიკვდილის ჯგუფად“ მონათლულ B ჯგუფში თავიდანვე „მიცვალებულად“ შერაცხულმა სტოკჰოლმის აიკ-მა პირველსავე შეხვედრაში კინალამ სენსაცია გამოჭედა — შვედები ევროპული ფეხბურთის გრანდს „ბარსელონას“ უგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ გამოცდილებამ თავისი გაიტანა და გაცილებით უკეთესად მოთამაშე „ბარსელონამ“ სამართლიანად იმარჯვა.

მას შემდეგ, რაც აიკ-ის ლეგიონერმა ნობოშა ნოვაკოვიჩმა 72-ე წუთზე რუდ ჰესპს ულამაზესი გოლი გაუტანა (მოხდენილი დარტყმით ჰოლანდიელ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო), მასპინძელთა მდგომარეობა უფრო და უფრო გამძაფრდა. ესპანელებმა შეტევებს უმატეს, უცბად მოიპოვეს უდიდესი უპირატესობა და ყველაფერი ილონეს შეხვედრის გადასარჩენად.

— შესანიშნავია, როცა ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩს, თანაც სტუმრად, შენს სასარგებლოდ ასრულებ — განაცხადა ლუის ვან გაალმა, „ბარსელონას“ მწვრთნელმა.

ის-ის იყო, შვედ ქომაგებს გულით უნდა გაეხარათ, რომ ესპანელებმა ანგარიში გააყაიმეს — აბელარდო ფერნანდესმა კუთხურისას ყველას აჯობა და ბურთი აიკ-ის კარში გადაგზავნა. ამ გოლმა, რომელმაც მასპინძლები წელში გატეხა, აიკ-ის ინგლისელი მწვრთნელის, სტიუარტ ბაქსტერის აღშფოთება გამოიწვია. ინგლისელს მიაჩნდა, რომ „ბარსელონამ“ გოლი წესების დარღვევით გაიტანა, ამის შესახებ შეხვედრის ფრანგ არბიტრ ალენ სარსსაც აცნობა, მაგრამ მსაჯისგან მხოლოდ და მხოლოდ წითელ ბარათს გამორჩა. ბაქსტერი გააძევეს.

— ეს სხვა არაფერია, თუ არა სკანდალი! შეუძლებელია, ჩემპიონთა ლიგის მატჩებს ასეთი დაბალი დონის მსაჯები ემსახურებოდნენ. ნუთუ ძნელი მისახვედრია, რომ როცა ერთი გუნდი ფეხბურთელს ცვლის, თამაში უნდა შეჩერდეს? აბელარდოს გოლისას ჩვენ მეტოქესთან შედარებით ორი მოთამაშით ნაკლებნი ვიყავით. გოლიც ამის გამო გავუშვით — ცხარობდა ბაქსტერი. გუშინვე აიკ-მა განაცხადა, რომ მომხდარის გამო უეფაში პროტესტის შეტანას აპირებს. ვრცლად მომხდარის თაობაზე მეშვიდე გვერდზე იხილეთ.

ვრცლად მომხდარის თაობაზე მეშვიდე გვერდზე იხილეთ.

მოგება კი „ბარსელონამ“ მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე შეძლო — პორტუგალიელი ლუიშ ფიგუს ჩაწოდების შემდეგ, „მალიორკადან“ ამ ზაფხულს 15 მილიონ დოლარად შეძენილმა დანი გარსიამ მეორედ დალაშქრა სტოკჰოლმელთა კარი.

— ფლორენციაში დაფიქსირებულმა ფრემ ძალიან გაგვახარა. პირველივე შეხვედრის შემდეგ ჯგუფის ლიდერები ვართ. „ბარსელონა“ წლეულს გაცილებით კარგად გამოიყურება, ვიდრე წინა სეზონებში. ჩვენ ძალგვიძს უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა — განაცხადა სერხი ბარხუანმა, „ბარსელონას“ მცველმა.

### ფიორენტინა 0:0 არსენალი

ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, პადალინო, პიერინი (ადანი 83), ჰაინრიხი, დი ლივიო, რუი კოშტა, კოისი, მიატოვიჩი, ბატისტუტა, კიეზა
არსენალი: მანინგერი, ადამსი, კიოუნი, ლუჟნი, უინტერბერნი, გრიმანდი, ვიეირა, ლუნგბერგი, ბერხკამპი (ანრი 81), ოვერმარსი, შუკერი (კანუ 61)
მსაჯი: ჰ. კრუგი (გერმანია)

79-ე წუთზე ფრანჩესკო ტოლდო, ფლორენციელთა ტანმაღალი მეკარე, „ფიორენტინას“ მხსნელად მოევლინა — მოხდენილად გადახტა მარცხნივ და ლონდონის „არსენალის“ ნიგერიელ თავდამსხმელ ნვანკვო კანუს პენალტი არ გაატანინა. შეხვედრის დასრულებამდე ზუსტად ათი წუთი რჩებოდა.

გერმანელმა არბიტრმა ჰელმუტ კრუგმა პენალტი მასპინძელთა კარში ტოლდოს უხეშობის გამო დანიშნა — იტალიელმა, რომელიც საჯარიმოში შეჭრილ ლუნგბერგთან პირისპირ დარჩენილიყო, სტუმართა გამრჯე ნახევარმცველს ფეხი წვივში ჩასცხო და მინდორზე დაანარცხა. მერე კანუ გამოექანა და...

— ცუდად ვითამაშეთ. მოგება კი არა, კმაყოფილი ვარ, რომ არ წავაგეთ. წარმოიდგინეთ, რა მძიმე იქნებოდა ჩვენთვის პირველივე შეხვედრაში წაგება. „ფიორენტინას“ უსახურ თამაშს ახსნა მოეძებნება, მაგრამ ასეთი რამ შემდგომ არ უნდა განმეორდეს — განაცხადა ჯოვანი ტრაპატონიმ, მასპინძელთა გამოცდილმა მწვრთნელმა.

„არსენალმა“ ჩინებულად ითამაშა. ლონდონელები გაცილებით თავდაჯერებულნი გამოიყურებოდნენ, მეტოქესთან შედარებით უფრო სახიფათოდაც უტევდნენ და თან უმთავრესი ამოცანაც შეასრულეს — ფლორენციელთა სამკაციანი თავდასხმა შეაჩერეს. ვერც გაბრიელ ბატისტუტამ, ვერც ენრიკო კიეზამ და ვერც პრედრაგ მიატოვიჩმა მოახერხეს ავსტრიელი ალექს მანინგერის კართან რაიმე ღირებულის შექმნა.

წინ კი ინგლისის ვიცე-ჩემპიონები ჩინებულად თამაშობდნენ — მარცხენა ფლანგზე ოვერმარსი მეურვეს, შემდგომ კი მეურვეებს თავბრუს ახვევდა, ცენტრში კი დენის ბერხკამპი მოძრაობდა სახიფათოდ. თუ ამათ დავუმატებთ შეტევებში ხშირ-ხშირად ჩართულ ლუნგბერგს, გამოვა, რომ ფლორენციელებს გვარიანი სამუშაო ჰქონდათ.

— გოლის გატანის რამდენიმე ჩინებული შანსი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. აქ მოპოვებული ერთი ქულა ერთი შეხედვით სასიხარულოცაა და დასანანიც. დასანანია იმიტომ, რომ იმ ხელსაყრელი, მაგრამ გამოუყენებელი მომენტების გათვალისწინებით, ჩვენ ნამდვილად დავკარგეთ ორი ქულა — თქვა არსენ ვენგერმა, „მეთოფეთა“ ფრანგმა მწვრთნელმა.


REUTERS ფლორენციიდან

ფიორენტინა — არსენალი 0:0. კანუს (№25) ვერგატანილი პენალტი, იტალიელთა სიხარული და ნიგერიელის მწუხარება

საგოლე მომენტები კი „არსენალს“ ნამდვილად ჰქონდა: მეთვრამეტე წუთზე ოვერმარსმა კიდევ ერთხელ გაინავარდა ფლანგზე და ცენტრში საკმაოდ სახიფათო გადაცემა გააკეთა. ორმა ფლორენციელმა პასის ჩაჭრა ვერ მოახერხა და წამოპარულმა ლუნგბერგმაც ძლიერად დაარტყა — ტოლდომ რის ვაი-ვაგლახით იხსნა თავისი კარი. მოგვიანებით პატრიკ ვიეირასა და ჟილ გრიმანდის კომბინაციის შემდეგ გადაურჩნენ მასპინძლები გოლს. მეორე ტაიმის დასაწყისში უკვე ტონი ადამსმა გაუშვა ხელიდან ხელსაყრელი მომენტი — კუთხურის შემდეგ „არსენალის“ კაპიტანმა უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ბურთმა სანტიმეტრებით გადაუფრინა „ფიორენტინას“ კარს.

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბარსელონა | | 29.IX | 22.IX | 27.X | 2:1 | 3 |
| | არსენალი | 19.X | | 27.X | 22.IX | 0:0 | 1 |
| | ფიორენტინა | 2.XI | 0:0 | | 19.X | 0:0 | 1 |
| | აიკ | 1:2 | 2.XI | 29.IX | | 1:2 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. C ჯგუფი



ბოავიშტა — რუსენბორგი 0:3. ნორვეგიელმა მინი იაკობსენმა ბოავიშტელი პაულუ სოუზა (№2) ცრუმოძრაობით გზიდან ჩამოიცილა

### ბოავიშტა 0:3 რუსენბორგი

0:1 სიორენსენი (8), 0:2 ბერგი (43), 0:3 სტრანდი (73)
ბოავიშტა: ბასეი, პაულუ სოუზა, ემანუელი, მაგალიაეიში, მარიო სილვა, ბენტო, ლუის მანუელი, ტიმოფტე (ფორმოსო 6), ჟორჟე კოუტუ, ჟილმარ ესტევანი (სილვა 54), აინფული
რუსენბორგი: იამტფალი, იონსენი, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, ბერგდოლმო, სტანდი (ვინსენსი 89), სკამელსრუდი, ბერგი, იაკობსენი, სიორენსენი (დალუმი 81), კარეუ
მსაჯი: გ. ჩეზარი (იტალია)

პორტუგალიის ბოლო ჩემპიონატში პორტუს „ბოავიშტა“ მხოლოდ თანაქალაქელ „პორტუს“ ჩამორჩა, შესაბამისად, ჩემპიონთა თასზე თამაშის უფლებაც მოიპოვა. „ბოავიშტასთვის“ „რუსენბორგთან“ მატჩი ევროპის ყველაზე პრესტიჟულ გათამაშებაში დებიუტი გახლდათ.

პორტუგალიელები თავიდანვე განწირულნი ჩანდნენ. შეხვედრის დასაწყისმა ცხადყო, რომ „ბოავიშტა“ „რუსენბორგის“ მძლე[illegible]ლი არ იყო, ტრონჰეიმელებიც ადგნენ და პორტუგალიელებს კუდით ქვა ასროლინეს.

ნორვეგიელებმა პირველი გოლი „ბოავიშტას“ მეკარის შეცდომის შემდეგ შეაგდეს — მან კუთხურის შემდეგ ბურთის მოხელთება ვერ შეძლო და წამოპარულმა იან დერეკ სიორენსენმაც ანგარიში გახსნა.

შესვენებამდე ორი წუთით ადრე სტუმრებმა მეტოქის დაცვა კიდევ ერთხელ გამოიჭირეს — მასპინძლებმა ორიან ბერგი უმეთვალყურეოდ დატოვეს, ამ უკანასკნელს კი გოლის გასატანად სავსებით ეყო თავისუფლების ორი წამი.

მესამე გოლი ნორვეგიელებმა კონტრშეტევის შემდეგ შეაგდეს.

ჩვენის მხრივ შეგახსენებთ, რომ სწორედ „ბოავიშტა“ გახლავთ ის კლუბი, რომელმაც საქართველოს უძლიერეს კლუბს თბილისის „დინამოს“ ევროტურნირებზე ასპარეზობის ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე საშინელი მარცხი აგემა — 1996 წლის შემოდგომით საქართველოს ჩემპიონი, თბილისში 1:0 გამარჯვების შემდეგ პორტუს ეწვია და 0:5 წააგო. ერთი წლის შემდეგ „დინამო“ კვლავ დამარცხდა ხუთბურთიანი სხვაობით, ამჯერად გერმანულ „ლევერკუზენთან“ — 1:6.

### ფეიენოორდი 1:1 დორტმუნდი

1:0 ვან ვონდერენი (66), 1:1 ბობიჩი (71)
ფეიენოორდი: დუდეკი, ბოსველტი, ვან ვონდერენი, კონტერმანი, რჟასა (დე ვისერი 46), ვან გასტელი, ტომასონი, პააუვე, კალუ, ხულიო კრუზი, ვან ფოსენი (სამარჯიჩი 81)
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, ევანილსონი, ნიჰუსი (ბარბარესი 76), რიკენი, სტევიჩი (ფაიერზინგერი 65), ნერლინგერი, დედე, მიულერი, რეინა, ბობიჩი (შერლიხი 90)
მსაჯი: ხ. მ. გარსია არანდა (ესპანეთი)

— უკმაყოფილონი ვართ, მეტოქის დამარცხება რომ ვერ შევძელით, მაგრამ თუ საქმეს სხვა კუთხით შევხედავთ და ჩვენს მოქმედებასაც გავითვალისწინებთ, ფრე ლოგიკური შედეგია — განაცხადა როტერდამელთა მწვრთნელმა ლეო ბენჰაკერმა.

ბენჰაკერის გერმანელი კოლეგა მიხაელ სკიბე შედეგით კმაყოფილი იყო:

— თითქმის ერთნაირი დონის გუნდების თამაშში ფრე სავსებით მისაღები შედეგი გახლდათ. 1:1 ჩვენთვის ზედგამოჭრილია.

პირველი ტაიმი მოსაწყენი იყო. გუნდები შეტევებით თავს მაინცდამაინც არ იკლავდნენ, ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. ბურთიც უმეტესწილად მოედნის შუაგულში ტრიალებდა.

მეორე ნახევარში სიტუაცია შეიცვალა.

66-ე წუთზე „ფეიენოორდის“ არგენტინელმა თავდამსხმელმა ხულიო კრუზმა შესანიშნავად ითამაშა, კის ვან ვონდერენს მაკრატელათი ლამაზი გადაცემა მიაწოდა და ჰოლანდიელმა მცველმაც ანგარიში გახსნა.

ჩემპიონთა ლიგის 1997 წლის გამარჯვებულმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ მალევე გასწორა — ფრედი ბობიჩმა ლარს რიკენისა და ჟუზეპე რეინას კომბინაცია უძლიერესი და უზუსტესი დარტყმით დაასრულა.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ როტერდამელებმა ერთი ხანობა გვარიანად შეუტიეს გერმანელთა კარს — იგივე კის ვან ვონდერენი, არგენტინელი თავდამსხმელი ხულიო კრუზი, ბონავენტურე კალუ, ერთ დროს ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი პეტერ ვან ფოსენი და ბოსველტი ზედიზედ ესხმოდნენ გამოცდილი იენს ლემანის კარს, მაგრამ სტუმრებს ხან უმართლებდათ, ხანაც თავად თამაშობდნენ საიმედოდ და როტერდამელებს გოლის გატანას არ ანებებდნენ.

— ბოლო ოცი წუთის მანძილზე ძალიან გაგვიჭირდა. შევატყვე, რომ გუნდს ძალიან უჭირდა, თუმცა ფეხბურთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დასახულ მიზანს უწიეს, ეს კი მთავარი იყო, ახლა მომავალ მატჩს ამ შეხვედრაში დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით შევხვდებით და ვეცდებით საშინაო მატჩი მოვიგოთ — განაცხადა სკიბემ.

მატჩის მიწურულს გუნდებმა კვლავ საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე იზრუნეს და თამაშიც ასე გალიეს.

ჰოლანდიურმა პრესამ „ფეიენოორდს“ შარშანდელი გამოცდილება გაახსენა — შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის ევროტურნირების გათამაშება როტერდამელებმა დორტმუნდელთა თანამემამულე „შტუტგარტთან“ მარცხის შემდეგ დატოვეს. „ფეიენოორდმა“ სტუმრად მეტოქეს 3:1 კი მოუგო, მაგრამ შინ იმდენი ქნა, სანამ 0:3 არ წააგო. სხვათა შორის, იმ მატჩში როტერდამელთა კარში, ისევე როგორც ახლა, ფრედი ბობიჩმა გოლი გაიტანა.

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსენბორგი | | 29.IX | 22.IX | 27.X | 3:0 | 3 |
| 2 | დორტმუნდი | 19.X | | 27.X | 22.IX | 1:1 | 1 |
| 3 | ფეიენოორდი | 2.XI | 1:1 | | 19.X | 1:1 | 1 |
| 4 | ბოავიშტა | 0:3 | 2.XI | 29.IX | | 0:3 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. I ტური. D ჯგუფი

### მანჩესტერი 0:0 კროაცია

მანჩესტერი: ვან დერ გოუ, კლეგი (ფორტუნი 83), სტამი, ბერგი, ფ. ნევილი, ბექემი, უილსონი (შერინგემი 60), სქოულზი, გიგზი, კოული, იორკი
კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი, იურიჩი, ტომასი, სარიჩი, იურჩიჩი, მუიჩინი (მუმლეკი 70), ბისკანი, ცვიტანოვიჩი, სიმიჩი (მიკიჩი 68), რუკავინა
მსაჯი: ნ. ლევნიკოვი (რუსეთი)

არგენტინელი ოსვალდო არდილესი „ოლდ ტრეფორდს“ კვლავ თავაწეული ტოვებს — მისმა გაწვრთნილმა „კროაციამ“ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, გოლი არ გაატანინა და ინგლისელ მეტოქეს ქულებც აართვა.

80-იანი წლების დასაწყისში არდილესი ინგლისის „ტოტენჰემში“ თამაშობდა. სწორედ იმ ხანებში „ტოტენჰემმა“ ასოციაციის თასის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს“ „ოლდ ტრეფორდზე“ მოუგო და გადამწყვეტი გოლი სწორედ არდილესმა გაიტანა. ამიტომაც ითქვა დასაწყისში, არდილესი „ოლდ ტრეფორდს“ კვლავ თავაწეული ტოვებსო.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ... „კროაციამ“ ბოლომდე იბრძოლა, თავიდანვე მკაცრ დაცვას მიმართა და სამშობლოში ქულით დაბრუნდა — ინგლისის უძლიერესმა კლუბმა ხორვატ მეტოქეს ვერაფერი დააკლო, არადა გამარჯვების შანსი ნამდვილად ჰქონდა.

— მე ვამაყობ ჩემი ბიჭებით. მათ იმედი გაამართლეს და ძალიან მიხარია, რომ მეტოქეს არ დავეჩაგვრინეთ. „კროაცია“ ჩამოვიდა მანჩესტერში წარმატების მისაღწევად და ვთვლი, რომ გუნდმა მიზანს მიაღწია. დასაწყისისთვის კარგია — განაცხადა არდილესმა.

მისი შოტლანდიელი კოლეგა ფერგიუსონი, ცხადია, უკმაყოფილო გახლდათ, თუმცა მაინცდამაინც გულგატეხილი არ იყო: „ჯგუფიდან გასასვლელად ათი ქულა გვჭირდება. ერთი უკვე გვაქვს, ვეცდებით, დანარჩენი ცხრაც მოვიპოვოთ“.

ინგლისელები თითქმის სათადარიგო შემადგენლობით ასპარეზობდნენ — ტრავმების თუ სხვადასხვა მიზეზების გამო მათ თითქმის ნახევარი გუნდი აკლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელებმა „კროაციას“ დამარცხება ვერ მოახერხეს, მათთვის ეს წაუგებელი შეხვედრა ერთის მხრივ სასარგებლოც გამოდგა — „მანჩესტერ იუნაიტედი“ დღესდღეობით ერთადერთი კლუბია ევროპაში, რომელსაც ამსტერდამის „აიაქსის“ რეკორდის დამხობა შეუძლია.

ჰოლანდიელთა მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ მათ კონტინენტის საკლუბო შეჯიბრებებში ზედიზედ 19 შეხვედრა ითამაშეს დაუმარცხებლად. ალბიონელებმა „კროაციასთან“ მეთექვსმეტე წაუგებელი მატჩი ჩაატარეს. შეგახსენებთ, რომ მანჩესტერელთა დაუმარცხებელი სვლა ჩემპიონთა თასის 1997-98 წლების გათამაშების მეოთხედფინალიდან იწყება — მაშინ ისინი ფრანგულ „მონაკოსთან“, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შეხვედრა ფრედ ითამაშეს, მაინც დამარცხდნენ ორი მატჩის ჯამში. გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგა ისე მოიგეს შეხვედრა რაა, ის არ წაუგიათ და თან არ დაგავიწყდეთ რომ ტრიუმფალური სვლა საკვალიფიკაციო ეტაპზე, პოლონური „ლოძის“ ძლევით დაიწყეს.

### მარსელი 2:0 შტურმი

1:0 პირესი (9), 2:0 რავანელი (33)
მარსელი: პორატო, პერესი, გალასი, ბერიზო, ბლონდო, ბრანდო, დალმა (ბელმადი 77), ლუქსენი, პირესი, რავანელი (კეიტა 89), მორისი (დიავარა 83)
შტურმი: შიკლგრუბერი, ნოიკირხნერი (კუცუპისი 83), ფოდა, პრილასნიგი, ფელდჰოფერი, შუპი, მაეჰლიჩი, მარტენსი (კორსოსი 46), ვასტიჩი, რაინმაიერი (პანტელიჩი 46), კოჩიანი
მსაჯი: ო. სარვანი (თურქეთი)

მარსელის „ოლიმპიკმა“ ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნება გამარჯვებით აღნიშნა. მას შემდეგ, რაც ფრანგებმა 1993 წლის გაზაფხულზე ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანს“ სძლიეს 1:0, აქამდე ევროპის ყველაზე პრესტიჟული თასის გათამაშებაში შეხვედრა რაა, ის არ უთამაშიათ.

— ძალიან გამაკვირვა ინგლისში დაფიქსირებულმა შედეგმა, მაგრამ მართალი გითხრათ, ახლა უფრო საკუთარი გუნდის მდგომარეობაზე ვფიქრობ, ვიდრე მეტოქის წარუმატებლობაზე — თქვა მარსელელთა მწვრთნელმა როლან კურბისმა. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატში ცუდი სტარტის გამო კურბისის მწვრთნელად დარჩენა საეჭვო გახდა. „მიუხედავად ჩვენი მდგომარეობისა, კარგად ვითამაშეთ. კარგია, როცა საქმეს წარმატებით იწყებ“ — განაცხადა მან.

ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების პირველი გოლი სწორედ „მარსელმა“ გაიტანა, უფრო სწორედ, კლუბის ნახევარმცველმა რობერ პირესმა. მის დარტყმულს ავსტრიელთა მეკარე შიკლგრუბერი წინ ვერ აღუდგა.

იტალიელმა ფაბრიციო რავანელიმ, ჩემპიონთა ლიგის 1996 წლის გამარჯვებულმა, 33-ე წუთზე მეორე გოლი შეაგდო — სტეფან დალმას გადაცემა გამოიყენა.

ისეთი შთაბეჭდილება რჩებ[illegible] სტრიელები მარცხისთვის იყვნენ გა[illegible] — მხოლოდ ივიცა ვასტიჩი აქტიურობდა[illegible] მარსელელთა მეკარე სტეფან პორატოს[illegible]ნაც ვერაფერი გააწყო.

— მიუხედავად იმისა, რომ წავაგეთ, დარწმუნებული ვარ, შემდეგ შეხვედრას აუცილ[illegible] მოვიგებთ. „შტურმი“ წლეულს გა[illegible] გუნდია, ვიდრე შარშან და ამას ამ გათამ[illegible] აუცილებლად დავამტკიცებთ — განაცხადა გ[illegible]ტერ კოლჰერმაიერმა, ავსტრიელთა გენერალურმა დირექტორმა. თუ რას ეფუძნება ავსტრიელთა იმედები, ამის თქმა ჯერ-ჯერობით ძნელია.



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — კროაცია 0:0. ხორვატმა დანიელ სარიჩმა (მარცხნივ) მასპინძელთა ლიდერი დევიდ ბექემი არ გაატარა

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მარსელი | | 2.XI | 19.X | 2:0 | 2:0 | 3 |
| 2 | კროაცია | 22.IX | | 27.X | 29.IX | 0:0 | 1 |
| 3 | მანჩესტერი | 29.IX | 0:0 | | 2.XI | 0:0 | 1 |
| 4 | შტურმი | 27.X | 19.X | 22.IX | | 1:2 | 0 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### უეფას თასი. I ეტაპი. I მატჩები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 16.09 | 524 | ვიკინგი (ნორვეგია) — სპორტინგი (პორტუგალია) | (5,0-1,1) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 525 | ბენფიკა (პორტუგალია) — დინამო (რუმინეთი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 526 | პარმა (იტალია) — კრივბასი (უკრაინა) | (1,01-15,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 527 | მტკ (უნგრეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) | (2,8-1,3) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 528 | მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) — ლანსი (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 529 | ტეპლიცე (ჩეხეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 530 | ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) — ვერდერი (გერმანია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 531 | ზენიტი (რუსეთი) — ბოლონია (იტალია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 532 | სკონტო (ლატვია) — ვიძევი (პოლონეთი) | (2,3-1,4) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 533 | ცსკა (ბულგარეთი) — ნიუკასლი (ინგლისი) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 534 | რომა (იტალია) — სეტუბალი (პორტუგალია) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 535 | მონაკო (საფრანგეთი) — სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 536 | ანორთოსისი (კვიპროსი) — ლეგია (პოლონეთი) | (3,1-1,25) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 537 | ინტერი (სლოვაკეთი) — რაპიდი (ავსტრია) | (5,0-1,1) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 538 | გორიცა (სლოვენია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 539 | ვოივოდინა (იუგოსლავია) — სლავია (ჩეხეთი) | (1,9-1,55) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 540 | სიგმა (ჩეხეთი) — მალიორკა (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 541 | ტორპედო (საქართველო) — აეკ (საბერძნეთი) | | | ანგარიში — | 5,0 |
| | 542 | ჰაიდუკი (ხორვატია) — ლევსკი (ბულგარეთი) | (1,3-2,8) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 543 | როდა (ჰოლანდია) — შახტარი (უკრაინა) | (1,25-3,1) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 544 | ლიუნგბიუ (დანია) — ლოკომოტივი (რუსეთი) | (7,5-1,05) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 545 | ლეხი (პოლონეთი) — გიოტებორგი (შვედეთი) | (5,0-1,1) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 546 | ჰელსინგბორგი (შვედეთი) — კარპატი (უკრაინა) | (1,15-4,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 547 | სელტიკი (შოტლანდია) — ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 548 | ვესტ ჰემი (ინგლისი) — ოსიეკი (ხორვატია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 549 | ტოტენჰემი (ინგლისი) — ზიმბრუ (მოლდოვა) | (1,02-10,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 550 | ანდერლეხტი (ბელგია) — ოლიმპია (სლოვენია) | (1,05-7,5) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 551 | ციურიხი (შვეიცარია) — ლიერსი (ბელგია) | (3,1-1,25) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 552 | ლოზანა (შვეიცარია) — სელტა (ესპანეთი) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 553 | ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) — ბრიუგე (ბელგია) | (7,5-1,05) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 554 | ბეირა მარი (პორტუგალია) — ვიტესი (ჰოლანდია) | (3,1-1,25) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 555 | იონიკოსი (საბერძნეთი) — ნანტი (საფრანგეთი) | (7,5-1,05) | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 556 | გრაცერი (ავსტრია) — სპარტაკი (სლოვაკეთი) | (1,3-2,8) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 557 | აკადემისკი (დანია) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | (2,5-1,35) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 558 | აიაქსი (ჰოლანდია) — დუკლა (სლოვაკეთი) | (1,01-15,0) | 1,02 | 10,0 | 17,0 |
| | 559 | კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — კილმარნოკი (შოტლანდია) | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 560 | ომონია (კვიპროსი) — იუვენტუსი (იტალია) | (15,0-1,01) | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| | 561 | ამიცა (პოლონეთი) — ბრონდბიუ (დანია) | (3,1-1,25) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 562 | ლოკომოტივი (საქართველო) — პაოკ (საბერძნეთი) | | | ანგარიში — | 5,0 |
| | 563 | არისი (საბერძნეთი) — სერვეტი (შვეიცარია) | (1,9-1,55) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 564 | ატლეტიკო (ესპანეთი) — ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) | (1,05-7,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია**
(ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### ჩემპიონთა ლიგა

| | I ადგ. | ჯგ. გასვლა | IV ადგ. | თასი |
|---|---|---|---|---|
| ლაციო | 1,2 | 1,02 | 25,0 | 4,0 |
| ლევერკუზენი | 3,0 | 1,4 | 6,0 | 10,0 |
| დინამო | 5,0 | 2,0 | 4,0 | 25,0 |
| მარიბორი | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| ბარსელონა | 1,7 | 1,3 | 15,0 | 2,5 |
| ფიორენტინა | 2,0 | 1,4 | 12,0 | 5,0 |
| არსენალი | 3,0 | 1,5 | 10,0 | 7,0 |
| აიკ | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| დორტმუნდი | 1,7 | 1,2 | 6,0 | 7,0 |
| ფეიენოორდი | 2,0 | 1,5 | 2,5 | 15,0 |
| რუსენბორგი | 4,0 | 2,0 | 1,8 | 25,0 |
| ბოავიშტა | 6,0 | 3,0 | 1,6 | 50,0 |
| მანჩესტერი | 1,15 | 1,01 | 25,0 | 2,5 |
| მარსელი | 3,0 | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| კროაცია | 6,0 | 3,0 | 2,0 | 25,0 |
| შტურმი | 25,0 | 10,0 | 1,2 | 100,0 |
| რეალი | 1,15 | 1,02 | 10,0 | 6,0 |
| პორტუ | 3,0 | 1,3 | 2,5 | 15,0 |
| ოლიმპიაკოსი | 8,0 | 3,0 | 1,5 | 50,0 |
| მოლდე | 10,0 | 4,0 | 1,2 | 100,0 |
| ბაიერნი | 1,8 | 1,3 | 8,0 | 5,0 |
| ვალენსია | 2,5 | 1,6 | 2,2 | 10,0 |
| პსვ | 4,0 | 2,0 | 1,7 | 15,0 |
| რეინჯერსი | 4,0 | 2,0 | 1,5 | 25,0 |
| ბორდო | 1,7 | 1,15 | 6,0 | 15,0 |
| სპარტაკი | 2,0 | 1,35 | 2,2 | 25,0 |
| სპარტა | 5,0 | 2,5 | 1,8 | 50,0 |
| ტილბურგი | 8,0 | 3,5 | 1,4 | 50,0 |
| მილანი | 1,7 | 1,1 | 8,0 | 2,5 |
| ჩელსი | 1,8 | 1,15 | 6,0 | 5,0 |
| ჰერტა | 4,0 | 2,0 | 2,0 | 15,0 |
| გალათასარაი | 10,0 | 4,0 | 1,1 | 50,0 |

### უეფას თასს მოიგოვებს

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 | ვერდერი | 10,0 |
| პარმა | 4,0 | ვოლფსბურგი | 15,0 |
| რომა | 5,0 | ანდერლეხტი | 15,0 |
| ლიდსი | 5,0 | ბრიუგე | 15,0 |
| ტოტენჰემი | 5,0 | ლიონი | 15,0 |
| აიაქსი | 5,0 | ნანტი | 15,0 |
| უდინეზე | 7,0 | ლანსი | 15,0 |
| ბოლონია | 7,0 | მონპელიე | 25,0 |
| ნიუკასლი | 7,0 | ბენფიკა | 25,0 |
| ვესტ ჰემი | 10,0 | ლოკომოტივი | 50,0 |
| სელტა | 10,0 | ვიტესი | 50,0 |
| ატლეტიკო | 10,0 | სელტიკი | 50,0 |
| დეპორტივო | 10,0 | სპორტინგი | 50,0 |
| მალიორკა | 10,0 | გიოტებორგი | 100,0 |
| მონაკო | 10,0 | ცრვენა ზვეზდა | 100,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 | როდა | 100,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ერთი და იგივე სახის კოეფიციენტების (I ადგილი — I ადგილზე, გასვლა — გასვლაზე, IV ადგილი — IV ადგილზე, თასის აღება — თასის აღებაზე)*

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.

რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა 23

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავდებით გაშვებული კირვალიძე ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა



ზურაბ კირვალიძე ქართული ძალოსნობის ახალი იმედია. იგიც, სახელიანი უფროსი კოლეგის, გიორგი ასანიძის დარად, საჩხერის ცნობილი ძალოსნური კერის წარმომადგენელია. მისმა სახელმა ამ ცოტა ხნის წინ გაიჟღერა, როცა მილანთან ახლოს, ლიგლანოში წარმატებით იასპარეზა ევროპის ჭაბუკ ძალოსანთა პირველობაზე. იქ ზურაბმა სამი ვერცხლის მედალი მოიპოვა. მან ჯერ აკვრასა და ატაცში დაისაკუთრა ეს ჯილდოები, ამან კი ორჭიდის ჯამში იმავე ხარისხის მედალი გაუნაღდა. თექვსმეტი წლის ბიჭისთვის ეს პირველი წარმატებაა, თუმცა, როგორც თავად ამბობს, ეს მხოლოდ დასაწყისია.

**— დიდი ხანია, რაც ძალოსნობაში ვარჯიშობთ?**

— სამი წელია. ჯერ გერონტი დვალი მავარჯიშებდა, ბოლო ერთი წელი კი გიზო გაბრიჭიძე. ეს საჩხერეში იყო, ახლა კი თბილისში გადმოვედი სავარჯიშოდ.

**— რატომ, იქ სავარჯიშო პირობები არ გქონდათ?**

— პირობები საჩხერეში ცუდი არ არის, მაგრამ თბილისში მაინც უკეთესია. ვფიქრობ, საჩხერეში ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე. დედაქალაქში მეტის მიღწევას შევძლებ. თანაც, წლეულს ფიზიკური კულტურის აკადემიაში ჩავაბარე. მაინც აქეთ უნდა მეცხოვრა და ბარემ ვივარჯიშებ კიდეც.

**— ძალოსნობის სექციაში მისვლა რატომ გადაწყვიტეთ? თქვენებური ძალოსნების წარმატებებმა ხომ არ შეგაგულიანათ?**

— კი, ასე იყო, მაგრამ ბიძაჩემმაც მირჩია, ამ სახეობას გავყოლოდი. სამწუხაროდ, ის ჩემს წარმატებას ველარ მოესწრო.

**— ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელად თქვენი ფედერაციის პრეზიდენტ რამაზ გურგენიძესთან ერთად ევროპის შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა და მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა, თქვენებურმა გიორგი ასანიძემაც დაგაფინანსათ. ეს მხოლოდ თანაქალაქელობის ხათრით გაკეთა თუ, ერთმანეთის ახლობლებიც ხართ?**

— ევროპის პირველობაზე მარტო მათი ფულით არ წავსულვარ, გარკვეული თანხა მეც მქონდა. რაც შეეხება გიორგი ასანიძეს, მეგობრები ვართ. თან ისიც საჩხერელია. დამწყები სპორტსმენის პერიოდი მასაც გაუვლია, ამიტომ როცა დაინახა, რომ რაღაცის გაკეთება შემიძლია და იტალიაში წასვლაში ხელი მეშლება, კაცურად დამიდგა გვერდში.

**— ახლა იტალიაზეც ვისაუბროთ.**

— ეს ჩემთვის პირველი საერთაშორისო ტურნირი იყო, ამიტომ მიღწეულით ძალიან კმაყოფილი ვარ. თუმცა თავად შედეგები ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა, ამდენი ვაჯიშებზეც ამიწევია. ატაცში 135 კილოგრამი დავძლიე, მერე 165 ავკარი და ორჭიდში 300 კილო დავაგროვე. სამივე შედეგი მეორე ადგილისა და ვერცხლის მედლის ტოლფასი აღმოჩნდა.

პირველი წარმატების გარდა ლიგლანომ სხვა მხრივაც დამამახსოვრა თავი. რა თქმა უნდა, ჩემპიონატი კარგად იყო ორგანიზებული და კარგი პირობებიც გვქონდა, მაგრამ ყველაზე კეთილმოსაგონარი მაინც იქაური მაყურებელია. ქართველებს მხურვალე ოვაციას გვიწყობდნენ და გვქომაგობდნენ კიდეც.

**— სადებიუტო ტურნირში სამი ვერცხლი ურიგო არაა, მაგრამ მადა ხომ ჭამაში მოდის. ჰოდა, პირველობა თუ შეგეძლოთ რომელიმე ვარჯიშში?**

— ატაცში ნამდვილად შემეძლო. რუსმა მეტოქემ ორკილონახევრით მაჯობა. ამაზე ძალიან დამწყდა გული.

**— სამომავლოდ რას გეგმავთ?**

— ჯერ პატარა ვარ, სიდნეის ოლიმპიადაზე რომ ვიფიქრო. აი, წელიწადნახევარში კი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მელის. მინდა, იქ წავიდე და ოქროს მედალი ჩამოვიტანო. ამით ყველას დავუმტკიცებ, რაც შემიძლია.

**— სადებიუტო ტურნირზე ამხელა წარმატებას მიაღწიეთ და კიდევ რაიმეს დამტკიცება გსურთ?**

— საქმე ისაა, რომ ამ ტურნირზე ჩემი გაშვება არ უნდოდათ. იქ მხოლოდ ავთო ცერცვაძეს გზავნიდნენ, რომელიც ჩემზე მძიმეა. საბოლოოდ ასანიძე დამიდგა თავდებში, მე კი იტალიაში ჩემი დავამტკიცე.

ირაკლი თავაძე

# რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

### დავით ციმაკურიძე

**თავისუფალი ჭიდაობა**

დაიბადა 1925 წლის 29 მარტს ფოთში. სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის შვიდგზის (1945-47; 1949-52) ჩემპიონი, ახალგაზრდობის I საერთაშორისო სპორტული თამაშების (1953) ვიცე-ჩემპიონი, ჰელსინკის (1952) ოლიმპიადის ჩემპიონი — პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი



1. მოსაგონარი, კარგიც და ცუდიც, 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებს უკავშირდება. იმ ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენები პირველად ვმონაწილეობდით. პირველ ორთაბრძოლაში შვედ ლინდბლადს 2:1 ვუგებდი, მაგრამ სკანდინაველი მსაჯები საბოლოოდ მაინც ჩემს მეტოქეს მიემხრნენ და მას გაამარჯვებინეს, თუმც თურქი მსაჯი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. ასე სამწუხაროდ დაიწყო ჩემთვის ეს ოლიმპიადა. ეს ჩემს კარიერაში პირველად არ მოხდა. მანამდე საბჭოთა კავშირის პირველობაზეც მქონდა ერთი-ორი შემთხვევა, როცა მარცხით დავიწყე და მოგებით დავასრულე. საბედნიეროდ, ჰელსინკშიც იგივე განმეორდა. მერე ზედიზედ წავაქციე ეგვიპტელი ჰუსეინი, ამერიკელი ჰოჯი და უნგრელი მსოფლიოს ჩემპიონი დიერდ გურიჩი. ამის მერე უნდა დამესვენა, ხოლო გურიჩი ირანელ გულამ-რეზა ტახტის უნდა შეხვედროდა, მაგრამ უნგრელმა არ იჭიდავა. ამიტომ დაახლოებით ოც წუთში ისევ გამომიძახეს საჭიდაოდ. ტახტისთან შესახვედრად საგანგებოდ ვემზადებოდი. დგომში ორი ისეთი ილეთი მქონდა დამუშავებული, არ შეიძლებოდა, არ გამომსვლოდა და გავუკეთე კიდეც. ჩოქბჯენშიც საგანგებო ბრუნი დავამუშავე, რომელსაც მოგვიანებით ჩემი სახელი უწოდეს და დღესაც იყენებენ. პირველ წუთებში ორჯერ გადავიყვანე ხიდზე, მერე ჩოქბჯენშიც დავაყენე ხიდზე, მაგრამ ძველი მუხრანის ხიდი თუ გახსოვთ, ისეთი მაღალი ხიდი ჰქონდა. ამას გრძელი ხელებიც ემატებოდა, რაც მასთან ბრძოლას აძნელებდა. მაგრამ მაინც მოვუგე. ასე გავხდი ოლიმპიური ჩემპიონი და მოვიმკე ის, რისკენაც მთელი ცხოვრება მივისწრაფოდი.

2. რა გამოსავალზეა საუბარი, როცა მე, ოლიმპიური ჩემპიონი, 12 დარის ამარა დავრჩი. პრეზიდენტის ბრძანებით, 70 წელს გადაცილებულ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონებს 70 ლარი კი დაგვინიშნეს 1998 წლის ოქტომბრიდან, მაგრამ აგერ ახლა მოგვცეს ორი თვის. იმ სიაშიც თავიდან 12 კაცი შეგვიყვანეს და მერე ისე გაბერეს, 48 გახადეს. ვისაც კი ბურთი უთამაშია, ყველა შეიყვანეს. არ არის პირობები, სავარჯიშო ბაზები, ხელფას-პრემიები, ვერ აგზავნიან ტურნირებზე, ვერ უწყობენ შეკრებებს.., ოლიმპიადაზე უნდათ წასვლა, ოქროს მედლები უნდა ავიღოთო. რით უნდა აიღონ, ამ მომზადებით? ამით არაფერი გამოვა. მარტო ენთუზიაზმით ვერაფერს მიაღწევ. სპორტს მიხედვა უნდა. მას პირობები უნდა შეუქმნან. სპორტსმენი ვარჯიშისას ოჯახის პრობლემებზე არ უნდა ფიქრობდეს, იმდენს უნდა იღებდეს, ოჯახი უზრუნველყოფილი ჰყავდეს. ჩვენ როცა ვჭიდაობდით, წლიდან წლამდე ვარჯიშის მეტი არაფერი გვევალებოდა.

3. ლევან თედიაშვილი, ვიქტორ სანეევი, გივი კარტოზია.

მზია ჯუღელი, ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე



# ბავშვი დაიღუპა

ჯერჯერობით დაუდგენელმა დაავადებამ იმსხვერპლა 15 წლის საგარეჯოელი სამბისტი ლევან ოტიაშვილი. 4 სექტემბერს ის თბილისში გამართულ საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მონაწილეობდა. ამ ტურნირს მისი ასაკის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე წამსვლელები უნდა გაერკვია. კანდიდატი ოტიაშვილიც იყო. მან სამი შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, მერე კი თავი ცუდად იგრძნო და შეჯიბრებიდან მოიხსნა. იგი ერთკვირიანი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

როგორც ჭაბუკ და ახალგაზრდა სამბისტთა ნაკრებების მთავარმა მწვრთნელმა ემილ რაშიმ გვითხრა, საგარეჯოელთა გუნდი ადგილზევე ემზადებოდა საქართველოს ჩემპიონატისთვის. თბილისში მომავლებს გზაში უყიდიათ ხორცი და სავარაუდოდ დაავადებაც მან გამოიწვია. შეუძლოდაა კიდევ რამდენიმე საგარეჯოელი სამბისტი. მათ ძირითადად კუჭ-ნაწლავის მოშლილობა და პირღებინება აღენიშნებოდათ. მძიმედ მათგან მხოლოდ ერთი იყო, მაგრამ დღეს მისი მდგომარეობაც დამაკმაყოფილებელია.

# კობა კურტანიძე მოსკოვში გადაიყვანეს

ამ დღეებში ევროპის ორგზისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ძიუდოისტი კობა კურტანიძე მოსკოვში, ბოტკინის სახელობის საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც თბილისის ნეიროქირურგიის ინსტიტუტში გვითხრეს, მის სიცოცხლეს საფრთხე უკვე აღარ ემუქრება, მაგრამ, როგორ წარიმართება რეაბილიტაციის პერიოდი, ჯერ კიდევ საფიქრალია. ავადმყოფი ახელს თვალებს, ნორმალურად მუშაობს ცალკეული ორგანოები, მოუშუშდა ნაიარევი, აღარ აწუხებს სიცხე, მაგრამ ჯერ ისევ უგრძნობლადაა.

შეგახსენებთ, რომ კურტანიძე 27 ივნისს გორის შემოგარენში უგონოდ მყოფი იპოვეს და მას მერე თბილისში, ნეიროქირურგიის ინსტიტუტის რეანიმაციის განყოფილებაში იწვა. ორ დღეში მას ბურდენკოს ინსტიტუტში გადაიყვანეს, სადაც რეაბილიტაციისთვის უკეთესი პირობებია.

**ახლახან გამოჩენილ ქართველ სპორტსმენს, ოლიმპიურ ჩემპიონ მზია ჯუღელს სპორტული მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ულოცავს ქალბატონ მზიას ამ გამორჩეულ თარიღს**


# დაასახელეთ თქვენი რჩეული

ქართული სპორტის ისტორიას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენის სახელი ამშვენებს, მაგრამ ვინ იყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის, ვინ არის გულშემატკივრის რჩეული?

ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს სპორტის მოყვარულთა სატელეფონო გამოკითხვა, რომელსაც ***საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*** აწყობს ***კომპანია „მეგაკომთან“*** ერთად.

ჩვენი ტელეფონებია: 99-94-09, 97-36-60, 97-36-61, 97-36-62.

დარეკეთ სამუშაო დღეებში, 11-დან 15 საათამდე.

**დარეკეთ და დაასახელეთ თქვენი რჩეული!**

გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება 19 ოქტომბერს, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

*ამონაწერი რეფერენდუმის დებულებიდან: „საგანგებო ნომინაციაში ლაურეატი (ერთი სპორტსმენი)ვლინდება სპორტის გულშემატკივართა გამოკითხვით. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. ლაურეატს ენიჭება ტიტული — „გულშემატკივრის რჩეული“.*

სარეფერენდუმო კომიტეტი,
საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

სსჟა

მეგაკომი

# ანდრეს არჩევანი


ანდრე აგასი

კვირას ნიუ იორკში დასრულებულმა სეზონის უკანასკნელმა დიდი სლემის ტურნირმა — აშშ-ის ღია პირველობამ საუკეთესოთა ნუსხებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა.

კაცების კლასიფიკაციაში მეორედან პირველ ადგილზე გადაინაცვლა „ოუფენის" ჩემპიონმა ანდრე აგასიმ და ალბათ, ტახტს წლის ბოლომდე არავის დაუთმობს.

ჩოგბურთელისგან, რომელიც ჯერ კიდევ შარშან სეზონის დასაწყისში საუკეთესო ასეულს მიღმა იმყოფებოდა, ეს თითქმის წარმოუდგენელი მიღწევაა, თუმცა ხოტორა ანდრე კარიერაში აღმა თუ დაღმასვლებს დიდი ხანია, დაჩვეულია.

„უბრალოდ, არჩევანი უნდა გამეკეთებიან — ან სპორტიდან წავსულიყავი ან მართლაც მეთამაშა. თუ თამაშს გადავწყვეტდი, ბევრი შრომისა და ოფლისღვრისთვისაც მზად უნდა ვყოფილიყავი. რა ავირჩიე, თავადაც მოგეხსენებათ".

მართლაც, 29 წლის ასაკში, როდესაც კოლეგების უმეტესობა ძლივსღა მოძრაობს, ანდრე ფიზიკურად არაჩვეულებრივადაა მომზადებული, მოწოდების სისწრაფეს თვიდან თვემდე აუმჯობესებს და ხანგრძლივ მატჩებში თავისზე გაცილებით ახალგაზრდა მეტოქეებსაც კი ჯაბნის.

„ვფიქრობ, ანდრეს კიდევ ორი-სამი სეზონის მანძილზე მაინც შეუძლია საუკეთესოთა შორის ყოფნა და რამდენიმე დიდი სლემის ტიტულის მიმატებაც თავისი კოლექციისთვის — მიაჩნია ამერიკელის მწვრთნელ ბრედ ჯილბერტს — ამაში იმანაც დამარწმუნა, რომ ახალი თაობის ჩოგბურთელები ჯერაც არ არიან მზად ესტაფეტის მისაღებად და იმაზე ნაკლებს აღწევენ, ვიდრე მათგან მოველოდი".

ჯილბერტს გვარ-სახელები არ უთქვამს, თუმცა ვის გულისხმობდა, ძნელი მისახვედრი არ არის: დიდი სლემის ტურნირებზე წლეულს ახალმა ვარსკვლავებმა — მარსელო რიოსმა, გუსტავო კუერტენმა, კარლოს მოიამ, მარკ ფილიპუსისმა, ნიკოლას კიფერმა თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს.

სამაგიეროდ, მეორე სუნთქვა გაეხსნა კიდევ ერთ ამერიკელ ვეტერან ტოდ მარტინს, რომელმაც ავსტრალიის ღია პირველობასა და უიმბლდონზე წარმატებულ ასპარეზობას „ოუფენის" ფინალისტობაც დაურთო და კარიერის საუკეთესო, მეოთხე ადგილს უწია კლასიფიკაციაში.


სერენა უილიამსი

ქალებში ახალი, უილიამსების ეპოქის პირველი ფურცელი გადაიშალა — შავი ოჯახის უმცროსმა წარმომადგენელმა სერენამ ნიუიორკული ტრიუმფით კლასიფიკაციის მეოთხე საფეხური დაიკავა და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „ოუფენზე" მსოფლიოს პირველ, მეორე და მეოთხე ჩოგნებსაც აჯობა, მალე კიდევ უფრო წინ წაწევაც უნდა ვუწინასწარმეტყველოთ.

დიდი ხნის მანძილზე სერენას, უბრალოდ, ორი წლით უფროსი ვინუსის დად მოიხსენიებდნენ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, სწორედ ვინუსს ელის სახელოვანი დედმამიშვილის ჩრდილში მოქცევა.

**ავთანდილ სვანიძე**

## კლასიფიკაცია

| კაცები | | ქალები | |
|---|---|---|---|
| 1.2. ანდრე აგასი (აშშ) | 4470 | 1.1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 5620 |
| 2.3. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 3917 | 2.2. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 4697 |
| 3.1. პიტ სამპრასი (აშშ) | 3544 | 3.3. ვინუს უილიამსი (აშშ) | 3991 |
| 4.7. ტოდ მარტინი (აშშ) | 2969 | 4.6. სერენა უილიამსი (აშშ) | 3126 |
| 5.6. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 2707 | 5.4. მონიკა სელეში (აშშ) | 2976 |
| 6.5. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 2461 | 6.5. მარი პირსი (საფრანგეთი) | 2628 |
| 7.9. გრეგ რუზეცკი (ინგლისი) | 2336 | 7.12. ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1918 |
| 8.10. მარსელო რიოსი (ჩილე) | 2276 | 8.11. ჟული ალარი (საფრანგეთი) | 1905 |
| 9.13. რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) | 2243 | 9.7. ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1904 |
| 10.14. ტომი ჰაასი (გერმანია) | 2097 | 10.9. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 1721 |
| 11.12. ალექს კორეტხა (ესპანეთი) | 2030 | 11.8. არანჩა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი) | 1786 |
| 12.4. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 1939 | 12.13. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1699 |
| 13.15. ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 1931 | 13.15. დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) | 1718 |
| 14.16. ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) | 1866 | 14.16. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1699 |
| 15.8. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1856 | 15.14. ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 1619 |
| 16.26. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) | 1851 | 16.17. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 1541 |
| 17.20. ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 1710 | 17.19. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 1449 |
| 18.17. ფელიქს მანტია (ესპანეთი) | 1704 | 18.10. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) | 1420 |
| 19.23. ვინსენტ სპედეა (აშშ) | 1502 | 19.20. ირინა სპირლეა (რუმინეთი) | 1319 |
| 20.19. კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 1496 | 20.27. ანკე ჰუბერი (გერმანია) | 1293 |
| 21.11. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 1494 | 21.23. რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) | 1279 |
| 22.22. ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1468 | 22.24. ემი ფრეზერი (აშშ) | 1266 |
| 23.25. მაგნუს ნორმანი (შვედეთი) | 1462 | 23.22. ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) | 1265 |
| 24.18. ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 1459 | 24.18. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1263 |
| 25.21. დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 1419 | 25.21. ჩანდა რუბინი (აშშ) | 1230 |
| 26.27. იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 1337 | 26.26. სილვია ფარინა (იტალია) | 1034 |
| 27.28. ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) | 1316 | 27.25. ნატალი დეში (საფრანგეთი) | 998 |
| 28.29. მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) | 1308 | 28.28. აი სუგიამა (იაპონია) | 976 |
| 29.24. ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) | 1298 | 29.30. სილვია პლიჩკე (ავსტრია) | 907 |
| 30.30. ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) | 1256 | 30.40. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 872 |
| 32.32. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1217 | 41.37. ელენა დოკიჩი (ავსტრალია) | 720 |
| 35.31. მარატ საფინი (რუსეთი) | 1110 | 68.81. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 424 |
| 69.126. ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) | 675 | 83.98. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 348 |

## ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 1999-ში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ანდრე აგასი | 2 251 128 | 1. მარტინა ჰინგისი | 2 204 180 |
| 2. ევგენი კაფელნიკოვი | 1 480 218 | 2. სერენა უილიამსი | 1 664 171 |
| 3. პიტ სამპრასი | 1 401 056 | 3. ლინდსი დევენპორტი | 1 578 263 |
| 4. გუსტავო კუერტენი | 1 389 309 | 4. ვინუს უილიამსი | 1 428 082 |
| 5. პატრიკ რაფტერი | 1 254 574 | 5. შტეფი გრაფი | 1 193 367 |
| 6. მარსელო რიოსი | 917 447 | 6. მონიკა სელეში | 686 680 |
| 7. ტოდ მარტინი | 901 124 | 7. იანა ნოვოტნა | 604 854 |
| 8. ტიმ ჰენმანი | 886 694 | 8. ანა კურნიკოვა | 548 624 |
| 9. რიჩარდ კრაიჩეკი | 875 397 | 9. მარი პირსი | 548 092 |
| 10. მარკ ფილიპუსისი | 840 839 | 10. არანჩა სანჩეს ვიკარიო | 496 221 |
| 11. კარლოს მოია | 760 687 | 11. ბარბარა შეტი | 430 385 |
| 12. ნიკოლას კიფერი | 718 518 | 12. ელენა ლიხოვცევა | 411 707 |
| 13. იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 714 735 | 13. ამელი მორესმო | 391 676 |
| 14. ტომი ჰაასი | 690 318 | 14. ნატაშა ზვერევა | 375 452 |
| 15. ნიკოლას ლაპენტი | 686 078 | 15. ჟული ალარი | 374 545 |



# მალე სიდნეი, ფეხმძიმე ქალივით, თვეებს დაითვლის

## მანამდე კი ბავშვების მოტყუებისთვის მილიონი დოლარით დაჯარიმდა

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებამდე, გაისად 15 სექტემბერს რომ დაიწყება, ერთი წელიწადიღაა დარჩენილი. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ მიუხედავად ბოლო ხანს ოლიმპიურ მოძრაობაში ატეხილი სკანდალებისა, რომლებშიც ისინიც არიან ჩათრეულნი, ათასწლეულის უკანასკნელი ოლიმპიადა მაინც უმაღლეს დონეზე ჩაივლის. სიდნეი ამ ტურნირის სამასპინძლოდ, ფაქტობრივად, უკვე მზადაა და საკეთებელი ცოტაოდენიღაა დარჩენილი.

— დღემდე გაკეთებულით ნამდვილად შეგვიძლია ვიამაყოთ. თუმცა ყურადღების მოდუნება არც ახლა შეიძლება — თქვა საორგანიზაციო კომიტეტის აღმასრულებელმა დირექტორმა სენდი ჰოლვეიმ — დადგება 2000 წელი, ოლიმპიადის დაწყებამდე მხოლოდ ცხრა თვე იქნება დარჩენილი და სხვა საქმისთვის დრო საერთოდ აღარ გვექნება.

ეს რომ თქვა, ბატონმა ჰოლვეიმ 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების ამერიკული სოლტ-ლეიკ სიტისთვის მინიჭების გამო ატეხილი სკანდალი იგულისხმა. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში კორუფციის ფაქტების გამჟღავნებამ სიდნეი 2000-ის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც შეიწირა — ფილ ქოულზს ახალი სამუშაოს ძებნა დასჭირდა.

სკანდალს სოკიდან 10 წევრის დათხოვნაც მოჰყვა. ამის გამო სპონსორებმა თანხებიც შეამცირეს — სიდნეის ოლიმპიადის თავიდან გათვალისწინებულ ბიუჯეტს (დაახლოებით 590,3 მილიონი ლარი) 167,2 მილიონი გამოაკლდა.

„კორუფციის ამბებმა ჩვენს ბიუჯეტს მძიმე დარტყმა მიაყენა, მაგრამ ახლა, როცა სოკის პრობლემები თითქმის წარსულს ჩაბარდა, იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკითხვებმა ცხადყო, რომ უბრალო ხალხი სიდნეის ოლიმპიადას სოკთან არ აიგივებს და ამიტომ ბილეთების 90 პროცენტიც უკვე დაბევებულია" — თქვა სენდი ჰოლვეიმ.

ავსტრალიელთა საქმიანობით საერთაშორისო ეკოლოგიური ორგანიზაცია „გრინფისიც" ძლიერ კმაყოფილი ყოფილა და 10-ქულიანი სისტემით 7-ით შეუფასებია. გარემოს დაცვის აქტივისტებს განსაკუთრებით ოლიმპიური სოფლის ტოქსიკური ნარჩენებისგან გასუფთავების გეგმა მოსწონებიათ.

პრობლემები კი სიდნეელებს მაინც გააჩნიათ. ჯერ ერთი, სასამართლომ მათ ერთი მილიონი ავსტრალიური დოლარის ჯარიმა დააკისრა ამერიკელი მოსწავლეების სასულე ორკესტრის მოტყუებისთვის — პატარა მუსიკოსები ჯერ ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე მიიწვიეს, შემდეგ კი უარი უთხრეს. და კიდევ, საორგანიზაციო კომიტეტს ძალიან აშინებს ქუჩებში მოძრაობის გადატვირთვის პრობლემა და ამის თავიდან ასაცილებლად ჯერჯერობით ვერაფერი მოუფიქრებია.



# თაობა მოდის!

## აი, ქართული ნიჭი! გზა ფართო?

აგვისტოს ბოლოს 10-დან 18 წლამდე 30 ქართველი მოჭადრაკის, მათი მშობლებისა და 4 მწვრთნელისგან შემდგარმა ქართულმა საჭადრაკო ექსპედიციამ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივნის, ზურაბ კუტალაძის მეთაურობით საბერძნეთს გასწია, სადაც სალონიკიდან ოთხმოციოდე კილომეტრით დაშორებული პაწია ზღვისპირა ქალაქი ლიტოჰორო ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს მასპინძლობდა. დანიშნულების ადგილზე ჩასულმა ქართველებმა გრილი ამინდი, თბილი ზღვა და არცთუ საუკეთესო საცხოვრებელი პირობები იხილეს, თუმცა უკანასკნელ ფაქტორს მათი ტრიუმფისთვის ხელი არ შეუშლია. 2 ოქროს და 4 ბრინჯაოს მედალი პლუს გუნდური I-II ადგილები რუსებთან ერთად — აი, ჩვენების მონაგარი და, რომ არა ფორტუნას მცირედით გაბუტვა, რომელმაც 16 წლამდე ბიჭებში ზვიად იზორია მე-4 ადგილზე დატოვა, ერთპიროვნული გუნდური გამარჯვებაც ჩვენი იყო. სულ ლიტოჰოროში 5-5 ასაკობრივ ჯგუფში განაწილებულმა 44 ქვეყნის 349 ბიჭმა და 276-მა გოგონამ ითამაშა, ასე რომ კონკურსი გვარიანი იყო. მიუხედავად ამისა, ქართველებმა საბერძნეთში ტრადიციულად მაღალი დონის ჭადრაკი ითამაშეს, ტრადიციულად, გამოკვეთილი აუტსაიდერი არც ერთ ჯგუფში არ ჰყოლიათ და ასევე ტრადიციულად, მოპოვებული ნადავლის ლომის წილი გოგონებს ერგოთ. 10-წლამდელებში ბრინჯაო მოიპოვა თამარ გახოკიძემ, 18-წლიანებში — ლელა ჯავახიშვილმა. ყველაზე მეტად ჩვენებურებმა 16-წლიანთა პირველობაზე გამოიჩინეს თავი, სადაც ანა მათნაძე ჩემპიონი გახდა, ხოლო ინგა ჭარხალაშვილი მესამე ადგილზე გავიდა. ერთი ჩემპიონიც 12 წლამდე გოგონებში გვყავს — ნანა ძაგნიძე და ერთი ბრინჯაოსმედალოსანიც 10 წლამდე ვაჟებში — დავით ჯოჯუა. ყველას ვულოცავთ, მკითხველს კი შევახსენებთ, რომ ოქტომბერში ქართველ ახალგაზრდებს უფრო მაღალი რანგის შეჯიბრება ელით — მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ესპანეთში გაიმართება. რაც შეეხებათ უფრო დალვინებულ მოჭადრაკეებს (20 წლამდე ასაკს ვგულისხმობთ), ისინიც ევროპული მასშტაბით საბერძნეთში მოსინჯავენ ძალებს. ქალაქ ნიფორეიკაში ოთხი ქართველი ჩავა: ანა მათნაძე, რუსუდან გოლეთიანი, სოფო ტყეშელაშვილი და ნიკა შავთვალაძე.

რეზიუმე: ბოლო წლების ახალგაზრდული ტურნირები გვარწმუნებს, რომ ქართულ (განსაკუთრებით ქალთა) ჭადრაკში მოდის საიმედო ახალი თაობა, რომელსაც სავსებით ხელეწიფება უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა და გამარჯვება. საჭიროა მხოლოდ მეტი ყურადღება, რათა არსებული პოტენციალი არ გაიფლანგოს და მაქსიმალურად გამოვლინდეს.

**დავით გულუა**

### კასპაროვი — მსოფლიო






1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მფ:e6 32. g2-g3 f:g3 33. f:g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კ:d4 e:d4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3

ავტორბოლა


REUTERS
ჯეკი სტიუარტი „სტიუარტიდან“ „იაგუარში“ გადაჯდა

# ირვინი იაგუარშია
## იაგუარი ფორმულა 1-ში

ეს უკვე გადაწყვეტილია და ოფიციალურადაც გაფორმდა. „იაგუარი“ გაისად ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. მისი დებიუტი მელბურნში ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებისას შედგება, პირველ პილოტად კი ახალ გუნდს ირლანდიელი ედი ირვინი ეყოლება.

„ლეგენდა ფორმულა 1-ში მოვიდა“ — წერენ ევროპული გაზეთები. ლე მანის და მონტე კარლოს უპრესტიჟულესი რბოლების რამდენჯერმე მომგები ფირმა შეჯიბრებებში მონაწილეობას განაახლებს. მას ახალი გუნდის ჩამოყალიბება და ყველაფერის თავიდან დაწყება არ დასჭირდება, რადგან „სტიუარტ-ფორდი“ შეიძინა. ახალ ბოლიდს „ფორდის“ ბრიტანული ფილიალის — „კოსუოურთ რეისინგის“ მიერ წარმოებული ძრავა ექნება.

პილოტებიდან ერთი უკვე ვახსენეთ, მეორე კი „სტიუარტის“ წევრი ჯონი ჰერბერტი იქნება. „ფორდის ჯგუფი“, (მასში შედიან ისეთი ფირმები, როგორებიც არიან „ასტონ მარტინი“, „ლინკოლნი“, „ვოლვო“ და „იაგუარი“) პრეზიდენტმა ვოლფგანგ რეიტცლემ განაცხადა, რომ განახლებულ გუნდს კვლავინდებურად მამა-შვილი, ჯეკი და პოლ სტიუარტები უხელმძღვანელებენ. „იაგუარის“ მთავარი კონსტრუქტორი ტრევორ კრისპი კი „კოსუოურთ რეისინგის“ გენერალურ დირექტორად დაინიშნა. მისი მთავარი მოღვაწეობა ფორმულა 1-ის ბოლიდის ძრავის მომზადება იქნება.

„იაგუარი“ ავტორბოლას დიდი ამბიციებით დაუბრუნდა. მას უკვე 2002, უარეს შემთხვევაში 2003 წელს მაინც სურს კონსტრუქტორთა პირველობის მოგება ან თავისი პილოტის ჩემპიონობა. მზა გუნდის ყიდვა „იაგუარს“ ნამდვილად დიდ დროს მოაგებინებს წარმატებებისკენ მავალ გზაზე. გარდა ამისა, მას მსოფლიო საავტომობილო ბაზარზე პოზიციის განმტკიცება და ახალი სეგმენტების ათვისება უნდა. ბატონი რეიტცლე აცხადებს: „ეს ნაბიჯი „იაგუარს“ ბევრს მოუტანს საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით. გადაწყვეტილი გვაქვს მომავალში კიდევ უფრო გავაფართოვოთ ჩვენი საქმიანობა“.

სიახლის ოფიციალურად გაცხადების შემდეგ ედი ირვინმაც ამოიღო ხმა: „სიხარულით ლამის გავგიჟდე. ასეთ შანსს უკვე ორი წელია, ველი“. ირლანდიელი ფორმულა 1-ის გუნდის პირველ პილოტობას გულისხმობს და მართალიც არის — მეორე ბრიტანელი ჯონი ჰერბერტი მისი დამხმარე იქნება „იაგუარში“. ყოველ შემთხვევაში, ჯეკი სტიუარტი ასე თვლის: „ედი უკვე ძლიერი პილოტია. მან რამდენიმე ძალიან კარგი რბოლა ჩაატარა. ჩვენ ყველანაირად დავეხმარებით მას მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში“.

თუმცა სავსებით შესაძლებელია, ირვინი „იაგუარში“ უკვე ჩემპიონის სახელით მოვიდეს, რადგან მას წლეულს ამის მშვენიერი შანსი აქვს „ფერარის“ შემადგენლობაში. ოღონდ საამისოდ „წითელ ბედაურს“ ხელის წაკვრა სჭირდება. „მე და სალომ უკეთესი შედეგები რომ ვაჩვენოთ, ჩვენს მანქანებს ზოგი რამ უნდა გაუუმჯობესდეთ. „მონცაზე“ ჰაკინენის გამოვარდნა და ჩემი ერთი ქულა იღბლის წყალობა იყო. „ფერარის“ კონსტრუქტორებს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვთ“ — განაცხადა ედი ირვინმა.

დავით დაიაური

ჰოკეი

# ლიგა გამოეფინა

ვიდრე ახალ კონტრაქტებზე მოდავე ჰოკეისტთაგან ზოგი სამშობლოში ისვენებს, ზოგი იბუტება და ზოგიც სხვა გუნდში გადასვლას ითხოვს, მათი პარტნიორები ნელ-ნელა ფორმას იბრუნებენ და აქტიურად ემზადებიან სეზონისთვის. 11 სექტემბერს ლიგის გუნდებმა „საგამოფენო“ მატჩების სერია გახსნეს. ცხადია, ამ თამაშების შედეგებით ამა თუ იმ კლუბის ან ჰოკეისტის მზადყოფნაზე ვერ იმსჯელებ. გაფიცვების, ტრავმების თუ სხვა პრობლემების გამო ჯერ ოპტიმალურ შემადგენლობებზე საუბარი ნაადრევია. თანაც „საგამოფენო“ მატჩებში მწვრთნელები უფრო ახალბედებს სინჯავენ. თუმც მაინც საინტერესოა, ვინ გამოიჩენს მათგან თავს ან რა თავსატეხი გაუჩნდებათ გუნდების თავკაცებს.

პირველ დღეების შედეგებიდან აღსანიშნავია თასის მფლობელ დალასის დამაჯერებელი გამარჯვება კოლორადოსთან — 3:0. იღბლიანი გამოდგა ვეტერან ტედ დონატოს დებიუტი ანაჰაიმში. ტრავმირებულ პოლ კარიას ნაცვლად პირველ სამეულში მოთამაშე ფორვარდმა 2 (1+1) ქულა მიითვალა და იმავე კოლორადოსთან 4:2 გამარჯვებაში თავისი წილი დაიდო.

ამასობაში კარიების ოჯახის რეპუტაცია სუპერვარსკვლავის უმცროსმა ძმამ, სტივმა განამტკიცა — მისმა გოლმა სან ხოსეში ვანკუვერი მარცხს გადაარჩინა — 1:1. იღბლიანი გამოდგა ლიგის წლევანდელი დებიუტანტის — ატლანტის პირველი „გამოფენა“. ახალბედებმა შარშანდელ დებიუტანტ ნეშვილს სძლიეს — 3:1. 16-თვიანი გაფიცვის შემდეგ ლოს ანჯელესში დაბრუნებულმა მცველმა აკი ბერგმა გოლი გაიტანა და თავის გუნდს ნეშვილის 4:0 დამარცხებაში ძალიან დაეხმარა.

ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია დეტროიტში გამართულმა მატჩმა, „წითელფრთიანებმა“ სახეშეცვლილ რეინჯერსს უმასპინძლეს. სტუმართა მრავალრიცხოვან და სახელოვან ახალბედათაგან გოლით ტეო ფლერი გამოირჩა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა — 1:3, თანაც გადამწყვეტი შაიბა მასპინძელთა სახელიანმა ახალწვეულმა, სტივ დიუშენმა გაიტანა.

სამველ ლარიბიანი

ველორბოლა

# არხეინი პელოტონი

„ვუელტას“ მეათე ეტაპის შემდეგ, რომელიც უკრაინელმა სერგეი უშაკოვმა (ტვმ) მოიგო, საერთო ჩათვლაში ლიდერობა და ოქროსფერი მაისურა ესპანელმა აბრაამ ოლანომ (ონსე) შეინარჩუნა.

წარმატებული იერიშის შემდეგ, რომელშიც ხუთი მრბოლი მონაწილეობდა, უშაკოვმა სპრინტში დაამარცხა იტალიელი ფაბიო როსკიოლი, რომლის გარეშეც თითქმის არც ერთი შეტევა არ ხორციელდება. დანარჩენმა სამმა ლტოლვილმა ფინიშის ხაზს რამდენიმე წამის შემდეგ უწია.

ერთდღიანი შესვენების შემდეგ პელოტონმა სარაგოსას გარშემო მზიან ამინდში გაიარა 183,2 კილომეტრი. 31 წლის უშაკოვმა პელოტონი ჟაკი დიურანის (რომელიც „ვუელტას“ დასაწყისში ოქროსფერი მაისურას მფლობელიც იყო) კომპანიაში დატოვა სტარტიდან 33 კილომეტრის გავლის შემდეგ. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მათ როსკიოლი, კასაგრანდე და ინოხოსა შეუერთდნენ და აქედან სამიოდ კილომეტრის მერე მთავარ ჯგუფთან მათმა უპირატესობამ 13 წუთს მიაღწია.

თუმცა პელოტონი არხეინად იყო. ხუთეულიდან საერთო ჩათვლაში ყველაზე წინ მყოფი უშაკოვი ოლანოსთან 55 წუთსა და 22 წამს აგებდა. ისე, „რაბობანკისა“ და „ტელეკომის“ წევრები ერთი პირობა ვითომ შეფუცხუნდნენ, ეგებ საფინიშო სპრინტი გავმართოთო, მაგრამ მერე ხელი ჩაიქნიეს და ხუთეულის დასაწევად დიდად ალარავის გამოუდვია თავი.

ბოლო 8 კილომეტრზე უშაკოვმა და როსკიოლიმ სიჩქარეს უმატეს და დანარჩენი სამი ადვილად ჩამოიტოვეს უკან. სპრინტში კი გაცილებით გამოცდილმა უკრაინელმა იოლად დაჯაბნა იტალიელი.



★ — დღევანდელი ეტაპის სტარტი

| მეათე ეტაპი, სარაგოსა — სარაგოსა, 183,2 კმ |
|---|
| 1. სერგეი უშაკოვი (უკრაინა, ტვმ) — 4 სთ 23 წთ 57 წმ |
| 2. ფაბიო როსკიოლი (იტალია, ამიკა) — იგივე დრო |
| 3. ჟაკი დიურანი (საფრანგეთი, ლოტო) — + 13 წმ |
| 4. ელეტერიო ინოხოსა (ესპანეთი, ფუენლაბრადა) — იგივე დრო |
| 5. სტეფანო კასაგრანდე (იტალია, ამიკა) — + 17 წმ |
| **საერთო ჩათვლა** |
| 1. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — 43 სთ 16 წთ 39 წმ |
| 2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — + 2 წთ 08 წმ |
| 3. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — + 2 წთ 58 წმ |
| 4. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — + 3 წთ 58 წმ |
| 5. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — + 5 წთ 05 წმ |


REUTERS
სერგეი უშაკოვი

# ორთაბრძოლა

„ვუელტაში“ საბოლოო გამარჯვების ფაქტობრივად ორი კანდიდატიღაა დარჩენილი. ესპანელი აბრაამ ოლანო (ონსე) და გერმანელი იან ულრიხი (ტელეკომი) უძლიერესს პირინეის მთებში გამართულ სამ ეტაპზე და ერთ დარჩენილ ინდივიდუალურ რბოლაში გაარკვევენ.

სამი მთის ეტაპი, რომელთა ფინიშიც აღმართებშია განლაგებული, ერთმანეთის მიყოლებით გაიმართება. მათგან პირველი დღეისთვისაა დანიშნული. გასულ წელს „ვუელტას“ მომგებ ესპანელს აქ წარმატების მიღწევის გაცილებით ნაკლები შანსი აქვს, ვიდრე 1997 წლის „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულ ულრიხს. სამაგიეროდ, ინდივიდუალურ რბოლაში, რომელიც ოლანოს მთავარი ძლიერი მხარეა, როლები შეიცვლება.

ისე, სანსებასტიანელ ბასკ ოლანოს და როსტოკელ ულრიხს ბედმა გაუღიმათ, რომ მათ დავაში მთებში რბოლის ესპანელი დიდოსტატი ფერნანდო ესკარტინი ვერ ჩაერევა, თორემ ორთაბრძოლა სამთაბრძოლად გადაიქცეოდა. „კელმეს“ ლიდერი ესკარტინი, წელს „ტურზე“ მესამე ადგილზე რომ გავიდა ამერიკელი ლანს არმსტრონგისა და შვეიცარიელი ალექს ცულეს შემდეგ, „ვუელტას“ ეტაპდედოფლის მთავარი მსხვერპლია. იგი კვირას გამართულ უძნელეს ეტაპზე, პირველი კატეგორიის სიძნელის უღელტეხილ ლა კობერტორიადან დაშვებისას დაეცა, დაშავდა და მანამდე ტრავმირებული ფავორიტების, შვეიცარიელი ლორან დიუფოსა და ამერიკელი ბობი ჯულიჩის მსგავსად გამოაკლდა ტურნირს.

ცუდად ჩატარებული „ტურ დე ფრანსის“ მერე ოლანო მშვენიერ ფორმაშია და მისი გუნდიც, მსოფლიოს კლასიფიკაციაში პირველ საფეხურზე მყოფი ფრანგი ლორან ჟალაბერის თამადობით, ბასკს ყველანაირად ეხმარება. „ონსეს“ ლიდერმა ყველაზე მეტი სიფრთხილე პარასკევს გასამართ მეთორმეტე ეტაპზე უნდა გამოიჩინოს, რადგან მოსალოდნელია, რომ ულრიხი სწორედ ანდორაში დასამთავრებელ ამ ეტაპზე მიიტანს გადამწყვეტ და მთავარ იერიშს.

რატომ? ახლავე აგიხსნით. როცა გერმანელმა „ტურ დე ფრანსი“ მოიგო, სწორედ აქ, ორდინო-არკალისის კურორტზე გამარჯვების შემდეგ ჩაიცვა პირველად ლიდერის ყვითელი მაისურა. მაშინ მან ფრანგ რიშარ ვირანკსა და იტალიელ მარკო პანტანის აჯობა. ამიტომაც ულრიხისგან შეტევას ყველა აქ მოელის. თუმცა გამორიცხული არაა, ტაქტიკური მოსაზრებებით როსტოკელმა დღესვე სცადოს ოლანოსთვის საერთო ჩათვლაში გასწრება და ოქროსფერი მაისურას დაუფლება. ხომ შეიძლება, დღეს ოლანო ნაკლებ ყურადღებით იყოს, აქაოდა, ულრიხი პარასკევამდე წყნარად იქნებაო.

ონსელის სხვა თავსატეხი ინდივიდუალური რბოლაა. მას, როგორც უკვე ვთქვით, დიდად არ ეპიტნავება აღმართ-აღმართ სიარული. ჰოდა, იმ ეტაპის დაახლოებით შუა გზაზე მეორე კატეგორიის სიძნელის უღელტეხილი ექნებათ მრბოლებს დასაძლევი. ეს მთა რომ არა, იქ ოლანოს გამარჯვებაში ეჭვი არც არავის შეეპარებოდა, მაგრამ...

ამ სიძნელეების წინ „ვუელტას“ ლიდერთა დუეტს, ფაქტობრივად, ყველა სხვა კონკურენტი ჩამოშორდა. ერთადერთ რუს პაველ ტონკოვს შეუძლია კიდევ მათ დავაში ჩარევა, მაგრამ ეს მაინც ნაკლებადაა მოსალოდნელი. თუმც გამორიცხული ნამდვილად არაა.

„ვუელტას“ ორი ადრინდელი გამარჯვებული — ლორან ჟალაბერი და ალექს ცულე უკვე „თამაშგარე მდგომარეობაში“ არიან. ახალტრავმამოშუშებული „ჟაჟა“ ერთგულად ასრულებს ოლანოს გრეგარის ფუნქციებს და მისი წარმატებისთვის იბრძვის. საერთო ჩათვლაში იგი მისთვის ნამდვილად შეუფერებელ 98-ე ადგილზეა და თანაგუნდელთან საათზე მეტს აგებს. რაც შეეხება „ვუელტას“ 1996 და 1997 წლებში მომგებ ცულეს, მან საკმაო დრო პირველივე მთიან ეტაპზე წააგო, მაშინ, როცა ოლანომ ოქროსფერი მაისურის ჩაცმის უფლება მოიპოვა. მას შემდეგ ბანესტოელი წუთებს წუთებზე აგებს და საბოლოო ჩათვლაში ათეულში მოხვედრის შანსიც კი დაკარგა.

ისე, შეიძლება რობერტო ერასი, ხოსე მარია ხიმენესი ანდა დავიდე რებელინიც სახიფათონი აღმოჩნდნენ ოლანო-ულრიხის დუეტისთვის, მაგრამ კარგად თუ დავფიქრდებით, ეს მაინც არარეალურია.

ასე რომ, „ვუელტას“ გამარჯვებულის ბედი „ონსეს“ ესპანელი ლიდერის — აბრაამ ოლანოს და „ტელეკომის“ გერმანელი ლიდერის — იან ულრიხის ორთაბრძოლაში გაირკვევა.


ვის დარჩება „ვუელტა“?
იან ულრიხი (მარცხნივ) და აბრაამ ოლანო

გაიოზ თალაკვაძე

კორაჩის თასი. შესარჩევი წრე. I მატჩი

# აზოტი 74:100 ბკ კიევი

15 სექტემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე. 18 საათი. I ტაიმი 34:52

მსაჯები: აგნის პერკონსი (ლატვია), ფიოდორ დმიტრიევი (ბელარუსი)

| აზოტი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 შლენტი | 34 | 1/3 | 1/5 | 3/4 | 3 | 1 | 2 | 0 | 2 | 8 |
| 4 გაბისონია | 20 | 0/0 | 0/2 | 0/0 | 5 | 0 | 0 | 0 | 5 | 0 |
| 13 გოგობერიშვილი | 35 | 2/3 | 1/2 | 2/2 | 3 | 1 | 1 | 1 | 4 | 9 |
| 6 ბერუაშვილი | 29 | 2/3 | 0/1 | 5/7 | 8 | 2 | 3 | 1 | 1 | 9 |
| 12 ჯაფარიძე | 34 | 9/12 | 1/4 | 3/4 | 6 | 0 | 0 | 1 | 4 | 24 |
| 5 ბაბიაშვილი | 14 | 5/8 | 0/0 | 1/2 | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 11 |
| 11 ხოშტარია | 30 | 5/9 | 0/0 | 3/5 | 1 | 1 | 0 | 0 | 4 | 13 |
| 15 ჯიმშელეიშვილი | 4 | 0/0 | 0/1 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სულ | 200 | 24/38 | 3/15 | 17/24 | 29 | 5 | 6 | 3 | 22 | 74 |

| ბკ კიევი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 მაკენტსი | 32 | 4/5 | 0/4 | 2/2 | 1 | 4 | 0 | 0 | 2 | 10 |
| 4 იუშკინი | 28 | 3/5 | 1/1 | 1/2 | 1 | 0 | 3 | 0 | 0 | 10 |
| 5 ნიზკოშაპკა | 19 | 2/3 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 | 4 |
| 14 მედვედენკო | 18 | 5/6 | 0/1 | 9/10 | 8 | 0 | 3 | 1 | 5 | 19 |
| 6 ხიჟნიაკი | 15 | 1/2 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 2 | 1 | 1 | 2 |
| 8 ბალაშოვი | 23 | 7/9 | 0/0 | 3/3 | 5 | 0 | 1 | 1 | 4 | 17 |
| 9 ვარენიკი | 16 | 6/7 | 0/0 | 3/5 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 15 |
| 10 ჟურავლიოვი | 26 | 4/7 | 2/5 | 4/5 | 11 | 0 | 0 | 1 | 3 | 18 |
| 13 შევჩენკო | 3 | 0/1 | 0/3 | 0/0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 12 გალიონკინი | 20 | 2/3 | 0/0 | 1/2 | 1 | 0 | 2 | 0 | 1 | 5 |
| სულ | 200 | 34/48 | 3/14 | 23/29 | 33 | 4 | 11 | 4 | 21 | 100 |


ბადრი ქვითელაშვილის ფოტო

აზოტელი რამაზ გოგობერიშვილი კურტის მაკენტსს უფარებს

# კიევმა სიტყვა გატეხა: 26 ქულა დიდი სხვაობაა

დასაწყისი პირველ გვერდზე

არც თამაშისას და არც მერე პროტესტის ნიშნად „ფანტა“ — „სპრაიტის“ ბოთლი არავის უსვრია. აი, ერთადერთი „პროგრესი“, რასაც ჩვენი საკალათბურთო მეურნეობის უვარგისობით მივაღწიეთ. ამასაც თავისი ახსნა აქვს — გულშემატკივარი კარგა ხანია შეეჩვია წაგებას, თანაც, მათ ახალ ხერხს მიაგნეს, ნერვების წყვეტას გაცლა ამჯობინეს და... ამიტომაც დაცარიელდა სპორტის სასახლის ტრიბუნები ჯერ კიდევ პირველი ტაიმის დამთავრებამდე.

ქომაგს გაუთავებელი მარცხი, კალათბურთელებს კი უმოტივაციოდ თამაში მოსწყინდათ. სწორედ რომ ასეა. ეს გუშინდელმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. რა უნდა მოსთხოვო მოთამაშეს, რომელიც მატჩამდე სპორტული ფეხსაცმლის უქონლობაზე წუხს. თამაშზე იფიქროს თუ იმაზე, ფეხსაცმელი სად იშოვოს? არადა, ეს ნამდვილად ასეა.

და მაინც, რატომ ვერ მოიგო გუშინ „აზოტმა“? მიზეზი უამრავია, მაგრამ რატომღაც უმთავრესს ივიწყებენ ხოლმე, ანაც, არ უნდათ, რომ აღიარონ. ჩვენ კი ვამბობთ: არც მწვრთნელებმა და არც კალათბურთელებმა, უბრალოდ, მეტი არ იციან და რაც იცოდნენ, თანდათან ისიც ავიწყდებათ. ეს არ გახლავთ ერთი, კონკრეტული გუნდის უბედურება, მთლიანად ქართულ კალათბურთში შექმნილი ვითარებაა ასეთი და დიაგნოზიც სწორედ რომ შესაბამისია. ვიცით, ამ სტრიქონებს ბევრი მომდურავიც გამოუჩნდება, მაგრამ მათი რაოდენობა არაფერია იმ მრავალრიცხოვანი გულშემატკივრის ფონზე, რომელთათვისაც საკალათბურთო მატჩზე დასწრება, სამწუხაროდ, მხოლოდ ტკივილთან, წყენასთანაა გაიგივებული...

ის, ვინც გუშინდელ თამაშს უყურა, ალბათ დამეთანხმება, რომ სათხრობი ბევრიც არაფერია. მოედანზე ორი განსხვავებული მიზნისა და კლასის გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ერთნი რაც შეიძლება მცირე სხვაობით წაგებაზე ზრუნავდნენ, მეორენი კი არხეინად მიიწევდნენ დასახული მიზნისკენ.

აი, ამაში გვიტეხეს პირი უკრაინელებმა. კი ამბობდნენ, კიევურ მატჩზე ტრიბუნების შესავსებად ბევრით არ მოგიგებთო, მაგრამ...

თავიანთი საქმისა მათ უკეთ იციან. ჩვენ კი ის ვთქვათ, რომ „თავაზიანმა მუქარამ“ არც ქართველთა შესაგულიანებლად ივარგა. ისე კი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, კიეველებს რომ მოენდომებინათ, სხვაობა გაცილებით დიდი იქნებოდა. არგუმენტად ისიც გამოდგება, რომ მათი ძირითადი ცენტრი და უკრაინის ნაკრების მოთამაშე გრიგორი ხიჟნიაკი, როგორც აღმოჩნდა, ტურისტად წამოუყვანია მწვრთნელ ალექსანდრ კოვალენკოს. სულ რამდენიმე წუთს ათამაშა და სკამზე დასვა, აღარ სჭირდებოდა და იმიტომ.

მატჩში ქართველები ერთადერთხელ დაწინაურდნენ, როცა სულ პირველი სადაო ბურთი მოიხელთეს და არჩილ შლენტის პასის შემდეგ რამაზ გოგობერიშვილმა სამიანით ანგარიში გახსნა. ეგ იყო ეგ, ამის შემდეგ მთელს მოედანზე უკრაინელები გაბატონდნენ და ნელ-ნელა მათი უპირატესობა ანგარიშშიც აისახა.

ძალიან აქტიურობდა კიეველი სტანისლავ მედვედენკო. თანაგუნდელთა თითქმის ყველა კომბინაცია სწორედ მასზე იყო გათვლილი. ოთარ ხმელიძემ კიეველთა ლიდერს მიხეილ ბერუაშვილი მიუჩინა. აქვე იმასაც დავძენთ, რომ უპრიანი იქნებოდა, ბერუაშვილი ხიჟნიაკს აღევნებოდა, რადგან ჯანმაგარ მედვედენკოს ასეთივე ჯაფარიძე უფრო გაუმკლავდებოდა. რაკი ეს ასე არ მოხდა, მთლად გაილაღა უკრაინელმა. ჯერ ცრუმოძრაობით ორი რუსთაველი ჩამოიშორა და [illegible] ბლად ჩააგდო, შემდეგ [illegible] ლიდან ესროლა ზუსტად, მოგვიანებით [illegible] იდანაც ივარგა და აშკარა გახდა, მის შესაჩერებლად ხმელიძეს სხვა გზა უნდა გამოენახა.

...ბერუაშვილი ზვიად ბაბიაშვილმა შეცვალა. იგი კარგად ჩაერთო თამაშში და ზედიზედ ორჯერ შეტევებიც დააგვირგვინა, მაგრამ დაცვას არ იქნა და არ ეშველა. მედვედენკომ ბაბიაშვილის წინააღმდეგობაც იოლად დაძლია და საწყის შვიდ წუთში მოგროვებული 12 ქულით თანაგუნდელებს 10-ქულიანი უპირატესობა დაუბევა 17:7 — წინ „ბკ კიევია“.

უცნაურია, მაგრამ პირველი კომბინაცია რუსთაველებმა შუა ტაიმისთვის განახორციელეს. მცდელობა მანამდეც არაერთი იყო, მაგრამ შესრულების ხარისხისა რა მოგახსენოთ. ხსენებულ ეპიზოდში კი უკანა ხაზზე ამოწეულმა ბაბიაშვილმა საიმედო ბლოკით მეურვისგან გაათავისუფლა ხოშტარია, რომელმაც მახვილგონივრული პასით ბერუაშვილი ფარქვეშ ეულად დატოვა.

თითქოს ცოტა გამოცოცხლდნენ ქართველები, სხვაობის 7 ქულამდე შემცირებამ გულშემატკივარსაც იმედი ჩაუსახა, მაგრამ ყველაფერი მაინც დროებითი იყო. აშკარა გახდა, რომ ადრე თუ გვიან „ბკ კიევი“ საბოლოოდ გატეხდა აზოტელთა წინააღმდეგობას. ამას დიდი მიხვედრაც არ სჭირდებოდა, რუსთაველები თითოეული ქულის მოპოვებას უდიდეს ენერგიას ახმარდნენ, მათი მეტოქე კი ისეთ სისწრაფით გადადიოდა „აზოტის“ ნახევარზე და ბურთსაც ისე მარდად ათამაშებდა, მათ ფონზე ჩვენებურთა ქმედება სვენებ-სვენებით სიარულს ჩამოჰგავდა. ერთი სიტყვით, „ბკ კიევი“ ფიზიკურადაც ერთი თავით მაღლა იდგა „აზოტზე“ და ყოველივე უფრო ცხადად წარმოჩნდა, როცა ტაიმის მიწურულს კოვალენკომ შეგირდებს მთელ მოედანზე პრისინგი უბრძანა.

რაკი უკრაინელთა მაღალ ტემპს ქართველებმა ფეხი ვერ აუწყვეს, ხმელიძემ პერსონალური დაცვა ზონურად გადააკეთა, მაგრამ შედეგი? შედეგად ჩვენი ფარის მისადგომებთან უამრავი აუთვისებელი სივრცე ილანდებოდა, რასაც გონივრულად მოთამაშე კიეველები მეტოქის კიდევ უფრო შესავიწროებლად იყენებდნენ. იუშკინისა და გალიონკინის აქტიურობამ ტაიმის ბოლოს უკრაინელთა 18-ქულიანი უპირატესობა დააფიქსირა.

მეორე ნახევარიც ნაცნობი სცენარით დაიწყო, თამაშს კიეველები კარნახობდნენ და მოდუნება წამითაც არ უფიქრიათ, თუმცა უცნაური ქართული ხასიათი და ოდესღაც ჩვენი კალათბურთისთვის დამახასიათებელი ტემპერამენტიც სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა ამას აღარავინ ელოდა. ხოშტარიასა და ჯაფარიძის მონდომებამ მოწინააღმდეგეს გვარიანი საფიქრალი გაუჩინა. ორივე ირაკლი მეტისმეტად აგრესიულად უტევდა და, რაც მთავარია, შედეგიანად, თუმცა ყოველივეს ხელი იმანაც შეუწყო, რომ მედვედენკომ 4 პერსონალურით სათადარიგო სკამზე გადაინაცვლა, ნიზკოშაპკას კი 5 ჯარიმის გამო მოედანი დაატოვებინეს.

„აზოტმა“ შეძლო ის, რომ ანგარიშში სხვაობა 9 ქულამდე შეამცირა, რის შემდეგაც გუნდს ზედმეტი სიჩქარე დასჩემდა, რაც უკრაინელთა წისქვილზე ასხამდა წყალს. ტემპმა და კიეველთა აგრესიამ ერთდროულად იმატა. გამოცდილმა კოვალენკომაც ცეცხლი შეუნთო უამისოდაც ბობოქარ კალათბურთელებს და მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე, როცა „ბკ კიევი“ 20 ქულით იგებდა, „აზოტი“ საბოლოოდ შეეგუა ბედს.

აქვე დავამთავრებდით, მაგრამ ერთიც ვთქვათ: დამარცხებულთაგან ერთი კალათბურთელი უდავოდ იმსახურებს ქებას და ეს ზაზა გაბისონიაა. დიახაც, რომ მებრძოლი სულისა ყოფილა ზაზა და მისთვის თანაგუნდელებსაც რომ მიებაძათ, იქნებ აზოტელები მხოლოდ კიევის სანახავად არ გამგზავრებულიყვნენ უკრაინაში.

გიორგი ბიძაშვილი


ბადრი ქვითელაშვილის ფოტო

რუსთაველი ზაზა გაბისონიას (მარცხნიდან მეორე) თავდადება ამაო გამოდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მატჩის შემდეგ

„ბკ კიევის" მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ კოვალენკო თავისი აღსაზრდელებით უკმაყოფილო იყო.

— გუნდი პირველად თვენახევრის წინ, პირველ აგვისტოს შეიკრიბა. მართალია, ამერიკაშიც გავიარეთ შეკრება, მაგრამ „აზოტთან" შეხვედრამდე ხუთი ამხანაგური მატჩი გვქონდა ჩატარებული ესპანეთსა და იტალიაში. დღევანდელი შეხვედრა რიგით მეექვსე, ამჯერად ოფიციალური იყო. რადგან ძალზე ცოტა თამაშები გვაქვს გამართული, კალათბურთელები ერთმანეთთან შეუთამაშებლები არიან და ბოლომდე ვერ ასრულებდნენ ჩემს დავალებებს. გუნდი ახალგაზრდულია, დიდი სურვილი აქვთ, კარგად ითამაშონ, მაგრამ ჯერჯერობით ოსტატობა არ ჰყოფნით. ამიტომ, წინ კიდევ ბევრი სამუშაო გველის.

**— თუ არ ჩავთვლით მასპინძელთა პირველივე შედეგიან შეტევას, თქვენი გუნდი უპირატესობას ფლობდა მთელი მატჩის განმავლობაში. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ „ბკ კიევი" აშკარად სჯობდა მეტოქეს და რამდენიმე წამყვან კალათბურთელს, მაგალითად მედვედენკოს, დასვენების საშუალებაც კი მიეცათ.**

— გუნდმა, რაც შეეძლო, ითამაშა. გუნდის ლიდერი მედვედენკო სკამზე მხოლოდ მეოთხე პერსონალურის შემდეგ დავსვი. ბოლოს იგი მაინც ვათამაშე და მოედანი მეხუთე ჯარიმის შემდეგ დატოვა.

**— გასვლაზე 26 ქულით გამარჯვების შემდეგ, რას იტყვით მეტოქეზე?**

— ანგარიშიდან გამომდინარე, ძნელია მეტოქეზე ზუსტი წარმოდგენის შექმნა. მართალია, ჩვენ აშკარად ვჯობნით მეტოქეს სიმაღლეში, მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი. ამერიკაში ყოფნის დროს ერთ-ერთმა ცნობილმა მწვრთნელმა ჩემთვის მეტად საინტერესო და მისაღები სიტყვები თქვა: არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად მაღალია კალათბურთელი. ჩემთვის მთავარია, რამდენად აგრესიულია იგი დაცვაშიო. სწორედ ეს თვისებები დავინახე თქვენს კალათბურთელებში და იყო მომენტი, როცა „აზოტს" შეეძლო გარდატეხის შეტანა თამაშში. ეს რომ მომხდარიყო, მაშინ შეხვედრა სულ სხვანაირად დამთავრდებოდა.

**— მასპინძელთაგან ვის გამოარჩევდით?**

— მეშვიდე ნომერს (არჩილ ელენტი — რედ.).

**— რაც არ უნდა იყოს, საკვალიფიკაციო ეტაპი თითქმის დამლეული გაქვთ.**

— რა თქმა უნდა, ჩემი სურვილიც ეგ არის, მაგრამ წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

ოთარ ხმელიძე — „აზოტის" მთავარი მწვრთნელი:

— ვიცოდით, რომ ძლიერ მეტოქესთან გვქონდა საქმე, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩემი აზრით, „ბკ კიევი" მომავალში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იქნება ევროპაში. ყველა ამპლუაში ძლიერი სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული.

**— კონკრეტულად რაში მოისუსტებს „აზოტი" და შედარებით უკეთ თამაში თუ შეიძლებოდა?**

— რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. აქამდე რამდენიმე მატჩი რომ ჩაგვეტარებინა, შეიძლება ერთ მატჩში მაინც დაგვემარცხებინა მეტოქე. მომზადებით უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ ვარჯიში სულ სხვაა და ტურნირში მონაწილეობა კი სულ სხვა. აღარ მინდა გავიმეორო, რომ ჩვენმა მეტოქემ ამერიკა და ევროპა შემოიარა და ტურნირებშიც მიიღო მონაწილეობა. ჩვენ სტუ-სთან ძლივს შევძელით ორი მატჩის ჩატარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვისუსტებთ სათამაშო დისციპლინაში.

**— აზოტელთაგან ყველაზე უფრო ვინ გაგიმართლათ იმედები?**

— მართალია, შედეგიანობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ თავის მოვალეობას შესანიშნავად ასრულებდა მეტოქის გამთამაშებელი მაკენტსი. მას მეორე ტაიმში კარგი მეურვეობა გაუწია აჩიკო ელენტმა. ჰქონდა შეცდომები, მაგრამ შედარებით უკეთ ითამაშა ჯაფარიძემ.

**— მეტოქეთაგან ვის გამოარჩევდით?**

— პირველ რიგში მაკენტსს და სტანისლავ მედვედენკოს.

**— განმეორებით შეხვედრაზე რას გვეტყვით. კაცი იმედით კი ცოცხლობს, მაგრამ...**

— ჩვენთვის უკანდასახევი გზა მოჭრილია და რაც შეგვიძლია, იმას გავაკეთებთ.

**როლანდ ლაგუჩიძე**

# ვატო ნაცვლიშვილი ამ სეზონში ვეღარ ითამაშებს



ვახტანგ ნაცვლიშვილი სერიოზულად დაშავდა

ვერა და ვერ აეწყო საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდისა და კაპიტანის ვახტანგ ნაცვლიშვილის საერთაშორისო კარიერა. შარშანდელი უიღბლო სეზონის შემდეგ, ვატომ, როგორც იქნა, გამონახა ნორმალური გუნდი, ისრაელის პირველი დივიზიონის „ბნეი ჰერცლია" და თითქოს წარუმატებელი პერიოდიც დავიწყებას მიეცა, მაგრამ...

ოთხაშაბათს, ისრაელის ჩემპიონატის პირველ ტურში „ბნეი ჰერცლია" იერუსალიმში შეხვდა ადგილობრივ „ჰაპოელს". მატჩის დაწყებიდან 2,55 წუთის შემდეგ, ბურთზე ბრძოლაში ამხტარი ნაცვლიშვილი იატაკზე უხერხულად დაეშვა და მუხლი დაიზიანა. ვატომ 20 წუთი ვერ მოახერხა წამოდგომა, ექიმებმა იქვე, დარბაზის იატაკზე უწამლეს. წინასწარი დიაგნოზით, ნაცვლიშვილს მუხლის მყესები დაუწყდა. ტრავმა სერიოზულია, იმდენად, რომ ქართველი კალათბურთელი ამ სეზონში ველარ ითამაშებსო, იუწყებიან ებრაული საინფორმაციო საშუალებები.

„ბნეი ჰერცლიასთვის" ეს მატჩი დანავსული აღმოჩნდა. ნაცვლიშვილამდე სერიოზულად დაშავდა გუნდის ამერიკელი ფორვარდი ნორის კოულმენი. მას თამაშის დროს ხელის თითები გადაეჭრა და ათი ნაკერი დაადეს. კოულმენი რამდენიმე კვირას ვერ ითამაშებს. მატჩი კი „ჰაპოელმა" 91:67 მოიგო. სამწუხაროა, რომ ნაცვლიშვილის გამო გაჩენილი ქართველთა განსაკუთრებული ინტერესი ისრაელის ჩემპიონატისადმი პირველივე ტურის მესამე წუთზე განელდა.

## საფრანგეთი

I ტური

**ბეზანსონი — პო ორტეზი 65:74, შამპანი — ანტიბი 72:48, ნანსი — ვილერბანი 64:71, ლიმოჟი — საონი 83:76, დიჟონი — ლე მანი 63:40, მონპელიე — ევრე 71:79, პარი სენ ჟერმენი — შოლე 73:71, გრაველინი — სტრასბური 76:74**

საფრანგეთის საკალათბურთო ჩემპიონატის პირველ ტურში არც ერთი მოულოდნელობა არ მომხდარა, ყველა ფავორიტმა ღირსეულად ითამაშა. „ლიმოჟმა" და „პარი სენ ჟერმენმა" პირველ გამარჯვებებს საკუთარ მოედნებზე მიაღწიეს, „პო ორტეზმა" და „ვილერბანმა" კი — სტუმრად.

საუბარი გასული სეზონის ჩემპიონით „პო ორტეზით" დავიწყოთ, რომელიც პირველ ტურში „ბეზანსონს" სტუმრობდა და პირველი ორი ქულაც შეუფერხებლად მოიხვეჭა. პოლებმა შეხვედრა მოწინააღმდეგეზე უკეთ დაიწყეს და შესვენებაზე გასახდელში რვაქულიანი უპირატესობითაც გავიდნენ. მატჩის მეორე ნახევარის სტუმრებისთვის ბევრი თავსატეხი არ მოუტანია, მასპინძლები მარცხს თითქოს ადრევე იყვნენ შეგუებულნი და დიდი წინააღმდეგობაც არ გაუწევიათ. ანგარიში 74:65 „პო ორტეზის" სასარგებლოდ სავსებით ლოგიკურია.

საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონმა „ვილერბანმაც" გასვლით შეხვედრაში იმარჯვა, თუმცა მას, „პოსგან" განსხვავებით, უფრო გაუჭირდა. ნანსის ახალ დარბაზში თავმოყრილი 5 000 ქომაგის ღრიანცელით გულმიცემულმა მასპინძლებმა ძლიერ მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და პირველი ტაიმი მოუგეს კიდეც. შესვენების შემდეგ „ვილერბანი" უფრო ძლიერად ათამაშდა და შეხვედრაში გარდატეხის მოხდენაც შეძლო. 30-ე წუთისთვის სტუმრები 46:39 დაწინაურდნენ და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. საბოლოოდ მათ 71:64 მოიგეს.

კარგად დაიწყო „ლიმოჟმაც", რომლის შემადგენლობაშიც საუკეთესო ახალწვეული იან ბონატო იყო. სწორედ მის ანგარიშზეა გუნდის მონაგარის ლამის მესამედი (26 ქულა). მთელი მატჩის განმავლობაში „შალონ-საონმა" არაფერი დაუთმო ძლიერ მოწინააღმდეგეს და ბოლო ხუთწუთეულამდე ტოლ-სწორადაც ეთამაშა, მაგრამ ბოლოს კლასმა და გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და „ლიმოჟმა" 83:76 გაიმარჯვა.

ტურის ყველაზე დაძაბული მატჩი კი უდავოდ პარიზში გაიმართა. მშვენიერ სანახაობრივ თამაშში კარგა ხანს „შოლე" განაგებდა ყველაფერს და ანგარიშიც მიჰყავდა, მაგრამ პარიზელებმა შეძლეს უკანასკნელი ძალების მოკრება და ბოლო წუთზე ანგარიშიც გაათანაბრეს. მერე კი „პარი სენ ჟერმენმა" გათამაშების ცხრილში ორი ქულის მომტანი ტყორცნის განხორციელებაც მოახერხეს — 73:71.

დანარჩენ ოთხ შეხვედრაში შედარებით სუსტი გუნდები არკვევდნენ ურთიერთობას და ტურის ყველაზე მცირექულიანი მატჩიც ამ სამიდან ერთ-ერთი იყო: „დიჟონმა" „ლე მანი" 63:40 გაანადგურა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შამპანი | 1 | 1 | 0 | 72:48 | 2 |
| დიჟონი | 1 | 1 | 0 | 63:40 | 2 |
| პო ორტეზი | 1 | 1 | 0 | 74:65 | 2 |
| ევრე | 1 | 1 | 0 | 79:71 | 2 |
| ლიმოჟი | 1 | 1 | 0 | 83:76 | 2 |
| ვილერბანი | 1 | 1 | 0 | 71:64 | 2 |
| გრაველინი | 1 | 1 | 0 | 76:74 | 2 |
| პსჟ | 1 | 1 | 0 | 73:71 | 2 |
| სტრასბური | 1 | 0 | 1 | 74:76 | 1 |
| შოლე | 1 | 0 | 1 | 71:73 | 1 |
| საონი | 1 | 0 | 1 | 76:83 | 1 |
| ნანსი | 1 | 0 | 1 | 64:71 | 1 |
| მონპელიე | 1 | 0 | 1 | 71:79 | 1 |
| ბეზანსონი | 1 | 0 | 1 | 65:74 | 1 |
| ლე მანი | 1 | 0 | 1 | 40:63 | 1 |
| ანტიბი | 1 | 0 | 1 | 48:72 | 1 |

## თავისუფალი აგენტების ბაზარი

14 სექტემბერი

***ჩიკაგო ბულზი:*** აიყვანა „ინდიანას" ყოფილი უკანახაზელი ფრედ ჰოიბერგი

***ნიუ ჯერსი ნეთსი:*** აიყვანა უგუნდო ცენტრი მაიკლ კეიჯი (ერთწლიანი კონტრაქტი)

***ვაშინგტონ ვიზარდსი:*** აიყვანა უგუნდო ცენტრები ჯეისონ ლოუსონი და ჯონათან კერნერი

# დენვერს აისელის სჯერა

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის კლუბ „დენვერ ნაგითსს" ამ ბოლო წლებში ყველაფერი რიგზე ვერა აქვს. 1997-98 წლების სეზონი დენვერმა დანარჩენ 28 გუნდზე უარესი შედეგით დაასრულა, 82 თამაშიდან სულ 11 მოიგო. ასეთი რამ კლუბის საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიას არ ახსოვს, არც 1999 წელი გამოდგა ხეირიანი „ოქროს ზოდებისათვის" — 50 მატჩიდან 14 მოგება და შუა დასავლეთის დივიზიონის შვიდგუნდიან ცხრილში ბოლოსწინა, მეექვსე ადგილი.

ბუნებრივია, ასეთი შედეგები გუნდის ხელმძღვანელობას არ დააკმაყოფილებდა და კლუბის ბოსებმაც ზომებს მიმართეს — მთავარი მწვრთნელი მაიკ დანტონი, რომელსაც სამწლიანი კონტრაქტიდან კიდევ ორი წელი დარჩენოდა, გაუშვეს და დან აისელი დანიშნეს. კაცი, რომელსაც უკვე უკავია გუნდის ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მენეჯერის სავარძელი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დენვერში აისელის სჯერათ და დიდი იმედიც აქვთ, რომ ეს ძირძველი დენვერელი შეძლებს გუნდის ჭაობიდან ამოთრევას.



დან აისელი

აისელს უკვე მეორედ ანდობენ „დენვერ ნაგითსის" მთავარ მწვრთნელობას. 1994 წელს მან თავისი ნებით დატოვა ეს თანამდებობა, მას შემდეგ, რაც პლეი ოფის პირველ რაუნდში მერვე ნომრად განთესილ „დენვერს" პირველ ნომრად განთესილი „სიეტლ სუპერსონიქსი" გამოაგდებინა. თუმცა ამის შემდეგ გუნდში ისეთი კრიზისი დაიწყო, საქმე ჯერაც ვერ გამოსწორებულა. „ნაგითსმა" ბოლო ხუთ წელიწადში ხუთი მწვრთნელი გამოიცვალა და ახლა კვლავ აისელს ვხედავთ კოლორადოული კლუბის მთავარი მწვრთნელის შერყეულ სკამზე.

როგორც მოთამაშემ, აისელმა ისეთივე კვალი დატოვა „დენვერ ნაგითსის" ისტორიაში, როგორც, მაგალითად, ლარი ბერდმა და ბილ რასელმა, „ბოსტონის", ანაც მეჯიქ ჯონსონმა — „ლეიკერსის" ისტორიაში. დანს თავისი გუნდისთვის ჩემპიონობა არ მოუტანია, მაგრამ დენვერში მისი ღვაწლი ისევე ფასდება, როგორც ზემოხსენებული ლეგენდებისა მშობლიურ ქალაქებში. აისელს „ნაგითსში" თერთმეტი სრული სეზონი გაუტარებია (1975-85 წლებში) და გუნდის ისტორიაში დღემდე უძლიერესი მომხსნელია. ამასთან, 1993 წელს იგი, როგორც ლიგის ისტორიაში თვალსაჩინო მოთამაშე, დიდების დარბაზში აირჩიეს. დენვერმა თავის ყოფილ მოთამაშეს ამაგი დაუფასა და მას მუდმივნომრიანი (44) მაისურა მიაკუთვნა (ეს იმას ნიშნავს, რომ დენვერში ამ ნომრით ვერავინ ითამაშებს).

1994 წლის შემდეგ, როცა აისელი მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან წავიდა, იგი რადიოსა და ტელევიზიაში საკალათბურთო მიმომხილველად მუშაობდა, 1998 წლის მარტში კი „ნაგითსის" გენერალურ მენეჯერად და ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა. ახლახან, 14 სექტემბერს, იგი კვლავ დაუბრუნდა კლუბს და იმედოვნებს, რომ შეძლებს მის ფეხზე დაყენებას. „მე არავის ვპირდები, რომ უძლეველ გუნდს შევქმნი — ამბობს ახალდანიშნული მწვრთნელი — ჩვენი მიზანი მხოლოდ ისაა, კრიზისს რაც შეიძლება მალე დავაღწიოთ თავი". გუნდის სათავეში მისული აისელი ძველი მწვრთნელის კრიტიკას კი არა, უმალ საქმეს შეუდგა. იგი თვლის, რომ „ნაგითსის" მოთამაშეებზე თავისუფლად შეიძლება დაყრდნობა. არცთუ უსაფუძვლოდ — აისელის ხელში რამდენიმე ახალგაზრდა ვარსკვლავია, რომლებიც მომავალი მძლავრი „დენვერის" ბირთვს შექმნიან. ესენი გახლავთ თავდამსხმელი ანტონიო მაკდაიესი და ორი უკანახაზელი — ნიკ ვან ექსელი და ჩონსი ბილაფსი. რამდენიმე კვირის წინ კლუბმა კიდევ ერთი ვარსკვლავი შეიძინა — ბოსტონელი რონ მერსერი, რომელიც უკანა ხაზზეც თამაშობს და ფრთის პოზიციაზეც დაეხმარება გუნდს. თვითონ მერსერი უკმაყოფილო სულაც არაა, ახალ მწვრთნელს, ისევე, როგორც მთელი დენვერი, კარგი თვალით უყურებს და იმედოვნებს, რომ სწორედ აისელი ჩამოაყალიბებს სუპერვარსკვლავად.

**ირაკლი ფირაშვილი**

## მწვრთნელთა ცვლილება 1999 წელს

| გუნდი | ყოფილი მწვრთნელი | ახალი მწვრთნელი |
|---|---|---|
| შარლოტ ჰორნეთსი | დეივ კოუენსი | პოლ საილასი |
| ლოს ანჯელეს ლეიკერსი* | დელ ჰარისი | ფილ ჯეკსონი |
| ნიუ ჯერსი ნეთსი | ჯონ კალიპარი | დონ კეისი |
| კლივლენდ კავალიერზი | მაიკ ფრატელო | რენდი უიტმენი |
| ორლანდო მეჯიქი | ჩაკ დეილი | დოკ რივერსი |
| ვაშინგტონ ვიზარდსი** | ბერნი ბიკერსტაფი | გარ ჰერდი |
| დენვერ ნაგითსი | მაიკ დანტონი | დან აისელი |

* დროებით გუნდს კურტ რამბისი წვრთნიდა
** დროებით გუნდს ჯიმ ბროველი წვრთნიდა

ბავშვთა კალათბურთის აკადემია აცხადებს
1990, 1991 და 1992 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49ა
ფიზიკური კალათბურთისა და სპორტის აკადემიის შენობაში
☎ 23 20 05

## E ჯგუფი

### მოლდე 0:1 პორტუ

0:1 დეკო (88)
მოლდე: ბაკე, სტრანდი, ფოსტერვოლდი, ტესემი, დოს სანტოსი, პესტადი, ფიორტოფტი (სუნდგოტი 88), ჰოსეტი, ოლსენი, ლუნდი, მორკი (ლინდბეკი 46)
პორტუ: ბაია, ჟორჟე კოშტა, ანჟელი, პეიშე (პაულინიო სანტოსი), სეკრეტარიო, დრულოვიჩი, ჟარდელი, ჩაინიო, კაპუჩო (ალესანდრო 54), დეკო, ესკერდინია
მსაჯი: ა. ჰამერი (ლუქსემბურგი)

### ოლიმპიაკოსი 3:3 რეალი

1:0 ჯოვანი (10), 1:1 სავიო (24), 1:2 რობერტო კარლოსი (32), 2:2 ჯოვანი (64), 3:2 ზაჰოვიჩი (67), 3:3 რაული (80)
ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, კარატაიდისი, ამანატიდისი, პურსანიდისი, გიანოკოპულოსი, ჯოანი, ჯორჯევიჩი, მავროგინიდისი (ამპონსაჰი 46), კუაე, ზაჰოვიჩი, ანატოლაკისი
რეალი: კასილასი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო (ელგერა 59), რედონდო, რაული, მაკმანამანი, მორიენტესი (ანელკა 53), სავიო, ხერემი, ჟულიო სეზარი
მსაჯი: მ. ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

## F ჯგუფი

### ბაიერნი 2:1 ეინდჰოვენი

1:0 პაულო სერჟიო (11), 1:1 ხოხლოვი (59), 2:1 პაულო სერჟიო (69)
ბაიერნი: კანი, პ. ანდერსონი, მათეუსი, კუფური, იერემისი, ეფენბერგი, შტრუნცი, ლიზარაზუ, პაულო სერჟიო (ციკლერი 80), შოლი (სალიჰამიჯიჩი 88), სანტა კრუსი (იანკერი 68)
ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ნიკიფოროვი, ფაბერი, დირქსი (ბრუგინკი 77), ჰაინცე, ივანი, ფოგელი, ვან ბომელი, ხოხლოვი, ვან ნისტელროოი, ნილისი
გაძევება: ვან ბომელი (90)
მსაჯი: ჟ. ვისიე (საფრანგეთი)

### ვალენსია 2:0 რეინჯერსი

1:0, 2:0 კილი გონსალესი (57, 74)
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ბიორკლუნდი, პელეგრინო, კარბონი, მენდიეტა, გ. ლოპესი, კილი გონსალესი, ალბელდა, კ. ლოპესი (ილიე 70), ხუან სანჩესი (ანგულო 80)
რეინჯერსი: შარბონიე, პორინი (კანჩელსკისი 72), მური, ამორუზო, ვიდმარი, ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი (იოჰანსონი 82), მაკანი (ალბერტსი 45), რეინა, ამატო, მოლსი
მსაჯი: ლ. მიხელი (სლოვაკეთი)

## G ჯგუფი

### ტილბურგი 1:3 სპარტაკი

0:1, 0:2, 0:3 ტიხონოვი (27პ, 37, 53პ), 1:3 არტსი (55)
ტილბურგი: მამპაი, პრომაიონი, იალიემსი, ვიქტორია, ჰილი, ფალკი (სანუ 61), გალაშეკი, არტსი, კესაი, ბომბარდა, სუხოვი (შენინგი 90)
სპარტაკი: ფილიმონოვი, პარფიონოვი, ხლესტოვი, ბუშმანოვი, კოვტუნი, ბარანოვი, ტიტოვი (ევსეევი 71), ბეზროდნი, ტიხონოვი, კეჩინოვი (ციმბალარი 46), რობსონი
მსაჯი: ფ. მარტინი (ესპანეთი)

### სპარტა 0:0 ბორდო

სპარტა: პოსტულკა, გაბრიელი, ლაბანტი, ჰაშეკი, სვობოდა (პ. ნოვოტნი 90), ი. ნოვოტნი, ლოკვენცი, ზიგლი (სიონკო 58), ბარანეკი, როშისკი (პროჰაზკა 84), ფუკალი
ბორდო: რამე, საველიჩი, ბრუვიერი, მიკუდი, ლასლანდი, ვილტორდი, გრენე, მარტინსი (ბატლე 90), დიაბატე, აფანუ, ალიკარტე
მსაჯი: ტ. ჰაუგერი (ნორვეგია)

## H ჯგუფი

### გალათასარაი 2:2 ჰერტა

0:1 პრეეცი (10), 0:2 ვოში (12), 1:2 ჰაქანი (21), 2:2 ჰაჯი (89პ)
გალათასარაი: ტაფარელი, ბრუნო (თუგაი 46), პოპესკუ, არიფი (დოს სანტოსი 66), ოქანი (აკიელი 46), სუათი, ჰაქანი, ჰაჯი, უმიტი, უნსალი, ოლივიერა
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, კონსტანტინიდისი, ვოში (ტომი 46), ალი დაეი, პრეეცი, დარდაი, შმიდტი, ჰარტმანი, დაისლერი, ჰელმერი (ვაიტი 15, ნოიენდორფი 46)
გაძევება: კონსტანტინიდისი (82)
მსაჯი: უ. მაიერი (შვეიცარია)

### ჩელსი 0:0 მილანი

ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ფერერი, ბაბაიარო, ლებეფი (ჰოგი 81), დესაი, დეშამპი, პოიეტი (ლე სო 79), უაიზი, ფლო (სატონი 85), ძოლა
მილანი: აბიატი, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, აიალა, ალბერტინი, გატუზო, გული, ბირჰოფი, შევჩენკო, ლეონარდო (ჯიუნტი 83)
მსაჯი: ა. ფრისკი (შვედეთი)



REUTERS ათენიდან

ოლიმპიაკოსი — რეალი 3:3. პირეოსელებმა ოფორი კუაემ და პრედრაგ ჯორჯევიჩმა (წინ) სტივ მაკმანამანი შებოჭეს

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# წვიმიანი ჰეთ თრიქი

ჩემპიონთა ლიგა. I ტური



REUTERS ვალენსიიდან

ვალენსია — რეინჯერსი 2:0. გლაზგოელთა ჰოლანდიელი მახაელ მოლსი (მარცხნივ) ვალენსიელთა შვედ იოაკიმ ბიორკლუნდს გაექცა

ოთხშაბათ საღამოს ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მატჩები E, F, G და H ჯგუფების გუნდებმაც გამართეს. დღის ყველაზე საინტერესო შეხვედრად „ჩელსი“ — „მილანის“ ბრძოლას მიიჩნევდნენ და მიუხედავად იმისა, რომ თამაში სანახაობრივად ლამაზი ვერ გამოდგა, მოთამაშეების მაღალმა კლასმა და ტაქტიკურმა გაწაფულობამ ლიგის პრესტიჟი მაინც არ შელახა. „ჩელსის“ იტალიელმა ლეგიონერმა, ჯანფრანკო ძოლამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლესი ხარისხის ფეხბურთელია. სწორედ ის იყო მთავარი ფიგურა მინდორზე. მეორე ტაიმის შუაში, 64 და 67 წუთებს შორის, მას გოლის გატანის ორი შანსი მიეცა, მაგრამ ერთხელ ბურთი ძელს მოხვდა, მერე კი „მილანის“ მეკარე აბიატიმ იყოჩაღა. ბოლოსკენ მოგება სტუმრებსაც შეეძლოთ, ლეონარდოს შორიდან დარტყმული ბურთი ლონდონელთა კარის ხარიხას მოხვდა, არადა, მეკარე დე გუი წინ იყო გამოსული და ამ ბურთის დამჭერი ნამდვილად არ გახლდათ.

რამდენადაც ძოლა გამოირჩეოდა, იმდენად ცუდად ითამაშა „მილანის“ კაპიტანმა, პაოლო მალდინიმ. შეგახსენებთ, რომ მას ტრავმა ჰქონდა, ერთ-ერთ სეზონისწინა მატჩისას ფეხის თითი მოიტეხა და დაახლოებით სამი კვირა მკურნალობდა. გამოცდილი მალდინი წუხელ უამრავჯერ შეცდა.

ამავე H ჯგუფში მეორე მატჩიც არანაკლებ საინტერესო გამოდგა. სტამბოლში „გალათასარაი“ გერმანულ „ჰერტას“ მასპინძლობდა. მე-12 წუთისთვის ბერლინელები უკვე ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ. ჯერ შარშანდელი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირმა მიხაელ პრეეცმა შეუგდო ტაფარელს, ორ წუთში კი დარიუშ ვოშს ჩინებული დრიბლინგი გამოუვიდა და ტაფარელმაც მეორედ გამოიტანა ბურთი კარის ბადიდან. მატჩის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ თურქებმა გერმანული ხასიათი გამოავლინეს. პირველივე ტაიმში ჰაქან შუქურმა ერთი გაქვითა, ხოლო როცა თამაშის დამთავრებას წუთი უკლდა, თურქების რუმინელმა ლეგიონერმა გეორგე ჰაჯიმ ზუსტად შეასრულა პენალტი და თავისიანებს პირველი ქულა მოუტანა. ამ დროისთვის თურქები რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ. დამთავრებამდე რვა წუთით ადრე შვეიცარიელმა მსაჯმა ურს მაიერმა ბერლინელთა ბერძენი კოსტას კონსტანტინიდისი გააძევა. ეს მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო. ფეხბურთელებმა მიწისძვრისგან დაღუპულებს მიაგეს პატივი. ასეთივე ნაღვლიანი დუმილით დაიწყო E ჯგუფის მატჩი პირეოსში, სადაც „ოლიმპიაკოსი“ მადრიდის „რეალს“ მასპინძლობდა. შეხვედრის მსვლელობისას ბერძნები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ მე-80 წუთზე რაულის მიერ გატანილმა გოლმა საბოლოო ანგარიშად 3:3 დააფიქსირა.

F ჯგუფის მატჩებიდან უფრო საინტერესო მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე ჩატარებული თამაში გამოდგა. ჩემპიონთა ლიგის ბოლო ფინალში დამარცხებული „ბაიერნი“ თბილისში ეგრეც ჩამოუსვლელ ერიკ გერეტსის „ეინდჰოვენს“ მასპინძლობდა და ერთობ გაუჭირდა. 59-ე წუთისთვის ანგარიში 1:1 გახლდათ და ჰოლანდიელებს მეორეს გატანაც შეეძლოთ, მაგრამ მერე პაულო სერჟიომ ისეთი ბურთი გაიტანა, მხოლოდ ბრაზილიელებს რომ შეუძლიათ. საჯარიმოში მცველებთან მოჭიდავე სერჟიომ ისეთი არალოგიკური ქუსლური დაარტყა, მეკარე ვატერეუსი ერთხანს გაოგნებული იდგა.

G ჯგუფში თბილისის „დინამოს“ შარშანდელმა გამანადგურებელმა „ტილბურგმა“ კინაღამ ისეთივე სირცხვილი თავადაც იწვნია. თავსხმაში სპარტაკელმა ანდრეი ტიხონოვმა მათ სამი ბურთი გაუტანა, აქედან ორი პენალტით და არნო არტსს რომ არ ეყოჩაღა, ტილბურგელები თავის პირველ და ამდენად ისტორიულ მატჩს ჩემპიონთა ლიგაში შერცხვენილები დაასრულებდნენ, თუმცა გასახარად არც ახლა აქვთ საქმე.

ანდრეი ტიხონოვმა წლევანდელ ლიგაში პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა.

**ლევან გოქსაძე**

## უეფას თასი. პირველი ეტაპი
პირველი წრე. 15 სექტემბერი

UEFA CUP

### ჰიკ (ფინეთი) 0:1 ლიონი (საფრანგეთი)
0:1 ვაირლე (16)

## იტალია

### თასის I ეტაპი. VI ტური

ტერნანა — ლეჩე 2:0; ლუკეზე — ფ. ანდრია 2:1; სავოია — ჩეზენა 1:1; პალერმო — სამპდორია 1:3; ჯენოა — ემპოლი 5:1; მონცა — ლუმეცანე 2:1; ატალანტა — პისტოიეზე 3:0; კოვო — კრემონეზე 2:0; გუალდო — რეჯინა 0:3; კოზენცა — ტრევიზო 0:1; სალერნიტანა — ფერმანა 3:0; კომო — ნაპოლი 1:2; სტაბია — რეჯანა 1:3; პესკარა — ბრეშა 4:2; სპალ — ვიჩენცა 1:1; რავენა — ალძანო 2:1

## ინგლისი

### ლიგის თასი.
II ეტაპი. I მატჩები

სიტი 0:0 საუთჰემპტონი
ნოტინგემი 2:1 ბრისტოლი

## ჰოლანდია

### გადადებული მატჩები

ალკმარი 0:1 უტრეხტი
სპარტა 2:1 გრააფსხაპი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli